დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის
18 - 24 აპრილი
N 17 1429
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# აბუჩად აგდებული საქართველო
2





## „ზელენსკი ადეიშვილის მართული ბიჭია!“
8

## რუსეთთან საომრად დაქირავებული ქვეყნის ტრაგედია!
6-7



# არ უნდა წასულიყვნენ!!!
3

## „შორს არ არის ის დრო, როცა რუსეთი ატომურ იარაღს გამოიყენებს!“
11



„არ იფიქროთ, რომ რუსეთის დაშლით საქართველო იხეირებს, პირიქით — მეორე დღიდანვე ლეკიანობა აღდგება!“
20

# აბუჩად აგდებული საქართველო

***უკრაინული სამხედრო ძალების მიერ რუსული საოკუპაციო დანაყოფებისაგან გათავისუფლებულ კიევის ოლქის ქალაქ ბუჩაში, სადაც სამარხები და მოკლული მშვიდობიანი მოქალაქეების გვამები იქნა აღმოჩენილი, გასულ კვირას ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი კარიმ ხანი ჩავიდა, რომელსაც მეგზურობას უკრაინის გენერალური პროკურორი ირინა ვენედიქტოვა და მისი მრჩეველი ზურაბ ადეიშვილი უწევდნენ.***

**ბუჩაში** ჩასული ჰააგის პროკურორის კამპანიაში მყოფი ადეიშვილი „იმედის" კამერამ დააფიქსირა და ქართველმა კორესპონდენტმა მასთან ინტერვიუს ჩაწერაც სცადა, მაგრამ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის იუსტიციის მინისტრმა და მთავარმა პროკურორმა, რომელიც ახლა უკრაინის გენერალური პროკურორის მარჯვენა ხელად მუშაობს, ჟურნალისტის კითხვებს არ უპასუხა.

მართლაც დიდი ტრაგედიის ადგილას — **ქალაქ ბუჩაში** — ადეიშვილის გამოჩენამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ პოლიტიკურ და მორალურ ტრაგიზმს, რომელიც უკრაინულ და ქართულ სახელმწიფოებს შორის ჯერ კიდევ 2015 წლიდან ტრიალებს, როცა ოფიციალურმა კიევმა ქართველ ერს სამი თითის კომბინაცია პირველად უჩვენა და ძებნილი სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორად გაამწესა.

ერთი სიტყვით, **ქალაქ ბუჩაში** ჰააგის სასამართლოს პროკურორის მხარდამხარ ადეიშვილის გამოჩენამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ უკრაინის ხელისუფლებას საქართველო და ქართველი ხალხი **აბუჩად** ჰყავს აგდებული.

დიახ, საქართველოსა და ქართველი ხალხის **აბუჩად აგდებაა,** როცა ბუჩაში ჰააგის პროკურორთან ერთად უკრაინის სახელმწიფოს სახელით მიმოდის სისხლის სამართლის დამნაშავე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ბოროტმოქმედებათა ჩადენაში ბრალდებული და მსჯავრდებული **ადეიშვილი,** რომელიც საქართველოდან მართლმსაჯულებას გაექცა.

საქართველოსა და ქართველი ხალხის **აბუჩად აგდებაა,** როცა უკრაინის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლებას ბუჩაში ეპატიჟება — ჩამოდით და ოკუპანტების მიერ დატრიალებული უბედურება თქვენი თვალით ნახეთო, მაგრამ იმავე **ბუჩაში** ჰააგის პროკურორს მასპინძლად ახვედრებს **ზურაბ ადეიშვილს,** რომლისთვისაც უკრაინის სასამართლოს, წესით, საექსტრადიციო პატიმრობა უნდა შეეფარდებინა და ძებნილი დამნაშავე ქართული სახელმწიფოსათვის გადმოეცა.

ნახეთ, როგორ სამართლებრივ-პოლიტიკურ მკრეხელობასთან გვაქვს საქმე: **ძებნილი ადეიშვილი, რომელიც უკრაინის გენერალურ პროკურატურას უნდა დაეკავებინა და მისი საქართველოში ექსტრადირება მოეხდინა, უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩევლად მუშაობს!**



ძებნილი ზურაბ ადეიშვილი ბუჩაში. 2022 წლის 13 აპრილი

ეს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში უკრაინის მიერ საქართველოს **აბუჩად აგდების** ქრესტომათიული ნიმუშია!

**ზურაბ ადეიშვილი,** რომლის მიმართაც საქართველოში რამდენიმე გამამტყუნებელი განაჩენი არსებობს, კიდევ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე კი ჯერაც სასამართლო განხილვის სტადიაზეა, სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იყო, იმ რეჟიმს კი ისეთი დანაშაულები აქვს ჩადენილი, **ბუჩაში** დატრიალებულ ტრაგედიას რომ არაფრით ჩამოუვარდება. აბა, რითია **ბუჩას** ტრაგედიაზე ნაკლები **სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის, ზურამ შარაძის, გია კრიალაშვილისა და როინ შავაძის** დახვრეტა? გლდანის ციხეში პოლკოვნიკი **სერგო თეთრაძე** სასტიკად რომ აწამეს და გაუპატიურების მცდელობისას შემოაკვდათ, ეს **ბუჩაში** ჩადენილ საშინელებაზე ნაკლები დანაშაულია? **ბუჩას** ტრაგედიაზე ნაკლებად შემზარავია, რომ **დათო ცინდელიანი** და **პაატა ქარდავა** კატერით შუა ზღვაში გაიყვანეს, შუბლში ტყვია დააჭედეს და ცხედრები წყალში ჩაძირეს? უფრო მეტიც, თითოეული ეს დანაშაული **ბუჩას** ტრაგედიაზე უფრო მძიმეც არის, რადგან **ბუჩაში** უდანაშაულო ადამიანები სხვა ქვეყნიდან მოსულმა აგრესორებმა დახოცეს, საქართველოში კი უდანაშაულო ადამიანებს საკუთარი ხელისუფლება — **სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმი** ხოცავდა!

და როცა საკუთარი უდანაშაულო მოქალაქეების დამხოცავი რეჟიმის ერთ-ერთ დასაყრდენს — დამნაშავე **ზურაბ ადეიშვილს ბუჩაში** ჩასულ ჰააგის პროკურორს უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩევლის რანგში ახვედრებენ, ეს სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს **აბუჩად აგდება.**

**ბუჩაში** ჩასული ჰააგის პროკურორი **კარიმ ხანი,** წესით, საქართველოშიც უნდა ჩამოდიოდეს და სამეგრელოს ტყეებში სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის მიერ მოწყობილ საწამებელ ბუნაგებს ეცნობოდეს, სადაც 35 ლარად დაქირავებული ნაცჯალათები მაგიდაზე დაბმულ მამაკაცებს აუპატიურებდნენ!

ჰააგის პროკურორმა **კარიმ ხანმა** უნდა იცოდეს, რომ მას **ბუჩაში** უკრაინის ხელისუფლებამ **ზურაბ ადეიშვილის** სახით სისხლის სამართლის დამნაშავე და ადამიანების გამაუპატიურებელი ფაშისტური რეჟიმის ერთ-ერთი „რაიხსფიურერი" დაახვედრა!

ჰააგის პროკურორმა **კარიმ ხანმა** უნდა შეიტყოს, რომ მას **ზურაბ ადეიშვილის** სახით **ბუჩაში** დაახვედრეს არანაკლებ მძიმე დამნაშავე, ვიდრე ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ოდესმე გაუსამართლებია ან აწი გაასამართლებს!

სხვათაშორის, უკრაინის ხელისუფლებამ **ბუჩაში** ჩასულ ჰააგის პროკურორს ადეიშვილი რომ დაახვედრა, ეს არამარტო საქართველოს აბუჩად აგდებაა, არამედ საერთაშორისო სამართლის **აბუჩად აგდებაც** არის, რადგან არ შეიძლება, საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი სასტიკი დანაშაულის ადგილს სისხლის სამართლის დამნაშავესთან ერთად ათვალიერებდეს!

**ბუჩაში** ჩადენილი სისასტიკე დაუსჯელი არ უნდა დარჩეს ისევე, როგორც აუცილებლად უნდა დაისაჯონ **ზურაბ ადეიშვილი** და **გია ლორთქიფანიძე,** რომლებმაც ქართველ ხალხს **ბუჩა** არაერთხელ მოუწყვეს, თუმცა, მათ ჯერ უკრაინის ხელისუფლება იცავს და იფარავს!

უკრაინის ხელისუფლებას საქართველოსა და ქართველი ხალხის ასე **აბუჩად** აგდება არ უნდა შერჩეს და არც შერჩება!

***ჯაბა ხუბუა***



კარიმ ხანი და ირინა ვენედიქტოვა ბუჩაში. 2022 წლის 13 აპრილი

**ბუჩაში ჩასული ჰააგის პროკურორი კარიმ ხანი, წესით, საქართველოშიც უნდა ჩამოდიოდეს და სამეგრელოს ტყეებში სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის მიერ მოწყობილ საწამებელ ბუნაგებს ეცნობოდეს!**

## კვირგვინოსნები

**ნატო ონიანი**
*ჟურნალისტი*



უბრალოდ ყველაზე დიდი კი არ ხარ, უზარმაზარი ხარ! უზომო ოდენობით გაქვს ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება, **მტკნარი წყლის უდიდესი მარაგი, ნავთობი, გაზი, ტყე, ოქრო, საოცარი ბუნება. გყავს ლამაზი ხალხი უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალით. ხარ მეცნიერებაში, ხელოვნებაში უზომოდ წარმატებული.** ჰოდა, გეფიცებით, მართლა გულწრფელად მაინტერესებს, **ასეთ პირობებში რატომ უნდა იყო, უდიდესი უმრავლესობა ღატაკი, ბოღმა, შურიანი, ბოროტი, უსამართლო და სულით მონა?**

„ალია"

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**სააკაშვილი** სასჯელს იხდის არა რეფორმებისთვის, არამედ იმისთვის, რომ **თითქმის სიკვდილამდე აცემინა პარლამენტის წევრი და ხელი დააფარა გირგვლიანის მკვლელობის მონაწილეებს.** „პირველი არხი"

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



საქართველო **ტერიტორიების ომით დაბრუნებას** არასდროს შეეცდება.

„ახალი თაობა"

**ანტონიო გუტერეში**
*გაეროს გენერალური მდივანი*



ომი უკრაინაში დედამიწის მოსახლეობის მეხუთედს **შიმშილისა და სიღარიბის** საფრთხეს უქმნის.

„რეზონანსი"

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება საქართველოში,** ჩვენ ამას არ დავუშვებთ და **გავაგრძელებთ საკუთარი მოქალაქეებისა და სახელმწიფოს დაცვას.**

„ახალი თაობა"

***მოდით, გვერდი ავუაროთ რიტორიკას, რომელშიც წერია — ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოსო და ყოველგვარი შესავლის გარეშე, პირდაპირ და გაჭრილად ვთქვათ, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია უკრაინაში არ უნდა წასულიყო!***

ქართველი დეპუტატების დელეგაცია, პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილის** მეთაურობით, უკრაინაში რომ არ უნდა წასულიყო, მანამდეც აშკარა იყო, სანამ დელეგაცია უკრაინაში წავიდოდა, მაგრამ კიდევ უფრო ნათელი გახდა იმ განცხადებების შემდეგ, რაც უკრაინის პოლიტიკურმა ლიდერებმა ქართული დელეგაციის ვიზიტის კვალდაკვალ გააკეთეს.

კერძოდ, უკრაინის რადას თავმჯდომარე **ვიქტორ სტეპანჩუკმა** განაცხადა: **„საქართველო რუსეთს არანაირად არ დაეხმარება. ასეთი დასკვნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მას შემდეგ გააკეთა, რაც საკუთარი თვალით იხილა ბუჩა და ირპინი“.**

გესმით, რას ამბობს უკრაინის რადას სპიკერი? — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ რუსული აგრესიის შედეგად განადგურებული ბუჩა და ირპინი რომ ნახა, მხოლოდ ამის შემდეგ გაუნათდა გონება და მიხვდა, რომ საქართველო რუსეთს არ უნდა დაეხმაროსო!

ე.ი. უკრაინის რადას სპიკერი აცხადებს, რომ **საქართველოს ხელისუფლებას „აზრზე მოსასვლელად“** უკრაინაში დატრიალებული უბედურების საკუთარი თვალით ხილვა სჭირდებოდა, თორემ **რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაცია, სოხუმსა და ცხინვალში ქართველების ეთნიკური წმენდა, ნახევარ მილიონამდე დევნილი, რუსეთთან ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოქალაქეები** საკმარისი არ არის იმისათვის, რომ საქართველო რუსეთს არაფერში და არანაირად არ დაეხმაროს!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, უკრაინის რადას სპიკერმა **სტეპანჩუკმა** თავისი განცხადებით ქართველებს შეურაცხყოფა მოგვაყენა — **ჯაბანნი და კოლაბორაციონისტები ხართ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს თქვენი ქვეყნის 20 პროცენტზე მეტი ოკუპირებული აქვს და რუსული ჯარი დედაქალაქიდან ორმოციოდე კილომეტრში გიდგათ, მაინც ჩვენ — უკრაინელებმა უნდა გასწავლოთ და გაიძულოთ, რომ რუსეთს არ დაეხმაროთო!**

აი, ამიტომ **არ უნდა წასულიყვნენ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ლიდერები უკრაინაში,** სადაც ისინი კი არ მიიპატიჟეს, არამედ დასატუქსად და ნამუსზე შესაგდებად დაიბარეს!

დიახ, რადას თავმჯდომარე **სტეპანჩუკის** განცხადება, რომლითაც მან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილს** უკრაინაში ჩასვლისაკენ მოუწოდა, თავისი ტონითა და კონტექსტით ჰგავდა არა მიწვევას, არამედ დირექტივას — **აბა, ბიჭებო, კეთილი ინებეთ, „ერთი ადგილი“ ასწიეთ და უკრაინაში ჩამოცუნცულდითო!**




საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია უკრაინაში, რადას თავმჯდომარე ვიქტორ სტეპანჩუკთან ერთად



შალვა პაპუაშვილი და ვიქტორ სტეპანჩუკი

# არ უნდა წასულიყვნენ!

**ამიტომაც არ უნდა წასულიყვნენ!**

როცა უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის უკან არ წაუღია საკუთარი შეურაცხმყოფელი განცხადება — საქართველოს მთავრობა ამორალურად იქცევაო; როცა იგივე ზელენსკი და მისი ხელისუფლება საქართველოს მიმართ კვლავ პოლიტიკური დემარშის რეჟიმში რჩებიან და თბილისიდან გაწვეულ ელჩს უკან არ აბრუნებენ; როცა უკრაინის მთავრობა ბოდიშის მოხდასაც კი არ კადრულობს ყოვლად დაუსაბუთებელი უმძიმესი ბრალდების გამო, თითქოს საქართველო „შავი ხვრელია“ და რუსეთს დასავლეთის მიერ სანქცირებულ საქონელს კონტრაბანდულად აწვდის, **საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას უკრაინაში არაფერი ესაქმებოდა.** იქ არწასვლა, უბრალოდ, სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობისა და ეროვნული ღირსების საქმე იყო.

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები არ უნდა ჩასულიყვნენ იმ უკრაინაში, რომლის ხელისუფლებაც ქართველი ნაცკრიმინალების, ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი სისხლის სამართლის დამნაშავეების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნას დღემდე აგრძელებს.**

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის უკრაინაში ვიზიტსა და რადას თავმჯდომარესთან შეხვედრას ზოგიერთი ოპტიმისტი იმედის თვალითაც უყურებს — იქნებ ორი სახელმწიფოს ურთიერთობა სასიკეთოდ შეიცვალოსო, მაგრამ ვაი, რომ საამისო ტენდენცია არ იკვეთება! თუ უკრაინის ხელისუფლება ძებნილ **ზურაბ ადეიშვილსა** და ძებნილ **გია ლორთქიფანიძეს** ხვალვე გაათავისუფლებს გენერალური პროკურორის მრჩევლისა და კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილის თანამდებობებიდან, ორივეს ხელბორკილებს დაადებს და ქართულ სახელმწიფოს გადმოსცემს, მაშინ ჩავთვლით, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატთა ვიზიტმა საქართველო-უკრაინის ურთიერთობა პოზიტიურ რელსებზე გადაიყვანა, მაგრამ მეტი არაა ჩვენი მტერი, ზელენსკიმ და მისმა ბიჭებმა ეს გააკეთონ!

ის კი არა, **როგორც ირკვევა, უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას რუსეთის საწინააღმდეგო ეკონომიკური სანქციების დაწესებისაკენ მოუწოდეს და პრეტენზია გამოთქვეს, რომ ქართული სახელმწიფო უკრაინას არასაკმარისად უჭერს მხარს.** კერძოდ, „ლელოს“ წარმომადგენელმა **ანა ნაცვლიშვილმა,** რომელიც საპარლამენტო დელეგაციაში შედიოდა, განაცხადა — რადას თავმჯდომარე სტეპანჩუკმა გვთხოვა, რომ საქართველომ სანქციებზე იმსჯელოსო, ხოლო „გირჩის“ წარმომადგენელმა **ვახტანგ მეგრელიშვილმა,** რომელიც ასევე დელეგაციაში იყო, აღნიშნა — უკრაინელ დეპუტატებს ვესაუბრე და მათ აქვთ განცდა, რომ საქართველომ უკრაინის მხარდასაჭერად მეტი რამ უნდა გააკეთოსო!

ამ განცხადებების მიხედვით, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ **საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია უკრაინაში გვარიანად დაამუნათეს და „მიაბულინგეს“ კიდეც!**

**ამიტომაც არ უნდა წასულიყვნენ!**

საქართველო უკრაინის მხარდასაჭერად საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს, ამაზე მეტის გაკეთება კი, რასაც უკრაინელი პოლიტიკოსები ქართული სახელმწიფოსაგან ითხოვენ, მხოლოდ საომარ მოქმედებებში ჩართვა და რუსეთისათვის მეორე ფრონტის გახსნაა, რათა აგრესორს უკრაინელი ქალებისა და ბავშვების ხოცვის გარდა ქართველი ქალებისა და ბავშვების ხოცვის საშუალებაც მივცეთ, როგორც ამისაკენ უკრაინის ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს მდივანმა დანილოვმა მოგვიწოდა!

**ამიტომაც არ უნდა წასულიყვნენ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ლიდერები უკრაინის ხელისუფლებისათვის, ანუ იგივე ადეიშვილისა და ლორთქიფანიძის ხელისუფლებისათვის ხელის ჩამოსართმევად!**

აკი, მორიგჯერ დადასტურდა, რომ უკრაინაში ქართული სახელმწიფოს წარმომადგენლებისათვის ადგილი არ არის!

**უკრაინის სახელმწიფოში ადგილი მხოლოდ ქართველი ხალხის მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი ნაცრეჟიმის ნარჩენებისათვის მოიძებნება!**

***ჯაბა ხუბუა***



**ჩაფიქრებული პერფორმანსი, ბატონო ჟანი, არადა, რა იქნებოდა, ჭეელობაში შენი საყვარელი მოტოციკლეტით — „ჰარლეი დევიდსონით“ თბილისის ცირკის კიბეზე ასულს, ცხოვრების კიბეზე სულ შვიდიოდე საფეხურის ასვლაც დაგცლოდა?!**

**გემშვიდობებით და საუკუნო საგზლად გატანთ ჩვენს სიყვარულს, ჩვენთან ერთად გატარებული წლებისა და დღეების სითბოს!**

ვნების კვირაში მიებარები შენი საყვარელი სამშობლოს მიწას და

# მეც წავედი!

„ასავალ-დასავალის“ რედაქცია უდიდესი გულისტკივილით ემშვიდობება თავის უხუცეს თანამშრომელს, ლეგენდარული „ნიანგის“ ყოფილ რედაქტორს, დამსახურებულ ჟურნალისტს, თბილისისა და მისი კოლორიტული ამბების ნამდვილ მემატიანეს **ჟანი სიხარულიძეს,** რომელმაც 93 წლის ასაკში გვითხრა — **„მეც წავედი!“** — და ზეციურ საქართველოში გადავანდა.

**100 წლამდე 7 წლით ადრე და ქრისტეს აღდგომამდე 7 დღით ადრე წავიდა კაცი, რომელსაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე სიკეთის მეტი არაფერი უკეთებია და სიყვარულის გარდა არაფერი დაუთესია!**

ჩვენთან, რედაქციაში, ხშირად ხუმრობდა — *100 წელი რომ შემისრულდება, ჩემი ხელით გავითხრი საფლავს და დროშით ხელში ჩავწვებიო!* **ეჰ, არ შედგა ეგ**

უფალმა მსუბუქი ჰყოს იგი შენთვის!

**მუდამ გვემახსოვრები და მოგვენატრები, ჯიგარო, როგორც შენ გიყვარდა თქმა! ნათელი დაადგეს შენს სულს!**

პანაშვიდი: ორშაბათს, 18 აპრილს.
დაკრძალვა: სამშაბათს, 19 აპრილს, 2 საათზე.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას მე-5 კვარტალი, 1 კორპუსი, მე-8 სადარბაზო, მე-9 სართული.

## კვირგვინოსნები

არნო ხიდირბეგიშვილი



მე, **არნო ხიდირბეგიშვილი,** ქართული ჯარის თადარიგის ოფიცერი, ხვალ რომ უკრაინაში საბრძოლველად ჩავიდე და დავიღუპო, **საქართველოში სახელმწიფომ სამხედრო პატივით უნდა დამკრძალოს და გმირად გამოაცხადოს?**

# ეკერმანი ვაიმარში და

***პეტერ ეკერმანი იოჰან ვოლფგანგ გოეთეს უახლოესი მეგობარი და მდივანი იყო, რომელიც 1823 წლიდან, ანუ გაცნობის დღიდან, უდიდეს გერმანელ მოაზროვნესა და სახელმწიფო მოღვაწეს გვერდიდან არ მოშორებია.***

1832 წლის 22 მარტს, დილის 6 საათზე, **გოეთემ** მსახურს უხმო და სარკმლებიდან ფარდების გადაწევა სთხოვა — **მეტი სინათლე შემოუშვითო!** ეს სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ბუმბერაზის უკანასკნელი სიტყვები იყო... ამ დროს **პეტერ ეკერმანი** გოეთეს სასთუმალთან იდგა და უახლოეს მეგობარს სამუდამოდ ეთხოვებოდა.

**ეკერმანმა** დაგვიტოვა შესანიშნავი მოგონებები — **„საუბრები გოეთესთან“,** რომელიც 1836-1848 წლებში გერმანიაში სამ ტომად გამოიცა. ამ წიგნის შემოკლებული თარგმანი დაბეჭდილია ქართულადაც, სადაც თავმოყრილია კაცობრიობის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნისა და შემოქმედის — გოეთეს აზრები ხელოვნებაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, პოლიტიკაზე, დემონურ ძალმოსილებაზე, პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე და ა.შ. სხვათაშორის, ამ „საუბრებში“ ეკერმანი ხაზს უსვამს იმას, რომ გოეთე კატეგორიულად წინააღმდეგი იყო პოეტის გაპოლიტიკოსებისა და ხელმწიფის ნავში ჩახტომისა...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, **ბედნიერია გერმანია, რომ ჰყავს ერის ჭეშმარიტი წინამძღოლი და მოჭირნახულე — გოეთე, რომელიც სიკვდილის წინაც მეტ სინათლეს ითხოვდა და მთელი მისი „სამაგიდო საუბრები“ ასე მხატვრულად და იშვიათი ოსტატობით აღწერა და შემოგვინახა პეტერ ეკერმანმა!** მაგრამ უბედურია საქართველო, რომ მას ჰყავს ცრუმესია, მუცელზე მფორთხავი და გარყვნილი სააკაშვილი, რომელიც **მეტი სინათლის ნაცვლად** წლებია, ითხოვს **მეტ სიბნელეს,** რათა სამეგრელოს სამალავებში გაუპატიურებული კაცების სახეები არ გამოჩნდეს და არც იმის შესახებ შეიტყოს ვინმემ, თუ როგორ გახდა ხელისუფლებაში ცალ-ცალი „კალოშით“ მოსული **ქეზერაშვილი** მილიარდერი! აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში, რატომ ჩაბარდა კოდორი და ახალგორი ტყვიის გასროლის გარეშე, რატომ ხვრეტდა ნაძირალა **რომან შამათავა** ადამიანებს შუა ზღვაში და როგორ აღმოჩნდა სტალინური არქიტექტურის მშვენება — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსები **ბიძინა ალასანიას** ხელში, რომელსაც, თურმე, ისე უჭირდა, რომ თანამშრომლები მეორად ტანსაცმელებს ჩუქნიდნენ.

**მოკლედ, თუ გოეთეს მდივანს პეტერ ეკერმანი ერქვა, ცრუმესია სააკაშვილსაც ჰყავს მოციქული, რომელსაც პიტერ აკერმანი ჰქვია. თუ პეტერ ეკერმანი გოეთეს საუბრებს ძირითადად ვაიმარში ისმენდა, პიტერ აკერმანი საუბრებსა და შეხვედრებს თავად ატარებს ბაკურიანში, სასტუმრო „რუმს კოხტაში“...**

 აი, მაგალითად, **2022 წლის 6-8 აპრილს აკერმანმა, რომელიც ჯინ შარფის მოწაფეა და აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სლობოდან მილოშევიჩისა და ევო მორალესის დამხობაში,** ხატია დეკანოიძეს, ბათუ ქუთელიას, ზურაბ გირჩი-ჯაფარიძეს, „ლელოს“, ბნელოს, გიგა ბოკერიას, მიშა მშვილდაძეს, ლიაკა ხოშტარიას, გიორგი მშვენიერაძეს, გიგა მაქარაშვილს და კიდევ რამდენიმე ნიკუტელსა და „კეზერვიზიის“ წარმომადგენელს მორალი წაუკითხა იმაზე, **თუ როგორ უნდა დაემხოს საქართველოში ხელისუფლება „არაძალადობრივად“ და როგორ უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში ალესილი ცოცხებითა და „კასტილებით“ ცრუმესია სააკაშვილი.**







**„გოეთეს საუბრები ეკერმანთან“ დარჩა როგორც კაცობრიობის მორალური სიმაღლე, ხოლო აკერმანის საუბრები მუცელზე მფორთხავებთან მორალური სიმდაბლის მაგალითი იქნება!**




# აკერმანი ბაკურიანში

როგორც კი **პიტერ აკერმანმა** ბაკურიანში საუბრები დაამთავრა, **გიგა მაქარაშვილი** მაშინვე მეძავი კურდღელივით გამოხტა და გამოაცხადა — **აქციებს ვიწყებთო!** ხოლო მიხეილ სააკაშვილმა ჯერ სასამართლო დარბაზის გალიიდან და მერე რუსთავის ციხიდან ყიჟინა დასცა — **ეს ხელისუფლება რაც შეიძლება მალე უნდა მოვაშოროთო!**

მოკლედ, **აკერმანი,** რომელიც **„გამოყენებითი არაძალადობრივი ქმედებებისა და სტრატეგიის ცენტრის“** დამფუძნებელია, 2014 წლის 24 ივლისს უკრაინაში დაფუძნებულ **„საქართველოს გათავისუფლების შტაბის“** წევრებს ბაკურიანში ლექციებს უკითხავდა და აკვალიანებდა, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო საქართველოში ხელისუფლება! **როცა ბაკურიანში გამართული საუბრების შესახებ აკერმანის მოწმეებს კომენტარი სთხოვეს, ისინი იელოვას მოწმეებივით დაიბნენ, ხოლო ამერიკის საელჩოდან ამ თემაზე ისეთი პასუხი მოვისმინეთ, რომლის გაგებაც ეშმაკსაც კი გაუჭირდება.**




**ერთი სიტყვით, გადატრიალება უნდათ ბიჭებს, რათა ქვეყანა კიდევ ერთხელ ჩააბნელონ, არიონ და ამიტომაც მოიწვიეს პიტერ აკერმანი, თორემ მეტი სინათლე და პროგრესი რომ უნდოდეთ, მაშინ პეტერ ეკერმანის „საუბრებს“ წაიკითხავდნენ და ამაზე ილაპარაკებდნენ...**

სხვათაშორის, სიკვდილის წინ გოეთე პეტერ ეკერმანთან **ფრიდრიხ შილერზე** საუბრობდა, რომელიც თავისნაირი გენიოსი იყო...

ხოლო ბაკურიანში ამერიკიდან საქართველოს ასარევად ჩამოსული **პიტერ აკერმანი** ნაძირალებთან ერთად ყველაზე უფრო დიდ ნაძირალაზე — სააკაშვილზე ლაპარაკობდა და არაფერი ამაში უჩვეულო არ იყო, რადგან აკერმანიც მისნაირი ნაძირალაა!

**„გოეთეს საუბრები ეკერმანთან“** დარჩა როგორც კაცობრიობის **მორალური სიმაღლე,** ხოლო აკერმანის საუბრები მუცელზე მფორთხავებთან ყოველთვის **მორალური სიმდაბლის მაგალითი** იქნება!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*პარლამენტარი*



არის ასეთი გამოთქმა ფრანგ როიალისტებზე — **ვერც ვერაფერი ისწავლეს და ვერც დაივიწყესო** — 200 წლის წინ არის ეს გამოთქმა და **დღესაც ზედგამოჭრილია ნაციონალური მოძრაობისა და მათი მარიონეტი** NGO **სექტორისთვის.**

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი მელაშვილი**
*„ევროპულ-ქართული ინსტიტუტის თავმჯდომარე“*



**იმედი მაქვს, ევროკავშირი გამოიჩენს წინდახედულობას** და მიუხედავად პრობლემებისა, რომელიც გაგვაჩნია, **მოახერხებს კანდიდატის სტატუსის მინიჭებას საქართველოსთვის** — ჩვენც არანაკლები სისხლი დავღვარეთ, ჩვენც მსხვერპლი ვართ.

„აიპრესი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



ევროკომისიის მიერ გადმოცემულ კითხვარში ხაზგასმული იქნება, რომ **საქართველოში დაცულია ადამიანის უფლებები, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში არ არსებობდა.** „შავ ხვრელებში“ ძრომიალი ნაციონალური მოძრაობის ნარატივს წარმოადგენს, **საქართველო უკრაინას გვერდით უდგას** როგორც პოლიტიკური, ისე ჰუმანიტარული თვალსაზრისით.

„პირველი არხი“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



**ნაცმოძრაობის რიგები გაჯერებულია პუტჩისტებით** — ეს ადამიანები დღეს სხვადასხვა ეთერში ექსპერტებად გვევლინებიან. ხუმრობით ვამბობ ხოლმე — **დავიბადე და ამ ხალხს ვუყურებ და აი, სიბერეში შევდივარ და მაინც ამ ხალხს ვხედავ პოლიტიკაში.**

„TV იმედი“

# ისევ „ხმაურს“ მიაწექით, ანუ თქვენ ვინ უნდა გადააყენოთ, თქვე თვითონ გადაყენებულებო!




**„ერთი ადგილი“ დააყენეთ, „მდუმარე აქციებს“ შეეშვით და „იხმაურეთ“, როგორც ნატა ფერაძე „ხმაურობდა“ 2012 წლამდე!**

***დანამდვილებით ვერ გეტყვით, ბაკურიანში ჩამოყვანილი ამერიკელი პოლიტტექნოლოგისა და ე.წ. არაძალადობრივი გზით რეჟიმების შეცვლის სპეციალისტის პიტერ აკერმანის ინსტრუქციით მოქმედებენ თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ნაცლიბერასტებმა თბილისში პერმანენტული „მდუმარე აქციები“ წამოიწყეს — ყოველ საღამოს თავისუფლების მოედანზე იკრიბებიან და პრემიერ ღარიბაშვილისა და მისი მთავრობის გადადგომას ითხოვენ.***

წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილი ფოტოც აღნიშნული აქციების ერთ-ერთ სერიას ასახავს — **პარტიზანი მებაღე** თუ **მებაღე პარტიზანი ნატა ფერაძე,** რომელსაც თბილისში **„ხექალას“** ეძახიან, ორიოდე თანამოაზრესთან ერთად დგას და მთავრობის გადაყენებას ცდილობს. შეგახსენებთ, რომ ეს ის **ნატა ფერაძეა,** რომელმაც ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ოპონენტის კითხვას — **„2012 წლამდე რას აკეთებდით?“** ფრიად დამაჯერებლად უპასუხა — **„რას ვაკეთებდი და ვტ...ნაურობდი!“** *(ცენზურა ჩვენია. რედ.).*

წინამდებარე ფოტოზე მკითხველმა განსაკუთრებით ორ შტრიხს უნდა მიაქციოს ყურადღება: იმას, რომ ბანერზე წერია — **„გაზულუქებული ეკლესიის გამო გადადგები“** და იმასაც, რომ **„ხექალა“ და მისი ამფსონები,** რომლებიც ქართულ მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას **„გაზულუქებულად“** მიიჩნევენ, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის გადადგომას **უკრაინის დროშის ფრიალის ფონზე** ითხოვენ.

როგორ ფიქრობთ, უკრაინის დროშის ფრიალის ფონზე **საქართველოს ეკლესიის „გაზულუქებულად“ გამოცხადება** ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილში უკრაინისადმი თანალმობას გააძლიერებს თუ პირიქით, უკრაინისადმი აგრესიას გამოიწვევს? **იქნებ ეს ყველაფერი სწორედ იმისათვის კეთდება, რომ საქართველოს მოსახლეობას ცნობიერ თუ ქვეცნობიერ დონეზე მიაწოდონ „ფარული მესიჯი“ — „ისინი, ვინც უკრაინის მხარდაჭერაზე დებენ თავს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მტრები არიან!“** იქნებ ვინმე გამიზნულად ცდილობს, უკრაინისადმი სოლიდარობა ქართველი ერისათვის გენეტიკურად მიუღებელ მოვლენასთან — ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლასთან გააიგივოს?

შესაბამისად, იბადება ლოგიკური კითხვა — **ვის თამაშს თამაშობენ და ვის წისქვილზე ასხამენ წყალს ეს „ხექალა“ ნატა ფერაძე და მისნაირი ნაცლიბერასტები,** რომლებიც უკრაინის დროშას აფრიალებენ და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას **„გაზულუქებულად“** მიიჩნევენ? **შემთხვევით კრემლის საქმეს ხომ არ აკეთებენ და უკრაინასთან პროპაგანდისტულ ომში რუსეთს ხომ არ ეხმარებიან?**

და, საერთოდ, რას ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობისათვის ნასროლი ლოზუნგი **„გაზულუქებული ეკლესიის გამო გადადგები“?** ე.ი. ირაკლი ღარიბაშვილისა და მისი მთავრობის გადადგომას ითხოვენ იმიტომ, რომ ისინი **საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ ებრძვიან, პატრიარქს არ აგინებენ, ტაძრის კარს „ურალის“ დაჯახებით არ ანგრევენ, მრევლს სპეცრაზმით არ არბევენ,** ეპისკოპოსებს საკურთხეველში არ უვარდებიან და არ აიძულებენ, ამბიონიდან მმართველი პარტიის სასარგებლოდ იქადაგონ, პატრიარქის ეპისტოლეებს არ აცენზურებენ და მათში ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად არახელსაყრელ პასაჟებს არ შლიან, არ აწარმოებენ პროპაგანდას ეკლესიის დისკრედიტაციისათვის და მოკლედ, **არ აკეთებენ ყველაფერ იმას, რასაც ნაცების რეჟიმი აკეთებდა!**

დიახ, **„ხექალა“** ფერაძისა და მისნაირი ნაცლიბერასტებისათვის **ღარიბაშვილის** მიერ **„ეკლესიის გაზულუქება“** სწორედ იმაში გამოიხატება, რომ **ღარიბაშვილი** ეკლესიის მტერი არ არის! შესაბამისად, **მათ სურთ, ღარიბაშვილი და მისი მთავრობა გადადგეს და საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდეს ძალა, რომელიც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას „არ გააზულუქებს“, ანუ მტრად გაუხდება და ბრძოლას გამოუცხადებს მას!**

პირდაპირ რომ ვთქვათ, **„გაზულუქებული ეკლესიის“** ასალაგმად აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდეს!

**პიტერ აკერმანი კი არა, მთელი მსოფლიოს მოწინავე პოლიტ-ტექნოლოგები, პიარისტები, მკითხავები და შამანები სულ რომ ერთიანად ჩამორეკონ საქართველოში, ნაცები ვერავის გადააყენებენ და ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდებიან, რადგან ისინი ქართველმა ხალხმა სამუდამოდ გადააყენა სწორედ იმიტომ, რომ საქართველოსა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მტრები არიან!**

ჰო, **„ხექალა“** ფერაძევ და **კოლექტიურო „ხექალებო“** თუ **„ხეკაცებო“,** თქვენ ვინ უნდა გადააყენოთ, თქვე თვითონ გადაყენებულებო!

ისღა დაგრჩენიათ, **„ერთი ადგილი“ დააყენოთ,** „მდუმარე აქციებს“ შეეშვათ და **„იხმაუროთ“,** როგორც ნატა ფერაძე **„ხმაურობდა“** 2012 წლამდე!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ფრანცისკე**
*რომის პაპი*



**დადე იარაღი! დაე, დაიწყოს აღდგომის ზავი.**

„რეზონანსი“

**ანდრია ჯაღმაიძე**
*საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი*



ჩვენ **რა მაგალითიც შეიძლება ავიღოთ უკრაინელი ერისგან,** ეს არის ის გაერთიანება, რაც მათ შეძლეს.

„რეზონანსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ გენერალური მდივანი*



**არ ვაპირებ, პასუხი მოვთხოვო უკრაინის ხელისუფლებას, რომ ბოდიში მოიხადონ,** არაფერი ბოდიშის მოსახდელი არ არის, ეს არის გაუგებრობა და რაც შეიძლება მალე უნდა ამოვწუროთ.

„რეზონანსი“

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ეს ხელისუფლება უკვე წასულია, ისევ ჩვენ თუ არ შევუწყვეთ ხელი დარჩენაში.**

„აიპრესი“

**ლადო კახაძე**
*„ქართული ოცნების“ წევრი*



**ნაციონალური მოძრაობა ჰააგაში უნდა გასამართლდეს 2008 წელს საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის.**

„ჯორჯიან თაიმსი“

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



**კომუნიზმში შესვლა შეიცვალა ევროკავშირში მიღებით.** ასეთი ანკეტა-კითხვარი თურქეთმა შეავსო **40 წლის წინ** და დღესაც იხვეწება, ევროკავშირში მიმიღეთო.

„GTMEDIA“



# რუსეთთან საომრად დაქირავებული ქვეყნის ტრაგედია

ვახტანგ ხარჩილავა

*ეს ამბავი ათიოდე დღის წინ მოხდა საქართველოს ერთ-ერთ სოფელში.*
***ქელეხის სუფრაზე თამადამ უკრაინის სადღეგრძელო შესთავაზა სუფრის წევრებს და მოუწოდა, ფეხზე ადგომით ეცათ პატივი მათი გმირული ბრძოლისთვის.*** *ერთი ქალბატონი არ თუ ვერ ადგა, რამაც სუფრის ხელმძღვანელის დიდი გულისწყრომა გამოიწვია და ქალბატონი უშვერი სიტყვებით გამოლანძღა. ქალბატონს ორი მამაკაცი გამოესარჩლა.*
*რას ჰქვია, გამოესარჩლეთო და თამადის ხელმძღვანელობით ეს ორი მამაკაცი მაგრად გალახეს.* ***გალახულებმა ახლობლებთან გადარეკეს და სულ მალე ფრონტის ხაზთან ოცკაციანი რაზმი მოვარდა, რომელმაც გამლახველები უმოწყალოდ სცემა. ჩხუბს გამვლელ-გამოვლელებიც შემოუერთდნენ და პოლიცია დროზე რომ არ მოსულიყო, ინციდენტი შეიძლებოდა, ადგილობრივი მნიშვნელობის „სამოქალაქო ომში“ გადაზრდილიყო.***
*აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ქალბატონს, 84 წლის ცნობილ მეჩაიეს, სხვა არანაირი კავშირი არ ჰქონდა უკრაინასთან, გარდა ერთისა — ძალიან უყვარდა უკრაინული სალა, რომელსაც უკრაინაში სამუშაოდ წასული შვილიშვილი უგზავნიდა ხოლმე.*

•

რაც იმ სოფელში მოხდა, იგივე ხდება დანარჩენ საქართველოშიც, რომელიც თითქოს ერთი დიდი სოფელი გახდა, სადაც ერთ მხარეს უკრაინული დროშებით „შეიარაღებული“ ქართველები დგანან, უკრაინის ჰიმნს აგუგუნებენ და რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას ითხოვენ.

მეორე მხარეს უდროშო ქართველები შეკრებილან, რომლებსაც ასევე ძალიან უყვართ უკრაინელები, მაგრამ, ამასთან ერთად, ძალიან უყვართ საკუთარი სამშობლო და იმაზე ფიქრობენ, ჩვენ რომ სანქციები გამოვუცხადოთ რუსებს და მეორე ფრონტი გავუხსნათ, ემანდ, მთელი ქვეყანა ერთ დღეში მიწასთან არ გაასწორონო. თანაც, არც შემოსასვლელები და არც შემოსაჭრელები არიან საიდანმე — შემოსულებიც არიან და შემოჭრილებიც, სამხედრო ბაზებიც აქვე, ჩვენსავე ტერიტორიაზე აქვთ გახსნილი და ყველა ამ „სიკეთეებთან“ ერთად, ფაქტობრივად, ალყაში ვყავართ მოქცეული.

**ერთი ჰოპ და არ არის ეს შენი საქართველო.**

კი მაგრამ, ამით რა ხსნა და რა შველა უკრაინელებს? — ფიქრობენ ეს უდროშო ქართველები, მეორე მხრიდან კი მათი მისამართით „დროშიანების“ ლანძღვა-გინება ისმის: ფუჰ, თქვე მშიშრებო და ლაჩრებო, ომის გეშინიათ? რუსეთის მომხრეები ხართ თქვენ, პუტინის მოკავშირეები ხართ.

დღეს საქართველოში ასეა მიღებული — **თუ საქართველოზე ფიქრობ და დარდობ, თუ საქართველოს გამო სიფრთხილეს და წინდახედულობას იჩენ, ე. ი. რუსეთის მხარეს ხარ, ხოლო, თუ იმისთვის ხარ მზად, რომ ეს ქვეყანა დაუფიქრებლად და დაუნანებლად შეუგდო რუსული ტანკების მუხლუხოებს — პატრიოტი.**

ამ უცნაური ლოგიკის მიხედვით, ჩვენ, ვინც კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით საქართველოში რუსეთ-უკრაინის ომის „ფილიალის“ გახსნას, რუსეთის მომხრეები ვყოფილვართ, სამაგიეროდ, **ზელენსკი, სააკაშვილი, დეკანოიძე, დანილოვი, ხაბეიშვილი, გვარამია, კულება, ადეიშვილი, საყვარელიძე, არესტოვიჩი** პატრიოტები არიან.

**ვახო სანაია** გამომრჩა კინაღამ — სადაზვერვო „სვოდკებს“ რომ გადასცემს ღია ეთერში და საქართველოს რუსეთისთვის კონტრაბანდული იარაღის მიწოდებაში სდებს ბრალს.

•

უკრაინის ხელისუფლების სრული უპატივცემულობა საქართველოსადმი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა 2012 წლის არჩევნებში დამარცხებული ნაცმოძრაობის წევრებს, რომელთა შორის ბევრს მძიმე დანაშაულში ედებოდა ბრალი, ფართოდ გაუღო კარი და საპასუხისმგებლო თანამდებობები ჩამოურიგა.

ასე გაჩნდა **მეორე ნაცმოძრაობა უკრაინაში** თავის ბელადთან სააკაშვილთან ერთად, რომელიც მალე ოდესის გუბერნატორი გახდა და თავისი „შანტრაპაც“ თან წაიყოლა.

**უკრაინის ხელისუფლებამ სულ ცალ ფეხზე დაიკიდა ურთიერთობის დაწერილი თუ დაუწერელი ნორმები, ფეხებზე დაიკიდა საქართველოს სამართლიანი პროტესტი და კრიმინალ ნაციონალებს სრული კარტბლანში მისცა.**

ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს ის რომ გაეკეთებინა, რაც უკრაინამ საქართველოს აკადრა, ალბათ, დაუყოვნებლივ გაწყვეტდა მასთან ყოველგვარ კავშირს, უკრაინის შემთხვევაში კი მსგავსი არაფერი მომხდარა, **ამის მიზეზი კი საქართველოს ხელისუფლების უთავმოყვარეობასა და უპრინციპობაში კი არა, სულ სხვაგან არის საძიებელი.**

საქართველო ურთიერთპარტნიორობისა და თანამშრომლობის იმ ვალდებულებით არის ხელფეხშეკრული, **რომელიც დასავლეთმა ამ ორ სახელმწიფოს სავალდებულო ნორმად დაუწესა** — უკრაინას და საქართველოს ერთი მტერი ჰყავს — რუსეთი, ამიტომ ჩვენ აუცილებლად ერთად უნდა ვიყოთ.

ამ „განაჩენიდან“, ამ „უღლიდან“ თავის დაღწევა რომ სცადოს, საქართველოს მყისვე მიეკერება მოღალატის და რუსეთის მოკავშირის იარლიყი.

სწორედ ამით სარგებლობს უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლება და საქართველოს ხელისუფლებას აშანტაჟებს, შეურაცხყოფას შეურაცხყოფაზე აყენებს. **უკრაინის ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ქართველი ხალხის უმრავლესობა უჭერს მხარს და, აქედან გამომდინარე, ის შეურაცხყოფას აყენებს არამარტო სახელისუფლო გუნდს, არამედ მილიონობით ქართველს, რომელიც საკუთარ შვილებს აკლებს ლუკმას და უკრაინელებს უგზავნის.**

ამ დროს ზელენსკის და მისი გუნდის განცხადებებს რომ უსმინო, შეიძლება იფიქრო,

# ერიდეთ უკრაინულ



## კვირგვინოსნები



არჩილ თალაკვაძე
*პარლამენტარი*

ბაკურიანში შეხვედრა იყო **სასოწარკვეთილი ოპოზიციონერი პოლიტიკოსების შეხვედრა** — ვერანაირ **გადატრიალებას,** ვერანაირ **რევოლუციას** ვერავინ დაგეგმავს.

„ახალი თაობა“



გია გაჩეჩილაძე
*მომღერალი, ტელეწამყვანი*

საქართველოში ჩამოსული იყო პიროვნება **პიტერ აკერმანი,** ამერიკელი, რომელიც **სახელმწიფო გადატრიალებების** მოქმედებაშია დაოსტატებული. ბაკურიანში შედგა შეხვედრა და ტრენინგები ჩაატარა ქართულ ოპოზიციასთან და არამხოლოდ მათთან. **ნურავის ექნება ტყუილად იმედი, რომ ამ ქვეყანაში გადატრიალების მსგავს რაიმეს მოაწყობს.** მინდა, ხელისუფლებას დავუსვა კითხვა და პრეტენზია გამოვთქვა. თქვენ თუ იცოდით, რომ ასეთი პიროვნება ჩამოდიოდა საქართველოში, **რატომ არ აღკვეთეთ მისი ჩამოსვლა? რატომ შემოუშვით საქართველოში და რატომ მიეცით იმის უფლება, რომ ეწარმოებინა ასეთი ტრენინგები ბაკურიანში? აქ 26 მაისს ვინც ბუჩა მოაწყო, ის დანიშნეს დაზვერვის უფროსის მოადგილედ უკრაინაში და ყველაფერს განკარგავს.** იმ ხალხს, ვისაც ჩვენ ვეძებთ, თანამდებობებზე რომ ნიშნავს, ეს რა არის?! **ეს მტრული სახელმწიფო არ არის?!** მე ხალხსა და იმ მოსახლეობაზე, რომელიც ამ ყველაფერს შეწირულია, ლაპარაკი არ მაქვს. **ვისაც ამ ქვეყანაში ხალხი ადარდებს, ვისაც მშვიდობა უნდა და არა ომით გამდიდრება** და ფულის შოვნა, იმას ებრძვიან.

„საქართველოს რესპუბლიკა“



ბექა ოდიშარია
*პარლამენტარი*

თუ ოდესმე უკანონო გარიგებაში შესვლა მიკადრია, **მაგ ნაგვის ურნიდან თავი არ ამოეყოთ ჩემს შვილებს,** თუ კიდევ ვინმე ჩემი ოჯახის სიბინძურეში გასვრას ეცდება, **მათთვისაც იგივე მისურვებია.**

„აიპრესი“

# იქნებ ვინმემ გამაგებინოს, რატომ ჰქვია ამ ომს რუსეთ-უკრაინის ომი, როცა ეს ომი, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომია, სადაც რუსეთი და დასავლეთის ქვეყნები უპირისპირდებიან ერთმანეთს!



რომ უკრაინა, რუსეთის პარალელურად, საქართველოსთანაც დაპირისპირებაშია, იმდენად მტრული და აგრესიულია ის დაუსაბუთებელი, ფაქტობრივად, ჰაერიდან მოტანილი ბრალდებები, რომელსაც ზელენსკის გუნდის ხან ერთი წარმომადგენელი გამოისვრის საქართველოს მისამართით, ხან — მეორე, ხან — მესამე.

რა უნდათ, რას გვემართლებიან?

**რა უნდათ და მეორე ფრონტი უნდა გავხსნათ თურმე, რომ, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა ᲓᲐᲜᲘᲚᲝᲕᲛᲐ ბრძანა, რუსებს უკრაინელების ხოცვის გარდა, სხვა საქმეც გამოუჩნდეთ და უკრაინისთვის გამოყოფილი ბომბების მარაგის ნაწილი ჩვენ დავიყაროთ თავზე.**

ჩვენდა გასაკვირად, უკრაინის ხელისუფლება რაღაც ძალიან იოლად იმეტებს საკუთარ მოსახლეობას დიდი უბედურებისა და განსაცდელისთვის.

**— ზელენსკი გმირია! ზელენსკი ნობელის პრემიაზე უნდა წარვადგინოთ!** — ხშირად ისმის ასეთი განცხადებები დასავლეთიდან.

კი მაგრამ, რა დამსახურებისთვის უნდა წარადგინოთ ზელენსკი ნობელის პრემიაზე ან რატომ არის ეს კაცი გმირი? **ნუთუ იმიტომ, რომ ვერ ააცილა თავის სახელმწიფოს ეს აპოკალიფსური ომი,**

# ხაფანგს!




**რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა თუ იმიტომ, რომ ნახევარი უკრაინა მიწასთან არის გასწორებული, ხოლო მილიონობით ადამიანი ქვეყნიდან გაქცევით ცდილობს, თავს უშველოს.**

ადრე თუ გვიან დამთავრდება ეს ომი და უკრაინელი ხალხი მომხდარს რომ გააანალიზებს, აუცილებლად მოსთხოვს პასუხს ბატონ ზელენსკის და მის თანამზრახველებს, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა.

●

სხვა მიზეზთა შორის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ეს ომი დაიწყო, **ნატოში უკრაინის გაწევრიანების საკითხი იყო.**

ომის დაწყებიდან მცირე ხანში ნატოს გენერალური მდივანი **ᲘᲔᲜᲡ ᲡᲢᲝᲚᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ** გამოვიდა და განაცხადა, რომ უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხი არც ახლა და არც ახლო მომავალში საერთოდ არ განიხილება.

**ეს განცხადება, როგორც ვთქვით, ომის დაწყების შემდეგ გაკეთდა. არადა, ომის დაწყებამდე რომ ეთქვა ბატონ იენსს ის, რაც ომის დაწყების შემდეგ თქვა, შეიძლებოდა, ეს ომი საერთოდ არ დაწყებულიყო.**

არც ომის დაწყების შემდეგ გამოუჩენია დიდი აქტიურობა ნატოს.

გამოდის, რომ უკრაინა ნატოზე ოცნებას შეეწირა, სადაც მის მიღებას არავინ არ აპირებდა თურმე.

**— ცა მაინც გადამიხურეთ, რომ რუსული ბომბები და რაკეტები თავზე არ გვაცვიოდესო, — დიდხანს იხვეწებოდა ზელენსკი, მაგრამ ბოლოს დაიღალა, ხვეწნა-მუდარას შეეშვა და ნატოს კრიტიკაზე გადავიდა.**

ნატომ იმედები გაუცრუა უკრაინას, სამაგიეროდ, აშშ და ევროკავშირის ქვეყნები ამოუდგნენ გვერდში და უხვად ამარაგებენ იარაღით.

— იარაღი, იარაღი და იარაღი! დანარჩენს ჩვენ მივხედავთო, — ამბობს **ᲙᲣᲚᲔᲑᲐ,** იმის ნაცვლად, რომ მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა! იძახოს.

რომც იძახოს, არავინ აღირსებს მშვიდობას უკრაინას, რადგან **ის რუსეთთან ომისთვის, რუსეთის გასანადგურებლად „დაქირავებული“ ქვეყანაა და ამ ომიდან გამოსვლის და „დეზერტირობის“ საშუალებას მას არავინ მისცემს.**

**— ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲡ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲫᲐᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ.**

ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უნდათ, იგივე გააკეთონ საქართველოშიც — საქართველო რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების პოლიგონად აქციონ, ჩვენ, ქართველები კი, საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენონ.

**არ ღირს ამის გაკეთება — ჩვენ 46-მილიონიანი უკრაინა ხომ არ ვართ, სულ 4 მილიონამდე ვართ, თანაც, კაი გვარიანად ნაშიმშილევი და იმდენი რა ხორცი უნდა დაგვცვივდეს, რომ რუსეთს ერთ წავახშმებად მაინც ეყოს.**

●

ბატონო ზელენსკი, ხომ გაფრთხილებდნენ, რომ ეს საშინელება მოხდებოდა, ხომ წინასწარ იცოდით, რომ უკრაინის მიწაზე ეს ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა?

**იცოდით, ყველაფერი იცოდით, ამიტომაც თქვენც თანამონაწილე ხართ იმ საშინელებისა, რაც დღეს უკრაინაში ხდება ისე, როგორც თანამონაწილეა ყველა, ვინც უკრაინას ომისკენ უბიძგებდა, ვინც დახმარებას, გვერდში დგომას ჰპირდებოდა, ოღონდ რუსეთთან არავითარ კომპრომისზე არ წასულიყო.**

ზელენსკიმაც ინსტრუქცია ზედმიწევნით კარგად შეასრულა, შედეგი კი, რომელიც ამ დავალების შესრულებას მოჰყვა, რუსული ბომბების სახით უკრაინელ ხალხს დაატყდა თავზე კოშმარულ უბედურებად. ახლა ზელენსკიმ რომც გაბედოს და ომის შესაჩერებლად დათმობებზე წავიდეს, პირველსავე ხეზე ჩამოჰკიდებენ ფეხებით, მეზობელ ხეებზე კი კულებას, არახამიას, დანილოვს, არესტოვიჩს ჩამოაკონწიალებენ.

**დასავლეთი, ჯერჯერობით, არ აზუსტებს, როგორ და რანაირად უნდა გაიმარჯვოს ამ ნახევრად დანგრეულმა უკრაინამ ან როგორ უნდა განადგურდეს უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული რუსეთი, რომელსაც ბირთვული იარაღის ისეთი მარაგი აქვს, რომ მოინდომოს, მთელ მსოფლიოს ააფეთქებს.**

ასე რომ,

## ᲐᲛ ᲝᲛᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲑᲚᲔᲤᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ.

**— სლავები არიან, ერთი ჯიშის და ერთი ხორცის არიან და ასე როგორ იმეტებენ ერთმანეთს?** — გვიკვირს და ის კი არ გვახსოვს, ამ ოცდაათიოდე წლის წინათ სწორედ ჩვენ, ქართველები, როგორი დაუნდობლობით და სისასტიკით გავუსწორდით ერთიმეორეს.

**— ჩვენ, ცივილიზებულმა სამყარომ, უნდა დავიცვათ უკრაინა აგრესორის ბარბაროსული ქმედებებისგან,** — ღაღადებენ მსოფლიო პოლიტიკის ლიდერები, მაგრამ რომელია ეს ცივილიზებული სამყარო? ის ხომ არა, რომელიც გუშინ თუ გუშინწინ ზუსტად იმავეს აკეთებდა, რასაც დღეს პუტინი აკეთებს?

**ამ „ჰუმანური“ და „ცივილიზებული“ სამყაროს ბომბები არ იყო, გუშინ თუ გუშინწინ ზუსტად ისე რომ ხოცავდა ბავშვებს, ქალებს, მშვიდობიან მოსახლეობას, როგორც დღეს რუსული ბომბები ხოცავს?**

დიახ, რუსებზე ნაკლები დანაშაული არც ამერიკელებს აქვთ ჩადენილი, არც ინგლისელებს, არც თურქებს, არც ფრანგებს, არც არაბებს, არც გერმანელებს, არც სპარსელებს, არც მონღოლებს... ძალიან გრძელი სია გამოვა და ჩამოთვლას არ გავაგრძელებ.

**— თქვენ ოღონდ იომეთ და იარაღს არ მოგაკლებთ,** — აიმედებენ ცივილიზებული სამყაროს ლიდერები უკრაინის ხელისუფლებას და ესენიც ძალიან ბედნიერები არიან, **იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ბაიდენის მიერ გამოგზავნილი ერთი რაკეტის ნაცვლად ორი ან სამი პუტინის რაკეტა დაუბრუნდებათ უკან „ხურდად“, რომელიც ისევ დაანგრევს მათ სოფლებს და ქალაქებს, ისევ დახოცავს მშვიდობიან მოსახლეობას.**

მსოფლიო პოლიტიკის ლიდერებს მართლაც გულწრფელად თუ სურთ ამ შემზარავი ომის შეჩერება, მაშინ სანქციებზე და შეიარაღების გაძლიერება-გაფართოებაზე კი არა, მშვიდობაზე უნდა ლაპარაკობდნენ.

**არადა, რაც რუსეთ-უკრაინის ურთიერთობაში ხდება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დატოვებული მემკვიდრეობის გამოძახილია, რომლის ავტორებიც ლენინი და ხრუშჩოვი არიან.**

## ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲥᲔᲗ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ „ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲡ“ ᲐᲦᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲑᲡ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ „ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘ“ ᲖᲔᲓᲛᲘᲬᲔᲕᲜᲘᲗ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ?

**საქართველო არ უნდა გაებას იმ ხაფანგში, რომელშიც უკრაინა მოხვდა. საქართველომ არ უნდა იწვნიოს დაქირავებული ქვეყნის ტრაგედია!**

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲩᲣᲙᲘ**
*უკრაინის უმაღლესი რადის თავმჯდომარე*



**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ** ყოველთვის მხარს უჭერდა **ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ,** ის მნიშვნელოვანი რეზოლუციების თანაავტორია.

„TV ᲘᲛᲔᲓᲘ“

**ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲘᲠ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ**
*უკრაინის პრეზიდენტი*



ქვეყნები, რომლებიც **რუსული ნავთობის ყიდვას განაგრძობენ,** სხვისი სისხლის ხარჯზე შოულობენ ფულს.

„ᲑᲘᲑᲘᲡᲘ“

**ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲛᲐᲙᲠᲝᲜᲘ**
*საფრანგეთის პრეზიდენტი*



**რუსები და უკრაინელები ძმები არიან,** ფრთხილად ვიქნებოდი **„გენოციდის“** ტერმინის გამოყენებასთან.

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲚᲣᲙᲐᲡ ᲛᲐᲜᲓᲚᲘ**
*ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკური ჯგუფის წევრი*



როცა თბილისის ქუჩებში **ᲕᲮᲔᲓᲐᲕ** უკრაინის ბევრ დროშას, **ᲕᲮᲔᲓᲐᲕ** საქართველოდან გაგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთის რაოდენობას, **ᲐᲠ ᲛᲘᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲔᲭᲕᲘ** ქართველი ხალხის სოლიდარობაში.

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**ᲓᲛᲘᲢᲠᲝ ᲙᲣᲚᲔᲑᲐ**
*უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი*



**გერმანიისა და საფრანგეთის მიერ დაშვებული სტრატეგიული შეცდომა** არის ის, რის საფასურსაც ჩვენ ვიხდით — **ნატოს წევრი რომ ვყოფილიყავით, ეს ომი არ მოხდებოდა.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



**უკრაინას ჩვენზე ადრე თუ მიანიჭეს კანდიდატის სტატუსი,** გული არ უნდა გავიტეხოთ. **შესაძლოა, წევრი მათზე ადრე გავხდეთ.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

*— 2022-2024 წლებში მოხდება გააფთრებული ბრძოლები იდეალების, ტრადიციების, რელიგიების, ავტორიტეტების, იდენტობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ!* ***— ეს პოლიტოლოგისა და პროფესორის ლალი მოროშკინას პოლიტიკური პროგნოზია, ხოლო ის, რაც დღეს რუსეთსა და უკრაინას შორის ხდება, მისი აზრით, ჩვეულებრივ ომზე გაცილებით მეტია:***



# „დროა, ყველა მიხვდეს: მესამე წელია, გლობალისტები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხალხი ქრისტეს აღდგომას ეკლესიაში არ შეხვდეს!“




## ლალი მოროშკინა:

# უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა დაამტკიცა, რომ ე.წ. პანდემიით მესამე მსოფლიო ომი დაიწყო!

— უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა დაამტკიცა, რომ ე.წ. პანდემიით მესამე მსოფლიო ომი დაიწყო! **ავადობა მისტიკა უფრო იყო, ვიდრე რეალური პანდემია.**

დღეს უკრაინაში რუსეთი უკრაინას კი არა, ამერიკის შეერთებულ შტატებს ებრძვის, იმ გეგმის განხორციელებაში ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვითაც დედამიწაზე მოსახლეობა ერთ მილიარდამდე უნდა შემცირდეს.

არის მეორე ვერსიაც — რუსეთი ცდილობს, იურისდიქცია აღიდგინოს იმ ქვეყნებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირში შედიოდნენ. ამ პოზიციას დოკუმენტებით ამყარებს, სადაც წერია, რომ ქვეყნები, რომლებიც პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე იყვნენ, ნატოს წევრები არასოდეს გახდებოდნენ. **ნებისმიერ შემთხვევაში,**

## ეს არის ბრძოლა მსოფლიოს ახალი გადანაწილებისთვის, რომელიც 2 წლის წინათ პანდემიის გამოცხადებით ჩინეთიდან დაიწყო!

ამ გლობალურ პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ჩინეთის როლი, რომელსაც თავისი პრეტენზიები აქვს.

**— მაინც, რა პრეტენზიები?**

— ჩინეთი იმდენად მყარად დგას ფეხზე და ინდუსტრიულად ისე განვითარდა, რომ მარტივად შეუძლია, ნებისმიერი რესურსი ჩაიგდოს ხელში. ნიშანდობლივია, რომ იქ ახლა პანდემიის მეორე ტალღაა და შტატებმა სრულად გაიყვანა თავისი დიპლომატები. **იმდენად მკაცრი ლოქდაუნია გამოცხადებული, რომ ხუთ დღეში ერთხელ უშვებენ ხალხს საკვების საყიდლად. სახლიდან გამოსულებს სპეცბრიგადები ხვდებათ, აღრიცხავენ და ასაცრელად მიჰყავთ.**

**— ეს რაზე უნდა მიანიშნებდეს?**

— ფილოსოფოსების ნათქვამია — ომის წინ გამოაცხადე საგანგებო მდგომარეობაო... ტვინგამორეცხილი ადამიანი კარგი საზარბაზნე მასალაა. გარდა იმისა, რომ ჩინეთი საკუთარი მოსახლეობის ზომბირების ბოლო ფაზაშია, საგანგებო განცხადებაც გააკეთეს — **ყველაფერი უკრაინის ლაბორატორიებიდან მოდისო.** არ გამოვრიცხავ, ახლაც იმიტომ გამოცხადდა ასეთი მკაცრი ლოქდაუნი, რომ საბოლოოდ უკრაინას დააბრალონ ვირუსის გავრცელება, რაც ხაზს გაუსვამს ამ ბრძოლაში ჩინეთის რუსეთთან მოკავშირეობას, თუმცა, არ ვთვლი, რომ რუსეთს დამატებითი რესურსი სჭირდება. რუსეთის უპირველესი ამოცანა იყო დაჟანგებული, წლობით მდგარი ტექნიკის ჩამოწერა! ახლა უკვე ბრძოლის მეორე ფაზაზე გადავიდა.

**— საინფორმაციო საშუალებები მაინცდამაინც დიდ აქცენტს არ აკეთებენ პანდემიაზე...**

— ახლახან ჯანმოს ხელმძღვანელმა განაცხადა — ჯერ კიდევ შორია პანდემიის დასრულებამდეო, თუმცა, უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებები არ აძლევთ საშუალებას, პანდემიას უფრო მასშტაბური სახე მისცენ. ბოლო-ბოლო, ადამიანები ომში პირბადით ხომ არ იბრძოლებენ?!

გლობალისტების გეგმებში არ შედიოდა ხანგრძლივი ომი უკრაინაში და რომ არა ის უბედურება, რაც ახლა იქ ხდება, დარწმუნებული ვარ, ახალი კოვიდ-სპექტაკლი გათამაშდებოდა პათეტიკური ტექსტებით, კუბოების ტრიალითა და ქვეყნების ჩაკეტვით. რაც მთავარია, მუშტის ქნევით, რომ აღდგომაზე ეკლესიები დაიხურება. დროა, ყველა მიხვდეს — მესამე წელია, გლობალისტები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხალხი ქრისტეს აღდგომას ეკლესიაში არ შეხვდეს!

**— აცხადებთ — ავადობა მისტიკა უფროა, ვიდრე რეალური პანდემიაო, ანუ თვლით, რომ ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევა არ არის?**

— მეტი სიცხადე უნდა გახდეს საჭირო, რათა ბოლო ჟამის მოახლოება დავინახოთ?! ამიტომაც არიან გლობალისტები განსაკუთრებულად გააქტიურებული. ჯერ იყო აფროამერიკელთა გაფიცვა, როდესაც სრულიად ამერიკამ ფერადკანიანებს დაუჩოქა.

## მგონი, დღეს მაინც ყველა ხვდება, რომ კორონა ჩვეულებრივი სახადი გრიპი იყო და არა მომაკვდინებელი ვირუსი. ადამიანები

## დიდწილად არასწორი პროტოკოლითა და მკურნალობით გარდაიცვალნენ. პაციენტი სურდოთი რომ შედიოდა, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე აერთებდნენ და ფილტვებს უხეთქავდნენ.

ამას თან ერთვოდა ისტერიკა და სტრესი, რომლის მიზანიც ადამიანის ბოლომდე დაკნინება და ზომბირება გახლდათ. იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან, ამის გამო აუცილებლად აგებენ პასუხს ე.წ. ეპიდემიოლოგები!

როგორ გგონიათ, ამ გაგანია ომში რატომ რჩება გაზსადენები ხელუხლებელი? საომარი მოქმედებები მიდის, აქეთაც და იქითაც ახალგაზრდა, საჯიშე ბიჭები კვდებიან, ქალაქები ინგრევა და გაზსადენი ლამაზად შეფუთული რჩება, არცერთი ბარელი არ დაკარგულა!!!

**— თქვენ როგორ ახსნით ამას?**

— ესეც ისეთივე ფეიკია, როგორც პანდემია! კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მსოფლიოს გადანაწილება ხდება.

## უკრაინაში მიიჩნევენ, რომ ზელენსკი გამყიდველია! ბევრი ახლობელი მყავს იქ და ვიცი, სახლში ჩუმად სხედან და ელოდებიან ფინალს. ზელენსკის გმირად




## „დააკვირდით გლობალისტების ტაქტიკას — ჯერ ეკრანზე აჩვენებენ, რა იქნება მომავალში და შემდეგ იწყებენ რეალურ ცხოვრებაში მის განხორციელებას. ასე იყო ზელენსკის შემთხვევაშიც. ჯერ ფილმში გახდა პრეზიდენტი, სადაც უკრაინა მარტივ მამრავლებად დაიყო და ახლა ეს პროცესი რეალურ ცხოვრებაში მიდის!“

## კვირგვინოსნები

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**საქაშვილის წამოცდენები პირდაპირი ჩვენებებია, რომლებიც გამოძიებისთვის უმოკლესი გზაა დანაშაულის გახსნამდე. მან პირდაპირ აღიარა, რომ პუტინს 30-ჯერ შეხვდა — წამოსცდა.** როდის და რატომ შეხვდა პუტინს?! დანარჩენი საქართველოსთვის მხოლოდ ორი ოფიციალური შეხვედრაა ცნობილი.

„TV იმედი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



უკრაინა მრავალი წელია, გადაიქცა კოლექტიური **საყვარელიძეების, სააკაშვილების, ადეიშვილების, ლორთქიფანიძეების,** აქედან გაქცეული ნაციონალური მოძრაობის **კრიმინალების ნაკრძალად.**

„TV იმედი“

**გიორგი ახვლედიანი**
*ანალიტიკოსი*



უკრაინული მხრიდან საქართველოზე განხორციელებული ყველა შეტევა **ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ჩანერგილი ადამიანების ნამოქმედარია.** საზოგადოება უნდა მოემზადოს, რადგან **მალე ნაცმოძრაობა ბევრი პროვოკაციის აგორებას შეეცდება.**

„პრაიმტაიმი“

**მამუკა გამყრელიძე**
*ყოფილი დიპლომატი*



ოპოზიციამ რაც არ უნდა **იყვიროს, იწივლოს და იკივლოს,** რეალურად **საქართველომ** საერთაშორისო ორგანიზაციებში, **ყველგან მხარი დაუჭირა უკრაინას.**

„ახალი თაობა“

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



**ნატოში** გაწევრიანება ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე **ევროკავშირში.** არ მახსენდება პრეცედენტი, როდესაც ერთ მთავრობას დაეწყოს გაწევრიანების პროცედურები და მასვე დაესრულებინოს.

„ახალი თაობა“

# „საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ ქართველი და უკრაინელი ნაციონალები იმ ფულის მიტაცებას ცდილობენ, რომელიც დანგრეული უკრაინის აღსადგენად და ოჯახების დასახმარებლად არის გამოყოფილი!“




## მხოლოდ რამდენიმე ოპოზიციურ არხზე სახავენ. საღად მოაზროვნე ადამიანები კი კარგად ერკვევიან ამ ბინძურ თამაშში!

დააკვირდით გლობალისტების ტაქტიკას — ჯერ ეკრანზე აჩვენებენ, რა იქნება მომავალში და შემდეგ იწყებენ რეალურ ცხოვრებაში მის განხორციელებას. **ასე იყო ზელენსკის შემთხვევაშიც. ჯერ ფილმში გახდა პრეზიდენტი, სადაც უკრაინა მარტივ მამრავლებად დაიყო და ახლა ეს პროცესი რეალურ ცხოვრებაში მიდის.** ზელენსკიმ იცოდა ეს გეგმა და თავისი ხალხი მაინც გაიმეტა.

**— და მაინც, დღემდე მიდის ცხარე დისკუსია იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ომი მხოლოდ უკრაინელების საბრძოლველი არ არის, იქ საქართველოს ბედიც წყდება!**

— ამ ომში უკრაინელები არ იბრძვიან და ქართველებმა რატომ უნდა იომონ?

## უკრაინაში მთელი მოსახლეობის მხოლოდ ორი პროცენტი იბრძვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ერი საბრძოლველად არ გამოვიდა! ძირითადად დაქირავებული ჯარისკაცები ომობენ, რომელსაც ყოველდღიურად სოლიდურ თანხას უხდიან.

**ვერავინ იტყვის, უკრაინელები ვაჟკაცები არ არიანო, თუმცა, თვლიან, რომ ეს ომი მათი საბრძოლველი არ არის. დიდ, ბინძურ პოლიტიკას, სადაც ზელენსკი უკრაინის პრეზიდენტის როლს თამაშობს, არ უნდა შესწირონ თავი.** ძალიან ბევრი ტურისტია საქართველოში ჩამოსული, მათ შორის, უკრაინიდან, რომლებიც ისე სრიალებდნენ გუდაურში, ვითომც არაფერი. ჯერ მათ მიხედონ თავიანთ ქვეყანას და მერე ჰქონდეთ ჩვენთან პრეტენზიები.

**— თქვენც ფიქრობთ, რომ ზელენსკი და მისი ხელისუფლება ნაციონალებს უგორებენ კოჭს?**

— არათუ ვფიქრობ, **დარწმუნებული ვარ, რომ ზელენსკი ადეიშვილის მართული ბიჭია.** ზურაბ ადეიშვილი არ არის უკრაინაში ხელწამოსაკრავი ფიგურა, ის ხვდება ჰააგის პროკურორებსა და სპეცდელეგაციებს. ამაზე მეტი გავლენა რაღა გინდათ?! პირდაპირ ვამბობ — უკრაინაში მოკალათებული კრიმინალი ნაციონალების სურვილია, ქართველები გაიჟუჟონ და ოღონდ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, აბსოლუტურად ყველაფერზე მიდიან! ასევე საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ საქართველოში შემოვიდა ფონდები, რომლებიც უკრაინელებისა და ქართველების მიერ კონტროლდებიან, ევროპიდან და ამერიკიდან წამოსულ ტრანშებს იყოფენ!

**— ეს ხომ მათი უძველესი ხელწერაა...**

— მსოფლიოდან წამოსული ფული ახლაც ნაციონალების ჯიბეში, მათ მიერ მართულ არასამთავრობოებში ილექება და ამის შესახებ უტყუარი ინფორმაცია მაქვს. კონკრეტული ფონდების სახელწოდებებიც ვიცი, სადაც თანხების აკუმულირება ხდება. მგონი, ყველასთვის გასაგებია, რისთვისაც მოიხმარენ ნაციონალები ამ თანხებს. **ქართველი და უკრაინელი ნაციონალები იმ ფულის მიტაცებას ცდილობენ, რომელიც დანგრეული უკრაინის აღსადგენად და ოჯახების დასახმარებლად არის გამოყოფილი.**



> „უკრაინაში მოკალათებული კრიმინალი ნაციონალების სურვილია, ქართველები გაიჟუჟონ და ოღონდ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, აბსოლუტურად ყველაფერზე მიდიან!“



# „რუსეთის უპირველესი ამოცანა იყო დაჟანგებული, წლობით მდგარი ტექნიკის ჩამოწერა!“

**— თქვენი პროგნოზი როგორია, როდის და რა შედეგით დასრულდება ეს ომი?**

— ვფიქრობ, რუსეთი ახლა ნერვების ომს აწარმოებს და ჯერჯერობით იგებს. ამ სიტუაციით თუ ვინმემ იხეირა, სწორედ რუსეთია! მას ენერგორესურსებიდან ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხა შესდის. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ რუსეთს ჰქონდა სასიგნალო ექსპერიმენტი ბელარუსის სახით, რომელმაც უარი თქვა იმპორტზე და ისე შეძლო ცხოვრების გაგრძელება. ასე რომ, რუსეთს შეუძლია, მშვენივრად დაიკმაყოფილოს თავი და მეზობლებსაც გადასწვდეს. ცოტა ხნით რაღაცაზე უარის თქმით იმაზე მეტს მოიგებს, ვიდრე დაკარგეს. **დაზარალებულები ისინი უფრო გამოვლენ, ვინც რუსეთს სანქციები დაუწესა.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ პუტინს ისევე, როგორც სააკაშვილს, აქვს თავისი ხრიკები, სავარაუდოდ, სიმბოლურ თარიღს ელოდება და პარადისათვის ემზადება, რათა ხალხს თანამედროვე ფაშიზმზე გამარჯვება მიულოცოს! **დიდი ალბათობით, 9 მაისს რაღაც ეტაპი დასრულდება და კიდევ უფრო მკაფიო გახდება პოლიტიკური სურათი, ვინ რა თამაშს თამაშობდა და რისი მიღწევა სურდა.**

## ხალხი დაინახავს, რომ ზელენსკი ამ საუკუნის ანტიგმირი და კატიჭამიაა, რომელმაც ბავშვების თავებზე გაიარა!

**— ამ პოლიტიკურ მოცემულობაში როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც ბევრი ადანაშაულებს რუსეთთან ფარულ კავშირში?**

— ხელისუფლება უნდა მოიქცეს ისე, როგორც იქცევა. საუკეთესო პოზიცია აქვთ დაჭერილი. მათი სწორი მოქმედებების შედეგია, რომ დიდი უბედურება ავირიდეთ თავიდან. **ირაკლი ღარიბაშვილი** გონიერი მმართველი გამოდგა. მიუხედავად დიდი წნეხისა, ახალგაზრდა ნიჭიერმა პრემიერმა შეძლო ერის გაერთიანება. უნდა გავუფრთხილდეთ მას. ამ ძნელბედობის ჟამს უნდა იგრძნოს, რომ ხალხი მის გვერდითაა!

კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ყველაფერი შემთხვევით არ ხდება, მითუმეტეს აღდგომის წინ. ბოლო ჟამი ახლოსაა და განსაკუთრებულად უნდა დავიცვათ ჩვენი ტრადიციები, რელიგია და იდენტობა. **საქართველო ნამდვილად ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, უბრალოდ, მივბრუნდეთ მისკენ სახით!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი*



ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ბრძოლა მოგვიწიოს, **ვერ მივგასწრებს ბრძოლაში ის ხალხი, რომელიც თავის დროზე უბნებში ვერ ჩამოდიოდა შიშით** საკუთარი კორპუსებიდან.

ნაციონალურ მოძრაობას როდესაც **„ომის პარტიას“** ვეძახდით, დაიჯერეს, რომ ამასობაში ვაჟკაცები არიან, სათავისოდ ასე გადათარგმნეს და რეალურად **„ღალატის პარტიაა“.**

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**ნაცმოძრაობასა და მის სატელიტებს** რეგიონში მიმდინარე ომის დროს მოუნდათ შეკრება და **რევოლუციური გეგმების დაჩქარება** — არავის მივცემთ რევოლუციური გეგმების განხორციელებისა და **საქართველოს ომში ჩართვის** საშუალებას.

„იმედინიუსი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



გვარამიას **„მთავარი მანიპულატორი“** ამბობს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა **სააკაშვილს** პოლიტიკური პატიმარი უწოდა, რაც არაა სიმართლე! ანგარიშში წერია, რომ **ოპოზიციის წევრებს მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი, რურუა და მელია პოლიტიკური პატიმრები** არიან.

„იმედინიუსი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**ნაციონალურ მოძრაობას:** ძალიან კარგად გვახსოვს, როგორ **ცდილობდით,** ვიზალიბერალიზაციის პროცესისთვის შეგეშალათ ხელი და **ცდილობდით,** რომ საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში არ შეეყვანათ ევროკავშირის ქვეყნებს. **ეს ჰიბრიდული ომიც წააგეთ საქართველოს წინააღმდეგ და საქართველო ევროკავშირის ქვეყნებმა აღიარეს, როგორც უსაფრთხო ქვეყანა.**

„პირველი არხი“



# ელიზბარ ჯაველიძე:

# ქვეყანა, რომლის ხელისუფლებაშიც ქართველი ხალხის მტრები არიან, საქართველოს კეთილისმყოფელი ვერ იქნება!

*— სანამ ნაცებს დედაბუდიანად არ მოვიშორებთ, საქართველოს არაფერი ეშველება და გარდაუვალი დაღუპვა გველოდება! —* ***ამბობს აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აფასებს:***

— უკრაინელ ხალხს პატივს ვცემ და თავს დამტყდარი უბედურების გამო სამძიმარს ვუცხადებ, მაგრამ ვერანაირად ვერ გავიზიარებ ბოლო დროს პოპულარულ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს უკრაინა, როგორც სახელმწიფო, ჩვენი მეგობარია! ქვეყანა, რომლის ხელისუფლებაშიც **ადეიშვილი, ლორთქიფანიძე და ქართველი ხალხის მტერი სისხლიანი ნაცდამნაშავეები** არიან, საქართველოს კეთილისმყოფელი ვერ იქნება და ნუ ცდილობენ, თვალებში ნაცარი შეგვაყარონ!

**— თუმცა, საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის მეთაურობითა და უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა შემადგენლობით უკრაინაში მაინც გაემგზავრა!**

— ჩემი აზრით, უკრაინაში რიგითი დეპუტატებისაგან შემდგარი დელეგაცია უნდა წასულიყო, პარლამენტის თავმჯდომარეს კი თავი შეეკავებინა, რადგან უკრაინის ხელისუფლებას საქართველოსათვის ბოდიშიც კი არ მოუხდია ბინძური ცილისწამებისათვის, თითქოს ქართველები რუსეთს კონტრაბანდულ ტვირთებს ვაწვდით.

ძალიან კარგია, რომ უკრაინაში ჩასულ საპარლამენტო დელეგაციაში ნაცები არ იყვნენ! მაგ სატანის მოციქულებთან ერთად ხელისუფლება არსად არ უნდა ჩნდებოდეს, რადგან სააკაშვილის მანქურთებთან ერთად ჰაერის ჩასუნთქვაც კი არ შეიძლება! მას შემდეგ, რაც **ხატია დეკანოიძე** უკრაინის ტელევიზიაში გამოვიდა და უკრაინელ ხალხს მიმართა — იცოდეთ, საქართველოს ხელისუფლება რუსეთს თქვენი ქალებისა და ბავშვების ხოცვაში ეხმარებაო, ეს ქალი პარლამენტში კი არა, „ვირის აბანოში" უნდა იჯდეს სააკაშვილის გვერდით! საერთოდ, არაფერი მჯერა და არაფერი მწამს იმ უკრაინის, რომელსაც ეროვნული პოლიციის უფროსად მკვლელი ნაცრეჟიმის ერთ-ერთი სახე, **პოლიტიკური ნაგავი ხატია დეკანოიძე** ჰყავდა დანიშნული!

**— როგორ ფიქრობთ, მაინც რატომ აქვს მიდრეკილება უკრაინის ხელისუფლებას, რომ ძებნილი, მსჯავრდებული და ბრალდებული ნაცკრიმინალები არამხოლოდ შეიფაროს, არამედ მაღალ თანამდებობებზეც დანიშნოს?**

— ნაციონალურ მოძრაობასა და უკრაინის ხელისუფლებას ამერიკასა და დასავლეთში ერთი პატრონი ჰყავთ, ერთ ძალას წარმოადგენენ და ამიტომაც არ ხევენ ერთმანეთის ტყავს. ეს მასხარა ზელენსკი დღეს მთელ ევროპაში გმირად ჰყავთ შერაცხილი და ტაშს უკრავენ, მე კი იმის შემდეგ ვაგინებ, რაც 2008 წელს რუსეთთან ომში დამარცხებულ საქართველოს დასცინა — იუმორისტულ შოუში გამოვიდა, ხელში ხუთჯვრიანი დროშა ეჭირა და პუტინისათვის რომ ესიამოვნებინა, ამბობდა — ქართველებმა ომში „კაკები ქნეს", ანუ ჩაისვარესო! ახლა მაგ „კლოუნს" საკუთარი ცოლ-შვილი საიმედოდ ჰყავს გახიზნული და უკრაინელი ქალებისა და ბავშვების სიკვდილი სულაც არ ადარდებს. აკი, მისმა მრჩეველმა არესტოვიჩმა აღიარა — ვიცოდით, ომი რომ იწყებოდა, მაგრამ მოსახლეობის ევაკუაცია არ მოვახდინეთ, რათა ჩვენი ტანკების გადაადგილებას ხელი არ შეშლოდაო, ე.ი. უკრაინელი ქალები, ბავშვები და მოხუცები უკრაინის ხელისუფლებამ შეგნებულად აქცია რუსული ბომბების მსხვერპლად!

**— იზიარებთ თუ არა მოსაზრებას, რომ ნაციონალურ მოძრაობას საქართველოს ომში ჩათრევის ინტერესი ამოძრავებს?**

— მხოლოდ ნაცმოძრაობას კი არა, **უკრაინის ხელისუფლებასაც სურს, საქართველო რუსეთთან ომში ჩაითრიოს და სწორედ ამას ემსახურება ყველა ქმედება თუ განცხადება, რასაც ისინი ჩვენს ხელისუფლებასთან მიმართებაში აკეთებენ.** პირდაპირ ვაცხადებ — ზელენსკის ხელისუფლებისა და ნაცების მთავარ სამიზნეს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** წარმოადგენს, რადგან იგი ქართველ ხალხზე ზრუნავს და ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველოს ომი ააცილოს!

კარგად ვხედავთ, რომ რუსეთი უზარმაზარ უკრაინაში, რომელსაც 44 მილიონი მოსახლე ჰყავს, ყველაფერს მიწასთანასწორებს, 3-მილიონიან საქართველოში კი 3 რაკეტის გასროლაც ეყოფა და დამთავრებულია ჩვენი ამბავი. მე თქვენ გეტყვით, ნაცები იბრძოლებენ რუსეთის წინააღმდეგ! პირველები გაიქცევიან და დაიმალებიან ბუჩქებში, როგორც 2008 წელს გააკეთეს და იქიდან გვეტყვიან **დავით ბაქრაძესავით** — დანები და ჩანგლები აიღეთ ხელში, საქართველო დაიცავითო!

**— არადა, ნაცები იმ ხალხს დასცინიან, ვინც რუსეთთან მიმართებაში ფრთხილი პოლიტიკის მომხრეა და ომი არ უნდა!**

— 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ნაცებმა გორში მყოფ რუს გენერლებს 50 000 დოლარი გადაუხადეს, რათა რუსულ ავიაციას ქალაქის ცენტრში მდგარი სტალინის ძეგლი დაებომბა, რუსებმა კი ფული ჯიბეში ჩაიდეს და ძეგლი არ დაბომბეს. ომიდან ცოტა ხანში მე, **რეზო ჩხეიძესა** და კიდევ რამდენიმე კაცს ერთ-ერთ ღონისძიებაზე მოსკოვში მოგვიხდა ჩასვლა, სადაც

## გენერალ ბორისოვს შევხვდი და გამაოგნებელი

## რამ მითხრა – 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ჩემთან მოვიდნენ და კატეგორიულად მთხოვდნენ, რომ ბათუმი დაგვებომბაო! აი, ასეთი ხალხი ცდილობს დღეს საქართველოს ომში ჩათრევას!

რადგან **ელისაშვილი, ხაბაზი და ბარამიძე** უკრაინაში „საომრად" წავიდნენ, მორჩა, გათავებულია რუსების ამბავი, აბა, ასეთ მოუხელთებელ „ბოევიკებს" პუტინი რას მოუხერხებს?!

და კიდევ: ახლახან ინტერნეტში ერთი პროვოკაციული ვიდეო მაჩვენეს — „გირჩის" აქტივისტებმა თბილისში „პუტინის დასაფლავება" მოაწყვეს, კატაფალკის საქარე მინაზე მისი სურათი ჰქონდათ მიკრული, მერე კი ვითომ მისი ჩონჩხი ნაგვის ურნაში ჩააგდეს. ასეთი ქმედებები მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება — ისედაც გამძვინვარებულ მხეცს კიდევ უფრო შეუჩიჩხინონ და რაღაც ახალი უბედურება გამოსტყუონ! მაგალითად, კრემლმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ რეჟიმს უფლება არ მისცა, ამა წლის 10 აპრილს ჩაეტარებინა რეფერენდუმი რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით და ეს ამბავი ივლისამდე გადაადებინა, **„გირჩები" და სხვა პროვოკატორები კი ასეთი ქაჯური აქციებით იმდენს იზამენ, პუტინს დაჩქარებული წესით ჩაატარებინებენ ცხინვალში ე.წ. რეფერენდუმს!**

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც უდიდეს პოლიტიკურ წნეხს განიცდის, ეყოფა რესურსი, რომ არჩეულ გზას არ გადაუხვიოს და მსოფლიოში დაწყებული უმძიმესი პროცესებიდან ქვეყანა სამშვიდობოზე გაიყვანოს?**

— ძალიან დიდი იმედი მაქვს **ირაკლი ღარიბაშვილის**, რომელსაც სამშობლო გულწრფელად უყვარს და აცხადებს, რომ საქართველოსა და ქართველი ხალხის საზიანო ნაბიჯს

## „ზელენსკის იმის შემდეგ ვაგინებ, რაც 2008 წელს რუსეთთან ომში დამარცხებულ საქართველოს პუტინის საამებლად დასცინა — ქართველებმა ჩაისვარესო!"






## „სანამ ნაცებს დედაბუდიანად არ მოვიშორებთ, საქართველოს არაფერი ეშველება!»

## კვირგვინოსნები



**ედიშერ გვენეტაძე**
*ისტორიის დოქტორი, პროფესორი*

**უკრაინის ხელისუფლება მოწოდებულია, რათა აქ, ამ ნაძირალებთან — სააკაშვილთან, მეხუთე კოლონასთან ერთად, ქვეყანაში არეულობა მოაწყონ.** ნაცებმა 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული, ყველა არჩევნები წააგეს. **იმედი აქვთ, რომ ომს თუ გააჩაღებენ, 2024 წლის არჩევნებს მოიგებენ. ღარიბაშვილის** გვერდით ვდგავარ. ამ უპატრიოტეს კაცს ქვეყანა უყვარს და მისთვის იღვწის. **ქვეყანაში სააკაშვილის მიერ გაუქმებული სამშობლოს ღალატის მუხლი უნდა აღდგეს.** მეტი სამშობლოს ღალატი რაღა გინდათ, რასაც **ცისკარიშვილები, გუბაზ სანიკიძეები, დეკანოიძეები, ხოშტარიები** ქვეყნის მიმართ სჩადიან.

„საერთო გაზეთი"



**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*

**რომელ კონტრაბანდულ დერეფანზეა საუბარი, როცა საქართველოს საზღვარზე, საქართველოს ხელისუფლებისვე თაოსნობით, დგანან ამერიკის და ბრიტანეთის საელჩოს თავდაცვისა და უსაფრთხოების ატაშეები, რათა გააკონტროლონ ეს პროცესი.** აქ საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ჩვენი დასავლელი პარტნიორების სადაზვერვო სამსახურები და, თუ რაიმე საეჭვოს შენიშნავენ, ამის შესახებ საჯაროდ განაცხადებენ. შენ რომ ომში ხარ, ასჯერ უნდა გათვალო შენი ნაბიჯები, რომ შეცდომა არ დაუშვა. **რას ჰქვია ომის აზარტი? რასაც გინდა, იმას წამოაყრანტალებ?**

„საქართველოს რესპუბლიკა"



**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*

**გასაჭირში მყოფი ქვეყანა გთხოვს,** რომ ჩახვიდე, მაგრამ მეორე მხრივ, **იგივე ქვეყანამ, დღე არ გავა, რომ შეურაცხყოფა არ მოგაყენოს.**

„საქართველოს რესპუბლიკა"



„რადგან ელისაშვილი, ხაბაზი და ბარამიძე უკრაინაში „საომრად“ წავიდნენ, მორჩა, გათავებულია რუსების ამბავი, აბა, ასეთ მოუხელთებელ „ბოევიკებს“ პუტინი რას მოუხერხებს?!“



არავითარ შემთხვევაში არ გადადგამს. მომწონს **ირაკლი კობახიძეც,** რომელიც დამნაშავე ნაცბანდასაც და უკრაინის ხელისუფლებასაც პირდაპირ ეუბნება სათქმელს, მაგრამ მაშფოთებს ის, რომ ჩვენ, როგორც სახელმწიფო, საკუთარ თავს არ ვეკუთვნით!

**— რას გულისხმობთ?**

**– მაშინაც კი, როცა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევდიოდით, საქართველო უფრო დამოუკიდებელი იყო, ვიდრე დღეს არის!**

დიახ, მაშინ მოსკოვიდან დანიშნული ცეკას მეორე მდივანი გვეჯდა თბილისში, რომელსაც ზედმეტს არ ვაბედვინებდით და თუ ხმას ამოიღებდა, მაშინვე ვაჩუმებდით, დღეს კი ამერიკიდან და ევროპიდან პირდაპირ გვიბრძანებენ — **„ეს უნდა გააკეთოთ და მორჩა!“; „ესა და ეს კადრი აქა და აქ უნდა დანიშნოთ და დამთავრდა!“** ზუსტად ვიცი, რომ, მაგალითად, **ნინო ლომჯარია,** რომელიც საქართველოს გამოცხადებული მტერია, სახალხო დამცველის თანამდებობაზე ამერიკის საელჩოს ბრძანებისა და ულტიმატუმის გამო დანიშნეს!

ქართველი ხალხის დიდი ნაწილი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ „ქართული ოცნება“ დამნაშავე ნაცებს გაჯეჯილების უფლებას აძლევს! არ შეიძლება, ქვეყნის შინაურ მტერს, რომელიც ცხვირწინ გყავს და სამარეს გითხრის, „დემოკრატიულად“ მოექცე! ქრისტემ რომ თქვა — ერთ ლოყაში თუ გაგარტყეს, მეორე ლოყა მიუშვირეო, პირად მტერს გულისხმობდა, თორემ, როცა ქვაბავაზაკები ეკლესიასა და რწმენას შეურაცხყოფდნენ, სახრით განდევნა ისინი! ხელისუფლებაც სწორედ ასე უნდა მოექცეს ნაცებს, რომლებიც ჩვენი ეკლესიის, რწმენისა და ყოველივე ქართულის დაუძინებელი მტრები არიან!

**— ე.ი. საქართველოს ნომერ პირველ მტრად და საფრთხედ ნაციონალური მოძრაობა მიგაჩნიათ?**

— დიახ, სააკაშვილსა და მის ხროვაზე დიდი მტერი საქართველოს არ ჰყავს და არც ეყოლება! დღეს ბევრი მეკითხება — „გვეშველება რამე?“ — მე კი ყველას ვპასუხობ — **სანამ ნაცებს დედაბუდიანად არ მოვიშორებთ, საქართველოს არაფერი ეშველება და ბარდაუვალი დაღუპვა გველოდება!**

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***







*რა ფაზაშია დღეს რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტი, როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები და არის თუ არა მოხსნილი საქართველოს ომში ჩათრევის საფრთხე? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე დამოუკიდებელი ოპოზიციონერი, აღმოსავლეთმცოდნე* ***გიგლა ბარამიძე*** *გვესაუბრება:*



# გიგლა ბარამიძე:

# მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს მაგალითი, რომ ატომური იარაღის მქონე ქვეყანა ატომური იარაღის არმქონე ქვეყანასთან დამარცხებულიყოს!

— უკრაინაში მიმდინარე ომს რამდენიმე პლასტი გააჩნია — ეს არის ანგლოსაქსური სამყაროს დაპირისპირება რუსულ სამყაროსთან და ამავე დროს ეს არის ომი მოძმე ერებს შორის, რადგან რუსები და უკრაინელები ერთი ფესვის ხალხია. გარდა ამისა, რატომღაც არავინ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ უკრაინაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს.

**— სამოქალაქო ომი?**

— დიახ, ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა და ე.წ. ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ჯარები დანარჩენი უკრაინის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ იბრძვიან, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების მოსახლეობასა და დანარჩენი უკრაინის მოსახლეობას შორის უკვე სისხლის მდინარეები მიედინება, აღმოსავლეთი და დასავლეთი უკრაინა ერთმანეთს ბომბავენ და ეს აშკარა სამოქალაქო ომია!. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია ადრე თუ გვიან დასრულდება, მაგრამ აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინის შერიგება ძალიან ძნელი იქნება.

**— უკრაინისა და კოლექტიური დასავლეთის პროპაგანდას რომ მოუსმინო, ომში უკრაინა იმარჯვებს, ხოლო რუსულ პროპაგანდას თუ ათხოვებ ყურს, კრემლის გამარჯვება გარდაუვალია. რეალურად რა ხდება?**

— იმის ნაცვლად, რომ დასავლეთი ყველა დონეს ხმარობდეს რუსეთის შესაჩერებლად, მოლაპარაკების მაგიდასთან დასასმელად და ომის დასამთავ-

გაგრძელება მე-12 გვერდზე

„არ გამოვრიცხავ, ნაცპროვოკატორებმა, რომლებმაც თბილისში პროვინციული და მდაბიური აქცია — „პუტინის დასაფლავება“ მოაწყვეს, რუსი ტურისტიც კი მოკლან ან ე.წ. საოკუპაციო ხაზთან შეიარაღებული პროვოკაცია მოაწყონ!“











„ახლახან ინტერნეტში ერთი პროვოკაციული ვიდეო მაჩვენეს — „გირჩის“ აქტივისტებმა თბილისში „პუტინის დასაფლავება“ მოაწყვეს, კატაფალკის საქარე მინაზე მისი სურათი ჰქონდათ მიკრული, მერე კი ვითომ მისი ჩონჩხი ნაგვის ურნაში ჩააგდეს!“

## კვირგვინოსნები

**გია გაბრიჭიძე**
*ექსპერტი*



**რევოლუცია რომ მოახდინო,** პირველ რიგში, ხელისუფლებას მართვა არ უნდა შეეძლოს და ხალხს ეს მდგომარეობა არ უნდა სურდეს და მეორეც — მტკვარში **კრეისერი „ავრორა“** დრეიფზე უნდა იდგეს, **მატროსი ჟელეზნიაკი** — პარლამენტის შესასვლელში და **ლატვიელ მსროლელთა პოლკი** რუსთაველზე ტრიალებდეს. **რევოლუცია კეთდება ასე და არა ბაკურიანის „რუმსში“.**

„იმედინიუსი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



**მიუხედავად ოპოზიციის, მათი ტელევიზიებისა და სახალხო დამცველის დაუოკებელი სურვილისა,** რამენაირად საქართველო მხილებული ყოფილიყო ადამიანის უფლებების დარღვევაში, ასეთი მოლოდინები გაცრუებულია. ახალი დღის წესრიგი, რაც **რადიკალებმა** შეიმუშავეს, სავარაუდოდ, ასე ჟღერს — **„თუ ომში ვერ ჩავითრევთ, იქნებ რევოლუცია გამოგვივიდეს“.**

„იმედინიუსი“

**ელენე ხოშტარია**
*პარტია „დროას“ ლიდერი*



„ქართულ ოცნებასთან“ ერთად **ბუჩაში რომ წავიდე,** უბრალოდ, უკანასკნელი **აფერისტი უნდა ვიყო.**

„GTMEDIA“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*პარლამენტარი*



გარკვეული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა **დაიქირავეს უცხოელი ტრენერი,** რომ მოამზადონ საქართველოში სიტუაცია, **რათა მოხდეს ხელისუფლების დამხობა.**

„იმედინიუსი“

**არმაზ ახვლედიანი**
*დამოუკიდებელი პარლამენტარი*



ევროკავშირის წევრობის კითხვარის მიღება **გიორგი მთაწმინდელის, ანთიმოზ ივერიელის, გრიგოლ ფერაძისა** და **9 აპრილის გმირების** დამსახურებაცაა.

„იმედინიუსი“

დასაწყისი მე-11 გვერდზე

# გიგლა ბარამიძე: შორს არ არის ის დრო, როცა რუსეთი ატომურ იარაღს გამოიყენებს, თუნდაც მცირე ძალის ქობინებით!





რებლად, უკრაინისათვის რაც შეიძლება მეტი იარაღის მიწოდებაზეა ორიენტირებული, რათა საბრძოლო მოქმედებები გახანგრძლივდეს და მეტი სისხლი დაიღვაროს. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოს გარკვეულ წრეებს, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ბოსებს, ცხელი წერტილის შენარჩუნება სჭირდებათ. თქვენ წარმოიდგინეთ, ევროპის ნომერ პირველი დიპლომატი **ჟოზეფ ბორელიც** კი აცხადებს — გამარჯვებული ბრძოლის ველმა უნდა გამოავლინოსო! ე.ი. კონფლიქტის დიპლომატიურ გადაწყვეტას კი არ უჭერს მხარს, არამედ — საომარი მოქმედებების გაგრძელებას! უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში ასეთი რამ არცერთ მაღალი დონის დიპლომატს არ უთქვამს.

მოკლედ, ამ ომში ყველას თავისი ანგარიში აქვს და ყველა რაღაც სარგებელს გამოჰკრავს ხელს, ერთადერთი დამარცხებული კი უკრაინა იქნება, რომელმაც ტერიტორიები და ათასობით მოქალაქის სიცოცხლე დაკარგა. **რუსეთიც სამხედრო თვალსაზრისით ლოკალურ გამარჯვებას მიაღწევს, მაგრამ ეს იქნება „პიროსის გამარჯვება“, რომელიც შეიძლება, დამარცხებაზე უარესი აღმოჩნდეს.** ისე კი, მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს მაგალითი, რომ ატომური იარაღის მქონე ქვეყანა ატომური იარაღის არმქონე ქვეყანასთან დამარცხებულიყოს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ როგორ ეხმარება ატომური იარაღის არმქონე სახელმწიფოს!

**— ფიქრობთ, რომ რუსეთის მიერ ატომური იარაღის გამოყენების საფრთხე რეალურია?**

— ბოლო დროს გამოკვეთილი ტენდენციებით თუ ვიმსჯელებთ, შორს არ არის დრო, როცა რუსეთი ატომურ იარაღს გამოიყენებს, თუნდაც მცირე ძალის ბირთვული ქობინებით. ეს მთელი მსოფლიოსათვის ძალიან სავალალო იქნება, მაგრამ ვხედავ და ვგრძნობ, რომ მსოფლიო საზოგადოების ნაწილი ამისთვისაც ემზადება.

განსაკუთრებით საგანგაშო ის არის, რომ უკრაინის პოლიტიკურ ლიდერებს ექსტაზში შესვლა და მათ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით ტკბობა ეტყობათ. მაგალითად, პრეზიდენტ ზელენსკის მრჩეველმა **არესტოვიჩმა,** რომელიც აუტოეროტიზმშია გადავარდნილი, განაცხადა, რომ უკრაინა „ახალ ისრაელად ყალიბდება“ და მის ტერიტორიაზე 2035 წლამდე კიდევ არაერთი სამხედრო შეტაკება მოხდება. მანვე უკრაინის მოქალაქეებს მოუწოდა — ვისაც ამის გეშინიათ, წადით და საცხოვრებლად სხვა ადგილი ნახეთო! მოკლედ, არც არესტოვიჩს და არც უკრაინელი ლიდერების დიდ ნაწილს არაფერი ემჩნევათ იმისა, რომ მიწების დაკარგვისა და თანამემამულეთა დაღუპვის გამო ტკივილს განიცდიან.

**— ყოველივე ამის ფონზე, როგორ აფასებთ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტს უკრაინაში?**

— ვიზიტში, რომლის მიზანიც უკრაინელი ხალხისათვის სოლიდარობის დემონსტრირება და სამძიმრის თქმა იყო, ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ქართული დელეგაციის უკრაინაში ჩასვლას ძალიან მძიმე წინაპირობები უძღოდა. ჯერ ერთი, უკრაინის რადას თავმჯდომარის **სტეფანჩუკის** განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიწვევას კი არა, ულტიმატუმს უფრო ჰგავდა — გინდა თუ არა, ჩამოდი და მომისამძიმრეო და მეორეც, **სანამ საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია უკრაინაში ჩავიდოდა, უკრაინის ხელისუფლებას, სულ ცოტა, ის განცხადება მაინც უნდა წაეღო უკან, რომლითაც რუსეთის მოკავშირეობასა და მისთვის კონტრაბანდული ტვირთების მიწოდებაში დაგვადანაშაულა!**

გარდა ამისა,

**საინტერესოა, ქართული დელეგაცია უკრაინაში იმ ბრალდებულ და მსჯავრდებულ ნაცრინოვნიკებთან ჩავიდა, რომლებმაც მშვიდობიანობის დროს საქართველოს საკუთარი ბუჩა მოუწყვეს, ხოლო დღეს უკრაინის ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზე სხედან?!**

დიახ, უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილე **ლორთქიფანიძემ** და უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველმა **ადეიშვილმა** ქართველ ხალხს ბუჩა მოუწყვეს, როცა მშვიდობიან მომიტინგეებს ხელ-ფეხს უკრავდნენ, ცემით კლავდნენ და გვამებს სახურავებზე აგდებდნენ, ციხეებში პატიმრებს აწამებდნენ და აუპატიურებდნენ, ქუჩაში ახალგაზრდებს ხვრეტდნენ, უდანაშაულო ადამიანებს საკონტროლო გასროლით კლავდნენ და ცხედრებს შავ ზღვაში ძირავდნენ! უკრაინელ პოლიტიკოსებს, ვინც ბუჩაში გვეპატიჟებოდა, ნაცრეჟიმის მიერ ქართველი ხალხისათვის მოწყობილი ბუჩა არათუ არ დაუგმიათ, არამედ ამ სისასტიკის ჩამდენი ნაცჯალათები შეიფარეს და თანამდებობები ჩამოურიგეს!

**— სხვათაშორის, უკრაინის რადას დეპუტატმა გონჩარენკომ, რომელიც საქართველოს ხელისუფლებისათვის მორალისა და ნოტაციების კითხვით არის დაკავებული, განაცხადა — უკრაინაში თანამდებობაზე ვის დავნიშნავთ, ამას არავის შევეკითხებითო!**

— როცა სჭირდებათ, ეს კოლექტიური გონჩარენკოები საქართველოსაგან მეგობრობის დემონსტრირებას ითხოვენ და „ვეფხისტყაოსანს“ გვახსენებენ, მაგრამ მეგობრობა ცალმხრივი ჰგონიათ და საქართველოს მიერ ძებნილ და უმძიმეს დანაშაულებში მსჯავრდებულ ბოროტმოქმედებს მაღალ თანამდებობებზე ნიშნავენ, რითიც მთელ ქართველ ერს აყენებენ შეურაცხყოფას!

**იცით, რატომ გვიბედავს ამდენს უკრაინის ხელისუფლება? ჯერ კიდევ მაშინ, როცა ძებნილი სააკაშვილი თანამდებობაზე დანიშნეს, ნოტა არ გავუგზავნეთ, უკრაინის ელჩი საგარეო საქმეთა სამინისტროში არ დავიბარეთ და ყური არ ავუწიეთ, შეურაცხყოფა გადავყლაპეთ და იმათაც იფიქრეს - რახან გაგვდის, ქართველებს**



**„დაგეგმილი იყო, რომ ზელენსკის საქართველოს პარლამენტისადმი მიმართვისას ხელისუფლებისათვის ეთხოვა - ჩემი პირადი თავდებობით გაათავისუფლეთ სააკაშვილი, რადგან იგი უკრაინას სჭირდებაო!“**

## ბოლომდე დავასხათ თავლაფიო!

**— უკრაინაში ომის დაწყებიდან ორი თვე იწურება და როგორ ფიქრობთ, კვლავ არსებობს საფრთხე, რომ საქართველო რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში იქნას ჩათრეული?**

— როცა ქვეყანაში ნაციონალურ მოძრაობად სახელდებული „მეხუთე კოლონა“ — ეს მკვლელებისა და ფულის ტომრების ბანდა გვყავს, ომში ჩათრევის საფრთხე მუდმივად არსებობს, რადგან მათ თავიანთი პატრონების წინაშე ვალდებულება აქვთ აღებული, რომ რუსეთს მეორე ფრონტი გაუხსნან! **არ გამოვრიცხავ, რომ ნაცპროვოკატორებმა, რომლებმაც თბილისში პროვინციული და მდაბიური აქცია — „პუტინის დასაფლავება“ მოაწყვეს, რუსი ტურისტიც კი მოკლან ან ე.წ. საოკუპაციო ხაზთან შეიარაღებული პროვოკაცია მოაწყონ, რათა საქართველო საომარ მოქმედებებში აღმოჩნდეს ჩათრეული!**

სხვათაშორის, სარწმუნო ინფორმაცია მომაწოდეს იმის შესახებ, თუ რატომ იკლავდნენ თავს ნაცები, რომ ზელენსკის საქართველოს პარლამენტისათვის მიემართა!

**— ამ კუთხითაც რაიმე პროვოკაცია იყო ჩაფიქრებული?**

— დაგეგმილი იყო, რომ ზელენსკის საქართველოს პარლამენტისადმი მიმართვისას ხელისუფლებისათვის ეთხოვა — ჩემი პირადი თავდებობით გაათავისუფლეთ სააკაშვილი, რადგან იგი უკრაინას სჭირდებაო!

ძალიან კარგია, რომ საქართველოს ხელისუფლება და პირადად პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი ყველაფერს აკეთებენ, რათა საქართველოს ომი აარიდონ, მაგრამ საზოგადოებაც ძალიან ფხიზლად უნდა იყოს და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ნაცსექტის ყველა პროვოკაცია ჩანასახშივე აღკვეთოს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ მაისაია**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში*



**ქიმიური იარაღის** გამოყენება საერთაშორისო სამართლის სერიოზული დარღვევაა. **პუტინმა** დანაშაული ორი მიმართულებით ჩაიდინა — **მასობრივად** ადამიანების მხეცური მკვლელობა და **მასობრივი** განადგურების იარაღის კომპონენტების გამოყენება.

„ახალი თაობა“

**მერაბ შათირიშვილი**
*მწერალი*



როგორი უიღბლო ერი ვართ, **ოსსა და აფხაზს ძმას ვეძახით, ისინი მტრებად გვთვლიან,** უკრაინელი ხალხის საცოდაობით ვიწვით, ყველანაირად ვეხმარებით, ევროატლანტიკური ქვეყნების კვალდაკვალ თუ რაიმე აკრძალვა წესდება რუსეთის მიმართ, მხარდაჭერას გამოვხატავთ. **უკრაინის ხელისუფლება კი ჩვენს სიკეთეებსა და ძმურ დამოკიდებულებას ან შეგნებულად ვერ ხედავს, ან კიდევ ბრმაა, მტრად გვთვლის.**

„ალია“

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე*



**პოლიტიკურ ბომბზე ვსხედვართ.** რუსებს ნეიტრალიტეტის შემოტანით უნდათ, **თვითონ თავს გვესხმოდნენ, ჩვენი დამცველი კი არავინ იყოს.**

„ახალი თაობა“

**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



**ხელისუფლება თუ ყველაფერს ნაციონალებს აბრალებ,** შენ რაღას აკეთებ?! **ქუდი უნდა დაიხურო და წახვიდე!**

„ახალი თაობა“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**პუტინმა** ჩვენი ტერიტორიის მიერთებას შეიძლება ხელი მოაწეროს. რუსები ხისტად აკონტროლებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს. ორივეგან კრემლის პირდაპირი მმართველობაა.

„ახალი თაობა“

# ნაცხროვას მარგველიც მიება!

## როგორც გველი დაიგრაგნება გვიან შემოდგომაზე და მიწაში გასათბობად ჩაძვრება, სწორედ ისე შეძვრა მარგველი ნაცში!

***იმ დროს, როცა საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია უკრაინას ოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა, ნაცსექტა ნიკა მელიას, ეკა ხერხეულიძის, კობა ნაყოფიას, ფაქტობრივად, გაბომჟებულ-გალოთებული გიორგი მარგველაშვილისა და მარგველაშვილის მეგიტარის დავით რაქვიაშვილის შემადგენლობით უკრაინაში ცალკე ჩავიდა...***

**როგორც ნიკანორი და მარგველაშვილი ირწმუნებიან, ისინი უკრაინაში ოპოზიციას კი არა, იმ ქართველ ხალხს წარმოადგენენ, რომელიც უკრაინას თანაუგრძნობს!**

დავიწყოთ იმით, რომ უკრაინას დღეს მთელი ქართველი ხალხი თანაუგრძნობს... შესაბამისად, **თუ მელია, მარგველაშვილი, ხერხეულიძე, მარგველაშვილის მეგიტარე და კობა ნაყოფია მთელ ქართველ ხალხს წარმოადგენენ, მაშინ ნაცსექტა ხელისუფლებაში მოსულა და ვერ გაგვიგია...** მაგრამ ვიდრე ამ დასკვნას გამოვიტანთ, მანამდე ერთი ძალიან კვიმატ და ბრუციან კითხვაზეა პასუხი გასაცემი! როგორც მოგეხსენებათ,

**გაბომჟებულ-გალოთებულ ყოფილ პრეზიდენტსა და საქართველოს მთავარსარდელს გიორგი მარგველაშვილს ქართველი ხალხის შესახებ ერთგან ასეთი საშინელი რამ აქვს დაწერილი – „დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია – გონებრივი სისუსტე მსუბუქი დებილობის ფორმით... აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა!“**

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, **თუ მარგველაშვილი, ნაყოფია, მელია, ხერხეულიძე და მარგველაშვილის მეგიტარე დავით რაქვიაშვილი** უკრაინაში ქართველ ხალხს წარმოადგენენ და ამ დროს მარგველაშვილის „დიაგნოზით“, ეს ქართველი ხალხი **„დებილია“,** მაშინ გამოდის, რომ ნაცსექტანტები უკრაინაში **დებილებს** გაუგზავნიათ!

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რაც ლუკაშენკოს კარტოფილით გამძღარმა და თრიაქით გაბრუებულმა მარგველაშვილმა ქართველ ერს აკადრა, მაგრამ იმ აზრს ნამდვილად ვემხრობით, რომ **მთელი ეს ნაცშანტრაპა, რომელიც საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის კვალდაკვალ უკრაინაში ჩაქანდა, ნამდვილად წარმოადგენს ერთ დებილს, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც ეს დიაგნოზი ჯერ ნიკუტა გვარამიამ დაუსვა, როცა თქვა — მესამე პრეზიდენტი „ურიკინებს“ და მისი არაფერი ირწმუნოთო! ხოლო მოგვიანებით იგივე გაიმეორა საქართველოს სახალხო დამჯ...მა** *(ცენზურა ჩვენია. რედ.)* **ნინო ლომჯარიამაც, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა — მესამე პრეზიდენტი არაადეკვატურიაო!**



როგორც გველი დაიგრაგნება გვიან შემოდგომაზე და მიწაში გასათბობად ჩაძვრება, სწორედ ისე შეძვრა მარგველი ნაცში და სააკაშვილის ვაგონში შესრიალდა.

ღირსება, მორალი, პასუხისმგებლობა და ქართველი ხალხის წინაშე დადებული ფიცი მან გატეხა. არადა, კაცმა რომ თქვას, რაც არ ჰქონდა, ის როგორ უნდა გაეტეხა?

არისტოტელეს მასწავლებელი **პლატონი** მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო ფილოსოფოსებს უნდა ემართათ, მაგრამ მათი ცხოვრება მკაცრად უნდა ყოფილიყო რეგლამენტირებული. დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო პირების მიერ დეკლარაციების შევსებისა და ქონების დასაბუთების უმკაცრესი პრინციპი სწორედ პლატონის იდეებიდან იღებს სათავეს...



***ზურაბ ჭიაბერაშვილი:***

**ქართველ მამრებში კასტრაციის შიშს აღძრავს არა იმავე სქესის ძლევამოსილი გმირი, არამედ ხმლით შეიარაღებული დედა. ქართვლის დედის ხელში მამაკაცის დომინანტი იარაღი ხმალი** (ფალოსი) **კნინდება და წინა პლანზე ფიალა** (საშო) **გამოდის...**

***„ფიალა და მახვილი“ (თბილისური ატრაქციონების ტოპოლოგია) ჟურნალი „ახალი პარადიგმები“, 1999 წელი***

**რაკი ერთმა ფსევდოფილოსოფოსმა და სინამდვილეში ფალოსოფოსმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა არ გაგვიმართლა და ხმალი და ფალოსი ერთმანეთში აერია, ბიძინა ივანიშვილმაც იფიქრა, იქნებ ნამდვილმა ფილოსოფოსმა მარგველაშვილმა მაინც გაგვიმართლოსო და ამას მაინც არ აერიოს ხმალი ფალოსშიო!**

**რაკი ერთმა ფსევდოფილოსოფოსმა და სინამდვილეში ფალოსოფოსმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა არ გაგვიმართლა და ხმალი და ფალოსი ერთმანეთში აერია, ბიძინა ივანიშვილმაც იფიქრა, იქნებ ნამდვილმა ფილოსოფოსმა მარგველაშვილმა მაინც გაგვიმართლოსო და ამას მაინც არ აერიოს ხმალი ფალოსშიო!**

აი, ასე უკურთხა ამ მართლაცდა **„მსუბუქი დებილობის ფორმით“** გამოშტერებულ მარგველაშვილს ივანიშვილმა საპრეზიდენტო სავარძელი, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, **მარგველის** სახით ხელში შეგვრჩა **„პლასტილინი“, „პლანაქეში“ და ლოთი,** რომელმაც **ჭიაბერაშვილისეული კასტრაციის შიშით** იკადრა და მთელი საქართველოს წინაშე „წაიტრიპაჩა“ — **მდიდარი სექსუალური გამოცდილება მაქვსო!**

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ

**ვიდრე მარგველაშვილი პრეზიდენტი იყო, თავისი უახლოესი ნათესავების შეწყალებისა და ციხიდან გათავისუფლების მეტი არაფერი უქეთებია!**

ადრე სააკაშვილი **კობა ნაყოფიას** შერონ სტოუნის მგზავრობისა და საბანკეტო ხარჯების დაფარვას აიძულებდა, ხოლო ახლა თავის „ოქროს ბაყაყს“ მარგველაშვილიც აჰკიდა...

**ეტყობა, ან სააკაშვილს შეუღიტინა რაღაცამ, ან — მარგველაშვილს!**

რაც გინდა, მოხდეს, ფაქტია, რომ ცოცხლად მყოფი საქართველოს სამი პრეზიდენტიდან სააკაშვილი **გადარეულია,** მარგველაშვილი **„დალეულია“,** ხოლო ზურაბიშვილი **არეულია!**

***დიტო ჩუბინიძე***



შერონ სტოუნი და კობა ნაყოფია







## სააკაშვილი გადარეულია, მარგველაშვილი „დალეულია“, ზურაბიშვილი არეულია!

## ადრე სააკაშვილი კობა ნაყოფიას შერონ სტოუნის მგზავრობისა და საბანკეტო ხარჯების დაფარვას აიძულებდა, ხოლო ახლა თავის „ოქროს ბაყაყს“ მარგველაშვილიც აჰკიდა...

*ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი იმ დანაშაულებრივი სინდიკატის ანატომიას ააშკარავებს, რომელიც წლების განმავლობაში უკრაინიდან საქართველოში იარაღის შესყიდვით და მერე ამ ტექნიკის მესამე ქვეყნებში რეალიზაციით იყო დაკავებული:*

# მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას იარაღით უკანონო ვაჭრობის სქემა და 2008 წლის აგვისტოს ომის მიზეზები გაშიფრულია!







*დავით ქართველიშვილი:*

# სააკაშვილსა და თემურ ალასანიას უკრაინულ ჯართში გადახდილი 1 მილიარდ 200 მილიონი დოლარი რუსეთთან ომით უნდა ჩამოეწერათ!

— უკრაინაში ჯერ კიდევ ამ თხუთმეტი წლის წინათ დაიწყო გამოძიება, რომელიც იარაღით უკანონო ვაჭრობასა და ამ საქმეში საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის **სააკაშვილის** ჩართულობას უკავშირდება. ეს გამოძიება ამ ეტაპზე შეწყვეტილია, თუმცა, ჟურნალისტური გამოძიება გრძელდება. უკრაინელი ჟურნალისტების მონაცემებში, რომელთა სანდოობაშიც არანაირი ეჭვი არ შემაქვს, შევეცადე, დამემატებინა ზოგიერთი მნიშვნელოვანი შტრიხი და ხაზგასმით შემიძლია, განვაცხადო, რომ ამ ინფორმაციის უკან **დგას კონკრეტულ მოწმეთა ბაზა. ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით და უკრაინელი ჟურნალისტების მონაცემებით, 2005 წელს უკრაინაში ვიქტორ იუშჩენკოს გაპრეზიდენტების შემდეგ შემუშავებული იქნა პროგრამა კოდური სახელწოდებით — „გრიფი პრეზიდენტი", რომელიც ითვალისწინებდა უკრაინიდან საქართველოში იარაღის მიწოდებას.** ეს პროგრამა გაწერილი იყო 2005-2010 წლებზე.

უკრაინულ მხარეს ამ პროგრამის განხორციელებაში წარმოადგენდა იუშჩენკოს ნდობით აღჭურვილი პირი, **„უკრსპეცექსპორტის"** ხელმძღვანელის პოსტზე დანიშნული, СБУ-ს პოდპოლკოვნიკი და „ჩვენი უკრაინის" პარტიიდან რადას სახალხო დეპუტატი **სერგეი ბონდარჩუკი.** სწორედ მისი უშუალო პატრონაჟით, 2005-2008 წლებში უკრაინის ტერიტორიაზე გახსნილი იქნა 180-მდე მაღარო, სადაც დაკონსერვებული იყო ვადაგასული და გამოყენებისათვის უვარგისი, საბჭოთა წარმოების სხვადასხვა ტიპის შეიარაღება: ცეცხლსასროლი (მათ შორის, მსხვილკალიბრიანი) იარაღი, „გრადები", ჯავშანტექნიკა, სათადარიგო ნაწილები და ა.შ.

საქართველოს მხრიდან ამ პროგრამაზე პასუხისმგებელი პირის **თემურ ალასანიას** მითითებით, 2006 წელს აღნიშნულ სქემას ჩამოაშორეს **ირაკლი ოქრუაშვილი,** რომელმაც ეს პირადი წყენა არ დაივიწყა და 2007 წლის სექტემბერში „იმედის" ღამის შოუში პირდაპირ ეთერში მიხეილ სააკაშვილი და მისი ოჯახის წევრები იარაღის უკანონო ვაჭრობაში ამხილა. ამის გამო ოქრუაშვილი დააპატიმრეს და შერისხეს.

**— ბატონო დავით, ირაკლი ოქრუაშვილი ამ საქმეში ვინ ჩაანაცვლა?**

— უკრაინელების ინფორმაციით, ქართულ ტექნიკურ მხარეს ამ პროგრამაში **დავით კეზერაშვილი** წარმოადგენდა. მხოლოდ სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო დონორების მხრიდან მიღებული თანხებიდან **სააკაშვილმა და თემურ ალასანიამ** 1 მილიარდ 200 მილიონი დოლარი დახარჯეს და ამ თანხით უკრაინული ნაგავი — ჯართი შეიძინეს. ტექნიკურ და ფინანსურ მხარეს უკრაინული მხრიდან უზრუნველყოფდნენ ვინმე **ციბულიაკი და ელმანდიევი,** ხოლო ქართული მხრიდან — **მამუკა მუჯირი.**

2005-2008 წლებში უკრაინიდან შესყიდულ იარაღზე ჩატარებულმა შიდა ტექნიკურმა აუდიტმა დაადასტურა, რომ მისი 90 პროცენტი უვარგისი იყო, რის შემდეგაც გაჩნდა დარჩენილი, ვარგისი იარაღის, ანუ იმ 10 პროცენტის გაყიდვის საჭიროება. უკრაინული მხარის წარმომადგენელმა **ციბულიაკმა და თემურ ალასანიამ** ამ მისიის შესასრულებლად შეარჩიეს იარაღის უკანონო ვაჭრობის ბაზარზე საქმის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი კანდიდატი, ოდესის მკვიდრი **ლეონიდ მინინი,** რომელიც იმ მომენტისთვის ისრაელში ცხოვრობდა და ამერიკა-ევროპის მიმართულება მისთვის სამუდამოდ ჩაკეტილი იყო.

**— მაინც ვინ არის ეს მინინი?**

— ეს ის **ლეონიდ მინინია,** რომელიც თავის ცნობილ „კოლეგასთან" **ვიქტორ ბუტთან** ერთად ჰოლივუდური გახმაურებული ფილმის **„იარაღის მეფის"** მთავარი გმირის პროტოტიპებს წარმოადგენდნენ. მოგეხსენებათ, ამ ფილმში მთავარ როლს **ნიკოლას კეიჯი** ასრულებს. სწორედ ლეონიდ მინინის რეკომენდაციით ბათუმის აეროპორტის ბაზაზე **ნოდარ კაკაბაძის** ხელმძღვანელობით დარეგისტრირდა კერძო ავიაგადაზიდვების კომპანია, რომელიც უკრაინული სატვირთო ბორტ „ილ-76"-ით აზიისა და აფრიკის ქვეყნების სხვადასხვა ცხელ წერტილში **სააკაშვილისა და თემურ ალასა-**





ძმები ბეჟუაშვილები

**„ხერსონის პორტი ძმები ბეჟუაშვილების საკუთრებაა. უკრაინაში სერიოზული ბიზნესი აქვს ლევან ვარშალომიძესაც, რომელიც ერდოღანის უახლოესი ძმაკაცი და მეგობარია!"**



ვარშალომიძე

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



**ამდენი ხანია, არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები,** რომ თითქოს რუსეთი საქართველოს სანქციების გვერდის ასავლელად იყენებს, რაც მოწმობს, რომ **ეს იყო პროვოკაცია.** როგორც ჩანს, უკრაინას მასალები არა აქვს და ის შეცდომაში შეიყვანეს. აქ იგრძნობა **„ომის პარტიის"** ხელი, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ეს პროვოკაცია რუსეთშიც დაგეგმილიყო. **ხელისუფლებამ კატეგორიულად უნდა მოითხოვოს პასუხის გაცემა** არამხოლოდ ამაზე, მთავარ კითხვაზეც: **რა უნდათ?!**

„კვირის პალიტრა"

**თენგიზ ფხალაძე**
*ექსპერტი*



ახლა **მართლაც ილება შესაძლებლობის ის ფანჯარა,** რომელზეც წლების განმავლობაში ვლაპარაკობდით. **თუ ხელიდან გავუშვით,** მერე ძალიან ძვირის გადახდა მოგვიწევს.

„კვირის პალიტრა"

**გიორგი ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



**არცერთი სამხედრო ტვირთი არც ხმელეთზე და არც საჰაერო სივრცეში არ მოძრაობს საქართველოს ტერიტორიაზე** — ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ, როგორც კი ეს გავრცელდა, **ჩვენმა სპეცსამსახურებმა დაამყარეს კონტაქტი შესაბამის პირებთან და დაისვა ეს კითხვები, აქვთ თუ არა კონკრეტული მტკიცებულებები, რაზეც პასუხი დღემდე არ მიუღიათ.** თუ მტკიცებულებები არ იქნება, ჩავთვლით, რომ **ეს იყო საგანგებოდ დაგეგმილი ოპერაცია საქართველოს იმიჯის შესალახად** მაშინ, როცა საქართველო ყველანაირად ეხმარება უკრაინას.

„კვირის პალიტრა"

**ბადრი ჯაფარიძე**



ჩვენ შეგვიძლია **ვამხილოთ „ოცნება"** და **მხარი დავუჭიროთ უკრაინელ ხალხს.**

„კვირის პალიტრა"

ნიას მიერ უკრაინიდან შემოტანილ იარაღს ყიდდა. მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავიც და ეკიპაჟიც უკრაინული იყო, ფრენებს ახორციელებდნენ ქართული დროშით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც 2009 წელს აღნიშნული იარაღის აფერების შესახებ ვაშინგტონიდან თბილისში მძაფრი სიგნალები წამოვიდა, სააკაშვილი იძულებული გახდა, ეს პროგრამა დაესრულებინა. მან **ძმებ ახალაიებს** დაავალა კიდეც, რომ შესაბამისი მოჩვენებითი სანქციები განეხორციელებინათ **ნოდარ ქაქაბაძის** ფირმასთან მიმართებაში. ამ პერიოდიდან ასევე მოჩვენებით ჩრდილში იქნა გაყვანილი **დავით კეზერაშვილიც,** რომლის მაგივრადაც სააკაშვილის კარზე ფავორიტების ადგილი სწორედ **ძმებმა ახალაიებმა** დაიკავეს.

**— სააკაშვილისა და თემურ ალასანიას პარტნიორებს უკრაინაში რა ბედი ეწიათ?**

— ამავე პერიოდში გასკდა საქმე უკრაინაშიც. კერძოდ,

**„უკრსპეც-ექსპორტის" ხელმძღვანელის მიმართ დაიწყო სისხლის-სამართლებრივი დევნა, რის გამოც სერგეი ბონდარჩუკი იძულებული გახდა, გაქცეულიყო დიდ ბრიტანეთში, სადაც დავით კეზერაშვილის კავშირების დახმარებით შეძლო პოლიტიკური დევნილის სტატუსის მიღება და დღემდე იმყოფება ლონდონში.**

**სერგეი ბონდარჩუკის** ბოლო ოპერაცია, პროგრამა „გრიფი პრეზიდენტის" ფარგლებში, ფინანსურადაც წარუმატებელი აღმოჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ 2009 წელს **ქალაქ ნიკოლაევის პორტიდან** (სამხედრო ნავსადგური **ოჩაკოვი**) ტანზანიის მიმართულებით 200 მილიონი დოლარის ღირებულების ჯავშანტექნიკითა და სათადარიგო ნაწილებით დატვირთული სატვირთო გემი „ფაინა" სომალელი მეკობრეების ხელში ჩავარდა.

გაცილებით იღბლიანი გამოდგა **ლეონიდ მინინი,** რომელსაც სააკაშვილმა და **თემურ ალასანიამ** მადლიერების ნიშნად უფლება მისცეს, საქართველოში თავისი შავი ფული „გაეთეთრებინა". ამ მიზნით თბილისის მახლობლად, თელეთში, მინინს სიმბოლურ თანხებში 32 ჰექტარი მიწა გამოეყო და










**„ეს ის ლეონიდ მინინია, რომელიც თავის ცნობილ „კოლეგასთან" ვიქტორ ბუტთან ერთად ჰოლივუდური გახმაურებული ფილმის „იარაღის მეფის" მთავარი გმირის პროტოტიპებს წარმოადგენდნენ!"**

უფლება მიეცა, მსხვილი საწარმოო კომპლექსები აეშენებინა. მინინზე ზოგადი პატრონაჟი დაეკისრა **ვანო მერაბიშვილს,** ხოლო ფინანსური წილი —10 პროცენტის ოდენობით, ლეონიდ მინინის ბიზნეს-პროექტებში **გია ყარამანიშვილს** გადაეცა. ყარამანიშვილი იმ მომენტისთვის „რუსთავი-2"-ის ერთ-ერთი უკანონო მფლობელი იყო...

**— სად არის და რას საქმიანობს დღეს ლეონიდ მინინი?**

— **ლეონიდ მინინი** თავისი უბინძურესი სექსუალური მიდრეკილებებით **გია ყარამანიშვილის** „მორალისთვისაც" კი იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა, რომ მან 2011 წლის თებერვალში თავისი კუთვნილი 10 პროცენტი სოლიდურ თანხად გაყიდა და მინინს განეშორა. 2008-2015 წლებში **ლეონიდ მინინი** ხან საქართველოში ცხოვრობდა და ხან — ისრაელში. პირადად ჩემთვის მისი თბილისური ცხოვრების კვალი 2016 წლიდან ქრება, თუმცა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის დღესაც საქართველოში არ იმყოფება.

**— თუ ზემოაღნიშნული ჟურნალისტური გამოძიების ნარატივი ნაწილობრივ მაინც მოიცავს სიმართლეს, მაშინ გამოდის, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა 2008 წელს სწორედ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას ბინძურ მაქინაციებს შეეწირა?**

— დიახ, გამოდის, რომ ამას შეეწირა ჩვენი დასავლელი პარტნიორების ძალისხმევაც, რომ სამშვიდობო ხიდი გაედოთ თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს შორის. ასევე გამოდის, რომ ამას ემსხვერპლა მტრის ზურგში საზარბაზნე ხორცად მიტოვებული ჩვენი გენოფონდი და ათობით ათასი ახალი იძულებით გადაადგილებული პირი.

**დიახ, სააკაშვილსა და თემურ ალასანიას ეს ყველაფერი უნდა შეეწირათ, რათა უკრაინულ ჯართში გადახდილი 1 მილიარდ 200 მილიონი დოლარი რუსეთთან ომით ჩამოეწერათ!**

თანხის სოლიდური რაოდენობიდან გამომდინარე, მსხვერპლის ოდენობაც, იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობაც და ომით გამოწვეული სხვა დანაკარგის მასშტაბიც სერიოზული და თვალში საცემი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ **„ტექნიკური მხარის"** დასარეგულირებლად, სააკაშვილის გუბერნატორები

**2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსი გენერლების მძღოლების ფუნქციას ასრულებდნენ, ხოლო სამხედრო კომისარიატებთან იბარებდნენ პატარა ბიჭების სულ უფრო დიდ ნაკადებს, რათა მათი სისხლით გადაეფარათ კოდექსიდან მათ მიერვე ამოღებული „სახელმწიფო ღალატის" მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.**

ომით გადაბუგულ უკრაინაში ამ და ამის მსგავს მაქინაციებს რომ ვერ ახორციელებს, იმიტომაც დასდევს მთელი ნაცმოძრაობა **კეზერაშვილს** მათხოვარივით და იმიტომაც ჩავიდა **ნიკანორ მელია** კვიპროსში კეზერაშვილთან, თორემ აქამდე



**„ზელენსკის ხელისუფლება და სააკაშვილის სექტა ერთი კორპორაციაა, რომელსაც არც სამშობლო აქვს, არც – ენა და არც – სარწმუნოება!"**

მეგობარი ოლიგარქებისა და იმ სტრატეგიული ობიექტების მეშვეობით, რომლებიც ნაცების ხელშია, **სააკაშვილი** პარტიას მსუყედ აფინანსებდა.

**— ნაცები უკრაინაში რა სტრატეგიულ ობიექტებს ფლობენ?**

— ხერსონის პორტი **ძმები ბეჟუაშვილების** საკუთრებაა. უკრაინაში სერიოზული ბიზნესი აქვს **ლევან ვარშალომიძესაც,** რომელიც ერდოღანის უახლოესი ძმაკაცი და მეგობარია. უკრაინაში თურქეთის თავკაცის ინტერესები ჯერჯერობით მკაფიოდ არ ჩანს, მაგრამ ომის შემდეგ დანგრეული ეკონომიკის აღდგენის კვალდაკვალ აუცილებლად გამოჩნდება და ამ საქმეში ლევან ვარშალომიძე, როგორც ერდოღანის მოკავშირე და მეგობარი, აუცილებლად თავის წვლილს შეიტანს!

**— უკრაინის რადას სპიკერის რუსლან სტეფანჩუკის ბოლოდროინდელი განცხადებები თითქოსდა ერთგვარ რევერანსს ნიშნავდა საქართველოსადმი...**

— **სტეფანჩუკი** და კიდევ ისინი, რომლებიც უკრაინის ხელისუფლებაში მეტ-ნაკლებად ადეკვატური არიან, მიხვდნენ, რომ საქართველოსთან ასეთ პროვოკაციულ რეჟიმში ურთიერთობის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ერთი რამ ცხადია — **უკრაინის ხელისუფლება სააკაშვილის „მეხუთე კოლონისა" და ომის პარტიის მძევალია!** ზელენსკის ხელისუფლება და სააკაშვილის სექტა ერთი კორპორაციაა, რომელსაც არც სამშობლო აქვს, არც — ენა და არც — სარწმუნოება! აქედან გამომდინარე, ისინი საქართველოშიც და უკრაინაშიც მოიქცევიან ისე, როგორც ეს კორპორაციას დასჭირდება!

**— იმ უაღრესად სკანდალური ფაქტების შესახებ, რომლითაც იარაღით უკანონო ვაჭრობაში სააკაშვილისა და თემურ ალასანიას მონაწილეობა დასტურდება, საქართველოში გამოძიება დაწყებულია?**

— დიახ, გამოძიება დაწყებულია და ამ საქმეზე ერთ-ერთ სერიოზულ უწყებას ჩვენებაც მივეცი! სხვათაშორის, ამ თემაზე უაღრესად საინტერესო დოკუმენტები გაასაჯაროვა გენერალმა **ამირან სალუქვაძემ.** საქმე ეხება 2005 წელს ვითომდა უკრაინაში შესყიდულ სამხედრო ტექნიკას — **„კუბ"**-სა და **„კრუგ"**-ს. უკრაინის რადას საგამოძიებო კომისიის თანახმად, ეს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები მაშინ საქართველოში არ შემოსულა, რაც, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ საქართველოსთვის ესოდენ საჭირო სამხედრო ტექნიკა **სააკაშვილმა, თემურ ალასანიამ და მათმა მოკავშირეებმა** საზღვარგარეთ, მესამე ქვეყნებში გაიტანეს და დიდძალ ფულზე გაყიდეს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერი*



**გონჩარენკო** 15 წლის წინათ უკრაინულად არ ლაპარაკობდა, დღეს კი მსოფლიოს აფრთხილებს, რომ რუსეთი არ გაჩერდება, თუ კბილებს არ ჩაუმტვრევენ. **წლების წინ არავინ წარმოიდგენდა, რომ ზელენსკი უკრაინელი პატრიოტი იქნებოდა,** მან უკრაინული ენა საპრეზიდენტო არჩევნების წინ ისწავლა. **დიახ, ზელენსკი რუსულენოვანი იყო.**

„კვირის პალიტრა"

**გურამ ჩალაგაშვილი**
*სომეკის ყოფილი ხელმძღვანელი*



**დასავლელმა ლიდერებმაც და ბევრმა სხვამაც ჩაიხედონ საკუთარ გულში და დაფიქრდნენ, ეს ყველაფერი მათი ბრალიც ხომ არ არის?** პოლიტიკას არ უნდა გადავაყოლოთ ადამიანების, ჩვილი ბავშვების სიცოცხლე. **ვისაც უნდა, დამძრახოს ამ სიტყვის გამო, ვისაც უნდა, ეფეროს მერკელებს და სარკოზებს.** ჩემთვის ეს ყველაფერი გაუგებარია.

„კვირის პალიტრა"

**ვიქტორია კოგანი**
*უკრაინის მოქალაქე*



**ჩვენ ბევრი საერთო გვქონდა რუსეთთან,** ჩვენთან ბევრი რუსია, ნათესავებს შორისაც, **უმრავლესობა რუსულად ვლაპარაკობთ,** მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ჩვენი უკრაინული ენა და დღემდე ვერ ვიგებთ, **რისგან ცდილობენ ჩვენს გათავისუფლებას — საკუთარი სამშობლოსგან?!**

„კვირის პალიტრა"

**კახაბერ ყალიჩავა**
*ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორი*



ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საშინელება, რაც რუსებს გაუკეთებიათ — **ქართველებისთვის თავების მოკვეთა და ფეხბურთის თამაში,** ჩემი ოჯახია ამის მომსწრე. იყო ასეთი შემთხვევაც, როცა **გოგონა გაუპატიურების შემდეგ შუაზე გაჭრეს,** შემდეგ გადაჭრილ ნახევრებს ფოტოები გადაუღეს და სხეულს დააწერეს: **„როგორც ეს სხეული არ გაერთიანდება, ისე არასდროს გაერთიანდება აფხაზეთი და საქართველო".**

„კვირის პალიტრა"

# ზანგს თუ ზანგი არ ვუწოდო, მაშ, პედერასტს რა დავარქვა?

***მას შემდეგ, რაც უკრაინაში დიდი სისხლისღვრა და უბედურება ტრიალებს, რამდენჯერაც ვაკეში, მშობლიური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ, მდებარე ტარას შევჩენკოს ძეგლს ჩავუარე, იმდენჯერ ამეკვიატა მირგოროდში, რუსული ბომბებით გადათხრილ მიწაში დასაფლავებული დავით გურამიშვილის უკვდავი შეგონება — „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“***

მოგეხსენებათ, სახელოვანმა პოეტმა და დიდმა მამულიშვილმა, რომლის მშფოთვარე და დაუდგრომელი ცხოვრებაც თავიდან ბოლომდე იმ ისტორიულმა უბედურებამ განსაზღვრა, რასაც **ლეკიანობა** ჰქვია, ეს სიტყვები გულის ფიცარზე ამოიტვიფრა. რა არ გადაიტანა, სად არ იომა და სად არ იქნია ხმალი **დავით გურამიშვილმა**, ღმერთმა უწყის. **ჯერ დაღესტანში, სოფელ ოსოქოლოში, ლეკების მიერ გათხრილ ხაროში იტანჯა, მერე გაიქცა და კაზაკებმა გადაარჩინეს, მერე მოსკოვს ჩავიდა, მერე ქართველ ჰუსართა პოლკში ჩაირიცხა და შვიდწლიან ომში ფრიდრიხ დიდის წინააღმდეგაც იომა... ბოლოს დაღლილი, დამაშვრალი და მოხუცებული უკრაინაში, მირგოროდში, დასახლდა და იქვე მიიცვალა.**

გურამიშვილი ჩვენთვის არამხოლოდ იმით არის საინტერესო, რომ რუსთაველის შემდეგ, იმ ხუთასწლოვან ცეცხლსა და ჯოჯოხეთში შობილი მანათობელი ბრილიანტი და ყველაზე დიდი ქართველი მგოსანია, არა! **„დავითიანის“ ავტორი განსაკუთრებით ფასეულია იმ მხრივ, რომ მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა დაამკვიდრა „მართლის თქმის“ პრინციპი, რომელსაც თანამედროვე გაუკუღმართებული მსოფლიო არ ცნობს და ჯიუტად უგულებელყოფს!**

ქართულმა ელიტამ დავით გურამიშვილის სიმართლის გზას რომ გადაუხვია, იმიტომაც გაირყვნა და დაგვემხო თავზე ქვეყანა. **ქართველი პოეტები, მწერლები, თეატრალები და კინოინტელიგენციის ქურუმები, რომლებსაც საქართველოს თავისუფლების ბარიკადებზე მართალი სიტყვა უნდა ეთქვათ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, წითელ თუმნიანებზე გაიყიდნენ და ბაზრის კინტოებივით დახურდავდნენ. საქმე საქმეზე როცა მიდგა, აღმოჩნდა, რომ კინოსტუდიასა და კიდევ სხვა სტუდიებსა და კავშირებში მოკალათებული ელიტა, რომელსაც სწორედ დავით გურამიშვილის სიმართლის დროშა უნდა აეფრიალებინა და ერი სარკეში ჩაეხედებინა, თურმე, ალებმიცემობითა და „გაზ-24“-ებით ვაჭრობით ყოფილა დაკავებული...**

ეს ტენდენცია თანამედროვე მსოფლიოს კიბოს მეტასტაზებივით უტევს... მზისქვეშეთში აღარ დარჩა მორალური ავტორიტეტი — ყველა წაბილწეს, დაამიწეს, შებღალეს და გააბიაბრუეს! **ეს ის მსოფლიოა, სადაც ღმერთი დიდი ხანია, მოკვდა, ხოლო ულმერთოთა კრებსით სახეს ქართულ სინამდვილეში წარმოადგენს ჭყეული ნახევარქათამა ნიკუტა გვარამია, რომელმაც მშობელ მამას, აწ განსვენებულ ანზორ გვარამიას, გულზე ძაღლი დაამარხა და ურცხვად გამოგვიცხადა — თანამედროვე მსოფლიოში მთავარია არა ფაქტები, არამედ აღქმებიო!**

კაცმა რომ თქვას, ნიკუტა მართალია, რადგან ის, რაც ჩემთვის და ჩემისთანებისთვის გახლავთ ფაქტი, **უნიჭო თამარ კინწურაშვილისა და ეთერ ბუზიაშვილისთვის,** რომლებიც ფეისბუქზე არასასურველ ავტორებს წამდაუწუმ ბლოკავენ, არის **ნიკუტასეული „აღქმა“,** რომელსაც ხან **ჰომოფობია** ჰქვია, ხან — **ტრანსფობია,** ხან — **რასობრივი სეგრეგაცია,** ხან — **ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია** და ხანაც — **სექსიზმი.**

მოგეხსენებათ, გენიალური რუსთაველი თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ ერთგან ახსენებს ტერმინ **„ზანგს“.** აი, ეს ადგილიც:

**„ავთანდილ ჯდა**
**მარტო საწოლს,**
**ეცვა ოდენ**
**მართ პერანგი,**
**იმღერდა და იხარებდა,**
**წინა ედგა ერთი ჩანგი.**
**შემოვიდა მას წინაშე**
**თინათინის მონა ზანგი,**
**მოახსენა: „გიბრძანებსო**
**ტანი ალვა, პირი მანგი“.**

17 მაისის აპოლოგეტების, სოდომისტებისა და ნიკუტა გვარამიას მსგავსად მამის გულზე ძაღლის დამმარხველების „აღქმით“, **რუსთაველი ამ შემთხვევაში გაქანებული რასისტია, რადგან მან „აფროამერიკელის“ ნაცვლად გამოიყენა ცნება „ზანგი“, რომლითაც ხაზი გაუსვა ადამიანის კანის ფერს...** ხოლო იქ, სადაც ავტორი დავარ ქაჯს ნესტან-დარეჯანის მისამართით ათქმევინებს — **„როსკიპო, ბოზო, დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე?!“** — რუსთაველის საქმე მთლად უკუღმაა წასული. კერძოდ, **უნიჭო კინწურაშვილის, ბუზიაშვილისა და მათი მსგავსი ქაჯების გაგებით,** ჩვენი სულმნათი შოთა ამ შემთხვევაში ბეჭედდასმული **ჰომოფობია** და საზოგადოებისგან უნდა მოიკვეთოს!

აღარაფერს ვამბობთ ცნება **„პირბოზის“** შესახებ, რომელიც ასევე „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება და ჩვენი ღრმა რწმენით იმ სამედიცინო და იურიდიული ტერმინების სინონიმს წარმოადგენს, რომლის ხსენებაზეც სოდომისტები და მათი დამცველები ნიფხვებიდან ხტებიან. დიახ, საქმე ეხება ცნებებს — **„პედერასტსა“** და **„პედერასტიას“!**

მოკლედ, თუ დიდი **დავით გურამიშვილის** საქვეყნოდ ცნობილი და ზემოხსენებული შეგონების პერიფრაზირებას მივმართავთ, მაშინ ისღა დაგვრჩენია, ხელები გავასავსავოთ და ამ გაუკუღმართებული და გაცვედნებული მსოფლიოს გასაგონად ვიკითხოთ:

**„ზანგს თუ ზანგი არ ვუწოდო, მაშ, პედერასტს რა დავარქო?“**

ნიკუტელების, ჭუტელების, კინწურელებისა და მათი ტვინმოღრეცილი ვართაპეტების მოძღვრების თანახმად, მსოფლიო ლიტერატურის ისეთი შედევრები, როგორიცაა **„ტომ სოიერის თავგადასავალი“, „ბიძია თომას ქოხი“** და არაერთი სხვა ნაწარმოები, უნდა განადგურდეს, რადგან ყველა ამ წიგნში ფიგურირებს სიტყვა და ცნება **„ზანგი“,** რაც რასისტული გამონათქვამია და ავტორის ღრმა ჰომოფობიურ განწყობებზე მიუთითებს. **ბუნებრივია, სოდომგომორელთა ამ „ლგბტ“ ბადეში ხვდება რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“...**

იმ დიდი და საშინელი ომის ფონზე, რომელიც უკრაინაშია ატეხილი, დღევანდელ მსოფლიოში კიდევ ერთი უსასტიკესი ომი მძვინვარებს, სადაც ერთ მხარეს დგანან ქრისტიანობა, ზნეობა, ეროვნული ფასეულობები და ტრადიციები, ხოლო მეორე მხარეს — **ნეოტროცკისტები, სოფელ ატოცთან შარვალჩახდილები, 17 მაისის, კაზანტიპის, „ფუჩუსა“ და „თბილისი პრაიდის“ აპოლოგეტები!** ეს უფრო დიდი და საშინელი ომია, ვიდრე გაგრის, სოხუმის, კამანის, ბელგრადის, შინდისის, მარიუპოლისა და ბუჩას ტრაგედიები...

**ამ ომში ქრისტიანობამ უნდა გაიმარჯვოს!**

**ამ ომში დამარცხებას ღმერთი არ გვაპატიებს!**

***დიტო ჩუბინიძე***











## ნიკუტელების, ჭუტელების, კინწურელებისა და მათი ტვინმოღრეცილი ვართაპეტების მოძღვრების თანახმად, მსოფლიო ლიტერატურის ისეთი შედევრები, როგორიცაა „ტომ სოიერის თავგადასავალი“, „ბიძია თომას ქოხი“ და არაერთი სხვა ნაწარმოები, უნდა განადგურდეს!

## კვირგვინოსნები

**ლევან ჯავახიშვილი**
*ტელეწამყვანი*



დროსთან ერთად ჩვენს პროფესიაში ბევრი რამ შეიცვალა. **სამწუხაროდ, აღარ არის ის კოლეგიალობა და ერთმანეთის პატივისცემა, რაც ადრე არსებობდა. ეს პროცესი 2007 წლიდან დაიწყო და დღეს ძალიან მძაფრად იგრძნობა.** ჟურნალისტიკას არ ჰქონდა ასეთი მძიმე კულისები, რაც ახლა აქვს. **ადრე არსებობდა ჟურნალისტების ერთი დიდი ოჯახი,** არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ რომელ არხზე მუშაობდა. **ახლა ადამიანები ერთმანეთს მტრებად აღიქვამენ, რაც ჩემთვის მიუღებელია.**

„თბილისელები“

**ნატა ამაღლობელი**
*ჟურნალისტი*



მეორე შვილის შეძენის შემდეგ როცა გავედი **„რუსთავი-2“-ში,** შევაღე ჩემი ოთახის კარი, **დამხვდა სრულიად უცნობი ადამიანი, რომელმაც მითხრა, რომ ახლა ის მუშაობდა ამ ოთახში.** მოვიკითხე ჩემი ნივთები, კომპიუტერი. ნივთები ყუთში ეწყო, კომპიუტერი გატანილი იყო პროგრამისტებთან... მე ვერ დავუწყებდი **ნიკა გვარამიას** ხვეწნა-ვედრებას, ამიტომ დავტოვე ტელეკომპანია.

„სარკე“

**მირანდა ბაღათურია**
*ტელეკომპანია „პირველის“ რეპორტიორი*



ძალიან მინდა **პუტინთან ინტერვიუს ჩაწერა** და მისთვის თვალებში ყურება.

„სარკე“

**გიგა ბუკია**
*კონსერვატიული პარტიის ლიდერი*



**ერთი ტელევიზია ერთ პარტიას ემსახურება, მეორე — მეორეს.** ეს ქმნის პოლარიზაციას. **ქოცები და ნაცები ისევ ურთიერთგაძლიერების მიმართულებას მიჰყვებიან.**

„ახალი თაობა“




# «უმცირესი ბოროტების» იმპერია




***სახელოვანმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა 1919 წელს გამოსცა ცნობილი ნაშრომი „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მეთვრამეტე საუკუნეში“. ამ მონოგრაფიაში დიდმა მეცნიერმა 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში გაფორმებულ ტრაქტატს „მეგობრობისა და მფარველობის“ ხელშეკრულება უწოდა!***

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა, დიდმა სტალინმა **გეორგიევსკის ტრაქტატს** ასეთი დეფინიცია მისცა — **„უმცირესი ბოროტების“** გზა! მიგვაჩნია, რომ ტრაქტატის შეფასებაში სტალინის პოზიცია უფრო ზუსტი და ობიექტურია, ვიდრე დიდი ივანე ჯავახიშვილის ბუნდოვანი და გაუგებარი სამეცნიერო ვერდიქტი.

მართლაც **„უმცირესი ბოროტება“** იყო **გეორგიევსკის ტრაქტატი,** რადგან, თუ არა რუსთხელმწიფის ორთავიანი არწივის წივილი და რუსული ხიშტის სიალმასე, თურქეთსა და ირანს საქართველო გადაყვანილი ჰყავდათ უფრო **დიდი ბოროტების,** ანუ ნელი სიკვდილისა და ნებაყოფლობითი ევთანაზიის რეჟიმში, რასაც მე-19 საუკუნის 20-ანი წლების მიწურულს ქართველი ერის საბოლოო განადგურება და უცილობელი მოსპობა მოჰყვებოდა.

დემოგრაფთა დასკვნით, 1783 წლის მდგომარეობით, მთელ საქართველოში დაახლოებით 670 ათასი კაცი ცხოვრობდა. აქ იგულისხმება ყველა — ქართველიც, თათარიც, სომეხიც, სპარსიც, ქურთიც და ა.შ. ასე რომ, ამ 670 ათასი კაციდან ეთნიკური ქართველი დაახლოებით 300 ათასი კაცი თუ იქნებოდა. მე-18 საუკუნის მიწურულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში შავი ჭირისა და ქოლერის ეპიდემიამ ეს 670 ათასი კაცი, ფაქტობრივად, გაანახევრა და 1814 წლის მდგომარეობით საქართველოში უკვე დაახლოებით 200 ათასამდე ქართველი ცხოვრობდა, რაც იმაზე უფრო ნაკლებია, რამდენი ქართველიც, 1989 წლის აღწერის მონაცემებით, მხოლოდ ქუთაისში სახლობდა.

**მოკლედ, თქმა არ უნდა, რომ იმ ისტორიულ მომენტში, როცა 1807 წლის ფინკენშტეინის ხელშეკრულებით ნაპოლეონი მზად იყო, აღმოსავლეთ საქართველო ირანისთვის საჯიჯგნად მიეგდო, ოღონდაც რუსეთის წინააღმდეგ ომში სპარსეთი ჩაეთრია, ჩვენ ფიზიკურ განადგურებას გადავრჩით.** საქართველო ისე იყო დემორალიზებული და ხერხემალში გადატეხილი, ვიდრე ერეკლე მეფე თელავის სასახლეში სულს დალევდა, თბილისი კინაღამ ორასმა ლეკმა აიღო.

**რუსეთმა საქართველო გადაარჩინა, მაგრამ 1811 წელს ავტოკეფალია გაგვიუქმა და ქვეყანას თავზე რუსი ეგზარქოსები დაასვა.**

1837 წლის შემოდგომაზე, როცა საქართველოში იმპერატორი **ნიკოლოზ პირველი** ჩამობრძანდა, რუსმა მოხელეებმა **„სანიტარიული ნორმების დაცვის მიზნით“,** რათა რუსთხელმწიფე რომელიმე ტაძარში შესვლის დროს **„არ მოწამლულიყო“,** კირით შეათეთრეს ქართული ეკლესია-მონასტრების ათასწლოვანი ფრესკები. დეტალურად არის აღნუსხული, თუ რა საეკლესიო საგანძური გაიტანეს რუსმა ეგზარქოსებმა ქართული ეკლესიებიდან, როგორ ამოჩიჩქნეს უძვირფასესი და უნატიფესი ქართული ჯვარხატებიდან პატიოსანი თვლები, როგორ მოიპარეს და მიიტაცეს თამარ მეფის ოქროს ქოშები და უცხოელებზე გაყიდეს ქართველი მღვდელმთავრებისა და უწმინდესი პატრიარქების ოქროთი მოვარაყებული შესამოსელი...

ბუნებრივად დაისმის კითხვა — **რატომ იქცეოდა რუსეთი საქართველოში ასე სასტიკად, რატომ ამჟღავნებდა თავის სკვითურ სიველურეს და რად გადაგვარჩინა, თუ სული უნდა ამოეხადა, რწმენა შეეგინებინა და წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი წაებილწა?**

ამ კითხვაზე პასუხები დავიწყოთ ჩვენი ცოდვებით და მერე რუსებს მოვკითხოთ!

თავდაპირველად გარკვევით უნდა ვთქვათ, რომ **საქართველოში რუსების მიერ გამოჩენილი სიველურის მთავარი მიზეზი გახლდათ საშინელი შური, რომელსაც რუსი მოხელეები მაღალი ქართული კულტურის მიმართ ვერ მალავდნენ.** რუსები საქართველოში რომ შემოვიდნენ და ჩვენი საეკლესიო არქიტექტურა, მწერლობა და საერო ლიტერატურა კარგად შეისწავლეს, მიხვდნენ, რომ იმ დიდი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაში აღმოჩნდნენ, რომლის ჭკუის სწავლება და გაკვირვება ძალიან ძნელი იყო. ამიტომ მიზნად დაისახეს სწორედ ქართული კულტურის ამოშანთვა, რაც ქართული ენის გაქრობის გარეშე შეუძლებელი იყო. **სწორედ ამიტომ საქართველოში აკრძალეს ქართულად ლაპარაკი, ქართული ენა გამოაცხადეს „ძაღლების ენად“ და დაიწყეს „ზრუნვა“ მეგრელებისა და სვანების მეგრულად და სვანურად „განათლებაზე“, რასაც, უპირველესად, მაშინდელი სამეგრელოსა და სვანეთის ქართველობა დაუპირისპირდა და იმპერიის შავბნელი მსტოვრები პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.**

სხვათაშორის, **ქართულ სკოლაში მეგრული, სვანური, ლაზური და ჭანური ენების საფუძვლების სწავლების შესახებ წინა კვირას სალომე ზურაბიშვილიც ალაპარაკდა. თავის დროზე ამ იდეას აკაკი წერეთელი და აკაკი შანიძეც უჭერდნენ მხარს, მაგრამ ახლა, ამ სიტუაციაში აღნიშნულ თემაზე ხმამაღლა ლაპარაკი „ქართველური ენების დაცვას“ კი არა, კავკასიაში რუსის საქმის დაცვას უფრო მოემსახურება.**

ეგეც რომ არ იყოს, რასაც **სალომე ზურაბიშვილი ხელს მოჰკიდებს, იმ საქმიდან ბოლოს მაინც კაგებეშნიკი ჯანრიკაშია გამოდის! ამიტომ ეს იდეა მომავლის საქართველომ უნდა აღასრულოს და არა ლომჯარიას მიერ დაშინებულმა ქვეყანამ, რომელმაც სააკაშვილის პარტიული დროშაც კი ვერ გამოცვალა.**

რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო ისეთი სახელმწიფო მოღვაწე, როგორიც მოსკოვის დიდი მთავარი **ივანე მესამე** (1462-1505წ.წ.) გახლდათ. მან ბიზანტიელ პრინცესა **ზოია პალეოლოგოსზე** იქორწინა. სწორედ ივანე მესამის დროს გახდა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს გერბი ბიზანტიური ორთავიანი არწივი. **ამ დროიდან მოყოლებული მოსკოვის სამთავროსა და სრულიად რუსეთს მოსვენებას არ აძლევს იმპერიული ამბიცია, რომელმაც თავის დროზე მსოფლიოს ყველაზე ხნიერი იმპერია — ბიზანტია გადაიყოლა.**

ივანე მესამის მემკვიდრის **ვასილი მესამის** (1505-1533წ.წ.) დროს **ბერმა ფილოფეიმ,** რომელიც ფსკოვში, იერლიზაროვის მონასტერში, მოღვაწეობდა, მოსკოვის დიდ მთავარს წერილი გაუგზავნა და ჩააგონა — **„ყურად იღე, მართლმორწმუნე ხელმწიფეო! ორი რომი დაეცა, მესამე რომი — მოსკოვია, ხოლო მეოთხე — აღარ იქნება!“**

ნაპოლეონისა და ჰიტლერის არმადების შემოსევების დროს რუსი სასულიერო პირები და ლავრენტი ბერიას მიერ ხელდასხმული ტყავისლაბადიანი ჩეკისტები ხალხს აიმედებდნენ და აგულიანებდნენ, რომ მოსკოვი, როგორც „მარადიული ქალაქი“ და „მესამე რომი“ არ დაეცემოდა. **სამწუხაროდ, 1812 წლის 9 სექტემბერს რუსები იძულებული გახდნენ, გადაეწვათ თავიანთი საყვარელი ქალაქი... დიახ, ეს რუსებმა გააკეთეს, რადგან, კუტუზოვის სიტყვებით თუ განსჯით, მოსკოვის დაკარგვა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რუსეთის განადგურებას, მაგრამ, თუ არმია განადგურდებოდა, მაშინ რუსეთიც დაეცემოდა და მოსკოვიც!**



რუსეთმა დაინახა, რომ ქართველი კაცი ქრისტიანობას უფრო ძნელად დათმობდა, ვიდრე სახელმწიფოებრიობას. 1688 წელს, როცა **არჩილ მეფემ** მოსკოვში უწმინდესი ქრისტიანული რელიკვია — ქრისტეს სამსჭვალი ჩაიტანა, ხოლო ცოტა უფრო გვიან ქართველებმა წმინდა ნინოს ვაზის ჯვარიც რუსეთის იმპერატორს მიართვეს, ამით ღვთისმშობლის წილხვედრმა ივერიამ აღმოსავლეთში ქრისტიანობის ფორპოსტის სტატუსი დათმო და ეს დროშა რუსეთს გადააბარა.



მამის მკვლელმა იმპერატორმა **ალექსანდრე პირველმა** დიდებითა და პატივით დააბრუნა საქართველოში წმინდა ნინოს ჯვარი ვაზისა, რომელმაც 1802 წლის 9 აპრილს სიონის საკათედრო ტაძარში დაიდო ბინა. გადმოცემით, იმპერატორს უთქვამს მაშინ — **ეს ქართველი ერის უდიდესი სიწმინდეა და მისი ადგილი რუსეთში კი არა, საქართველოშიაო!**

ეს სიკეთე იყო...

რუსეთმა მხოლოდ ერთხელ გაბედა და **უმცირესი ბოროტების** წილ **უდიდესი სიკეთე** მოუტანა საქართველოს, როცა ქვეყანას მოკვეთილი სხეული — ტაო-კლარჯეთი დაუბრუნა, მაგრამ კრემლმა რუსულ შოვინიზმს ბოლომდე ვერც აქ გადააბიჯა. **როცა მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში 1878 წლის სანსტეფანოს ზავით შემოერთებული ძველისძველი საქართველოს უმაღლესი ქრისტიანული კულტურა და საეკლესიო არქიტექტურა იხილეს, როცა ოშკის, დოლისყანის, ჩანგლის, შატბერდის, ხანძთის, ოთხთა ეკლესიის, პარხლისა და ოპიზის წარწერებს თვალი შეავლეს, 1921 წლის 16 მარტს საქართველოს წარსული დიდება პირველივე წაფორხილებისთანავე განაგდეს და ისევ თურქულ ოკუპაციას შეტენეს, როგორც რუსული კულტურისა და ისტორიის მარადიული კონკურენტი და „მესამე რომის თეორიაზე“ ბევრად უფრო აღმატებული იპოსტასი.**

საბოლოო ჯამში ისე გამოვიდა, რომ რუსეთმა თურქეთსა და ირანს ჩვენი თავი არც მოაკვლევინა, მაგრამ არც დაგვარჩინა — ქართველს დედოძარღვი გადაუჭრა და მებრძოლი სული ამოაცალა!

**კრემლის უმცირესი ბოროტება უმცირეს სიკეთეს ვერ გასცდა...**

რას მოიმოქმედებს პუტინი და დასრულდება თუ არა **უმცირესი სიკეთე უდიდესი ბოროტებით,** ღმერთმა უწყის!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ზურაბ მხეიძე**
*ფსიქოლოგი*



**დღეს 95 პროცენტი სტრესში, შიშსა და ისტერიკაშია.** დააკვირდით ჩვენს ტელეარხებს, ყველა სიუჟეტი ისტერიკულია, თან მარტო ომს კი არ აშუქებენ ასე, ნებისმიერ რამეს. **ადამიანმა რომ მაწონი იყიდა, ისეთ ტონალობაში მოგიყვებიან, შეიძლება, დაიზაფრო.** სოციალურ ქსელსაც გადავხედოთ, გამიკვირდება, თუ იქ პოზიტივს ნახავთ, პირიქით, თითქმის სულ ნეგატივია და ამას დართული პირადი შეურაცხყოფა.

„კვირის პალიტრა“

**ზურა ყიფშიძე**
*ქართველი მსახიობი*



**ეს პერფორმანსები, ქუჩაში ხელებშეკრული წამოწოლა, ბავშვების ფეხსაცმელების დალაგება და ა.შ., რა ვქნა, არ მოქმედებს ჩემზე** — მოვლენა იმდენად დიდია, რომ ძალიან უსუსურად, უგემოვნოდ და მეტიჩრობად მეჩვენება ეს ყველაფერი... უფრო გართობას ჰგავს, ვიდრე საქმის კეთებას.

„ალია“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



ჩვენი **ოპოზიცია** იმისთვის კი არ მუშაობს, რომ არსებულ ვითარებაში საქართველო ღირსეულად წარმოჩნდეს, **ცდილობს, დასავლეთს აჩვენოს, რომ ხელისუფლება არაფერს აკეთებს.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი [illegible]**



ახლაა დრო, რომ **90-იანი წლების ეთნოწმენდაც** შევახსენოთ და ვაჩვენოთ ყველას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს **დასავლეთის უმოქმედობას.**

„კვირის პალიტრა“

**გამოიწვევს თუ არა დადებით ძვრებს ქართულ და უკრაინულ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ის ფაქტი, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია უკრაინის რადას სპიკერის მიწვევით კიევში ჩავიდა? ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე ცნობილი პოლიტიკოსი და ანალიტიკოსი, საქართველოს ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი გვესაუბრება:**



**ნანა დევდარიანი:**



ქართული საპარლამენტო დელეგაცია უკრაინაში. 2022 წლის 16 აპრილი

**„როცა ზელენსკი და მისი ხელისუფლება ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი კრიმინალების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნას აგრძელებენ, ქართული საპარლამენტო დელეგაციის უკრაინაში ჩასვლა არის უთავმოყვარეობა!“**

# საქართველომ დღესაც ლერწმის სტრატეგიით უნდა იხელმძღვანელოს!

— არანაირი მოლოდინი და იმედი არ მაქვს, რომ უკრაინაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი რაიმე პოზიტიურ ცვლილებას შეიტანს იმ აგდებულ და უპატივცემულო დამოკიდებულებაში, რომელიც უკრაინის ხელისუფლებას უკვე წლებია, საქართველოს მიმართ გააჩნია.

**ჯერ კიდევ მაშინ, როცა პოროშენკოს ხელისუფლებამ სააკაშვილი და სხვა ნაცები მაღალ-მაღალ თანამდებობებზე დანიშნა, საქართველოს ხელისუფლებას უკრაინიდან ელჩი უნდა გამოეწვია,**

მაგრამ ეს არ გააკეთა, სამაგიეროდ, ახლა ზელენსკიმ გაიწვია ელჩი საქართველოდან. უპრინციპობა ყოველთვის ასე მთავრდება და საქართველოს ხელისუფლებამ, რომელმაც მილევად რეჟიმში გადასული ნაცმოძრაობა გააცოცხლა, ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალოს!

**— თავად იმ ფაქტს, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია უკრაინაში ჩავიდა, როგორ შეფასებას აძლევთ?**

— ხისტი მიდგომები მაქვს და ამიტომაც არადიპლომატიურად ვიტყვი: **ქართული საპარლამენტო დელეგაციის უკრაინაში ჩასვლა არის უთავმოყვარეობა მაშინ, როცა ზელენსკი და მისი ხელისუფლება საქართველოს დამამცირებელ ნაბიჯებს დგამენ და ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი კრიმინალების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნას აგრძელებენ!**

ისე, როგორც აღმოჩნდა, ქართველი და უკრაინელი ხალხი ერთი ბედისანი ვყოფილვართ — ზელენსკი „კლოუნი“ იყო და პრეზიდენტი გახდა, სააკაშვილი კი პრეზიდენტი იყო და „კლოუნად“ გადაიქცა!

**— თუმცა, სააკაშვილს „კლოუნობა“ არც პრეზიდენტობამდე აკლდა!**

— მართალია, მაგრამ ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ სააკაშვილმა „კლოუნიზმში“ სულ სხვა სიმაღლეებს მიაღწია! საერთოდ, „კლოუნი“ ძალიან კარგი და საჭირო პროფესიაა, ოღონდ — ცირკში, ხოლო პოლიტიკასა და, მით უფრო, ხელისუფლებაში „კლოუნი“ კატასტროფაა.

**— თქვენი აზრით, რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტში საქართველოს ჩათრევის საფრთხე კვლავ არსებობს თუ ეს საშიშროება უკვე მოხსნილია?**

— მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი, კარგად ვხედავ წყალგამყოფს თვითონ ხელისუფლების შიგნით — **რასაც ლარიბაშვილი აკეთებს, სრულიად გამართლებულია, მაგრამ, რასაც „ოცნების“ საპარლამენტო მაღალჩინოსნები წლების განმავლობაში აკეთებდნენ, იმას არავითარი გამართლება არა აქვს!** თუმცა, დღეს უკვე ჩანს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებმაც გააანალიზეს ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და ცოტა დაოკდნენ!

ვინმემ გამაგებინოს, რანაირად უნდა შეუერთდეს საქართველო რუსეთის საწინააღმდეგო ეკონომიკურ სანქციებს, როცა სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ყველა სტრატეგიული და მომგებიანი ბიზნესი რუსეთს გადაულოცა?!

**ახლა საქართველოს მოქალაქეების ნაწილი სოციალურ ქსელში ვიდეოებს რომ დებს – რუსეთში დამზადებული პროდუქცია არ იყიდოთო, მაშინ გაზსაც ნუ ჩართავენ, რადგან ისიც რუსულია! წყალსაც ნუ დალევენ, რადგან მისი მეპატრონეც რუსული კომპანიაა! დენსაც ნუ მოიხმარენ, რადგან ისიც რუსული კომპანიის ხელშია!**





**„ზელენსკი „კლოუნი“ იყო და პრეზიდენტი გახდა, სააკაშვილი კი პრეზიდენტი იყო და „კლოუნად“ გადაიქცა!“**

**— ზოგადად, რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით რა მოლოდინი გაქვთ, როდის და როგორ შეიძლება, დასრულდეს ეს სისხლისმღვრელი კონფლიქტი?**

— ჩემი თვალთახედვით, გაცილებით უფრო მძაფრია საინფორმაციო ომი, ვიდრე თავად საომარი მოქმედებები, რომლებიც უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ღმერთმა დამიფაროს, რომ მეგონოს, თითქოს უკრაინაში საშინელება არ ხდება — ერთი ადამიანის, ერთი ბავშვის დაღუპვაც კი გამოუსწორებელი კატასტროფაა, მაგრამ ფეიკები ფეიკებზე ვრცელდება და ამერიკული საინფორმაციო ტექნოლოგიებით წარმოებული პროპაგანდისტული ომი ყოველგვარ ზღვარს გასცდა, რაც უკრაინას ძალიან დააზარალებს.

კრემლმა უკვე ოფიციალურად განაცხადა — თუ რუსულ ქალაქებში დივერსიული მოქ-

## კვირგვინოსნები

**სერგო ჩიხლაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



შევეჩვიეთ ხელისუფლებისგან, **კვირა არ გადის, რომ ახალი შეთქმულება არ დაანონსდეს,** ტრენინგი შეთქმულებად ეჩვენებათ, სემინარი — გადატრიალებად.

„ინტერპრესნიუსი“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



**ჩვენ არა — ოპოზიციას, არამედ ქართველ ხალხს წარმოვადგენთ.**

„მთავარი არხი“

**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ წევრი*



საქართველოს პარლამენტში დღეს **კრემლის ადგილობრივი ფილიალია.** არავითარი რევოლუცია არ მზადდება საქართველოში. ჩვენ გვჭირდება **ვადამდელი, რიგგარეშე თავისუფალი არჩევნები.**

„ახალი თაობა“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



ოცნებასთან“ აქ ვკამათობთ, **ქვეყნის გარეთ საქართველო უნდა წარმოვადგინოთ ერთად.** ეს არის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ანა და ბანა.

„რეზონანსი“

**ფიქრია ჩიხრაძე**
*„ლელოს“ წევრი*



ჩვენ **არ ვაპირებთ** რევოლუციებს, **ვაპირებთ** გამოვცვალოთ ხელისუფლება მწვავე პროტესტით.

„ახალი თაობა“

**დავით დარჩიაშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



საქართველოს ფეოდალური წყობილებით **ევროკავშირში არ მიგვიღებენ.** „ოცნებას“ ნაციონალური მოძრაობის მიმართ ბიოლოგიური ზიზღი აქვს.

„ახალი თაობა“



## „ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ბჟეზინსკი ჯერ კიდევ 30 წლის წინათ წერდა – რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, რუსეთს უკრაინა უნდა ჩამოვაშოროთ, რადგან ასეთ შემთხვევაში რუსეთი ევრაზიული იმპერია აღარ იქნება და მხოლოდ აზიურ იმპერიად დარჩებაო!“

მედებები იქნება და ჩვენს ტერიტორიაზე ერთი ბომბი მაინც ჩამოვარდება, კიევს დავბომბავთ და უკრაინას სრულმასშტაბიან ომს გამოვუცხადებთო! როგორც იცით, **რუსეთს უკრაინისათვის დღემდე არა აქვს ომი გამოცხადებული და რაც ხდება, ამას სპეციალურ სამხედრო ოპერაციას უწოდებს.**

**— ეს რუსული პროპაგანდის ნარატივია, თორემ, რაც უკრაინაში ხდება, სრულმასშტაბიანი ომია, აბა, რა არის?**

— გასაგებია, მაგრამ ომს თავისი კანონები აქვს! **დღეს მთელი ევროპა უკრაინის გავლით იღებს რუსულ გაზს, ომის ოფიციალურად გამოცხადების შემთხვევაში კი გაზის, ნავთობისა და სხვა სტრატეგიული დანიშნულების ნედლეულის ყიდვა-გაყიდვა ვეღარ მოხდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, კოლექტიურ დასავლეთს არ აწყობს.**

მიაქციეთ ყურადღება: მთელ რიგ ნედლეულზე, რომელიც ამერიკასა და ევროპას რუსეთისაგან სჭირდება, სანქციები არ დაწესებულა. მაგალითად, ხელოვნურ საფირონზე, რომელიც სმარტფონების დასამზადებლად არის საჭირო, ევრო-ამერიკული სანქციები არ მოქმედებს ისევე, როგორც რუსულ ალუმინზე, ინერტულ აირებზე და ა.შ.

საერთოდ, იმ სანქციებისათვის, რომლებიც დღეს რუსეთს აქვს დაწესებული, პუტინი ათი წელია, ემზადება. მან რუსი ოლიგარქები დიდი ხნის წინათ გააფრთხილა — აქტივები, რომლებიც საზღვარგარეთ გაქვთ გატანილი, რუსეთში შემოიტანეთ, თორემ მერე ძალიან ინანებთო! მოკლედ, **კრემლში ყველა მოსალოდნელი სცენარი გათვლილი ჰქონდათ და სანქციებს მომზადებული შეხვდნენ.** ვინმეს თუ ჰგონია, რომ ჩინეთთან და ინდოეთთან დაახლოების პოლიტიკა, რომელსაც რუსეთი წლების განმავლობაში აწარმოებდა, რომანტიკული მიზეზებით იყო განპირობებული, ძალიან ცდება. ერთ რამესაც დააკვირდით: **ქვეყნების რაოდენობის მიხედვით თუ დავთვლით, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს ბევრი სახელმწიფო შეუერთდა, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, მსოფლიოში მცხოვრები ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა ამ სანქციებს არ შეერთებია.** შესაბამისად, ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიისა და სამხრეთ აფრიკის მილიარდობით მოსახლე რუსეთის ეკონომიკისათვის უდიდესი სამომხმარებლო ბაზარია!

**— იმის თქმა გინდათ, რომ რუსული ეკონომიკის ჩამოქცევისა და რუსეთის სახელმწიფოს დაშლის შესახებ არსებული მოლოდინები გაზვიადებულია?**

— ასეთი მოლოდინების შექმნა მხოლოდ საინფორმაციო-პროპაგანდისტული ომის ნაწილია! ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი **ზბიგნევ ბჟეჟინსკი** ჯერ კიდევ 30 წლის წინათ წერდა — **რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, რუსეთს უკრაინა უნდა ჩამოვაშოროთ, რადგან ასეთ შემთხვევაში რუსეთი ევრაზიული იმპერია აღარ იქნება და მხოლოდ აზიურ იმპერიად დარჩებაო!** ამერიკა და დასავლეთი დღეს სწორედ ბჟეჟინსკის მიერ დასახულ ამ სტრატეგიას მიჰყვებიან!

**— სტრატეგია ახსენეთ და სწორედ თქვენ რამდენიმე წლის წინათ გამოეცით წიგნი, რომლის სათაურიც — „ლერწმის სტრატეგია“ — ეხმიანება მე-8 საუკუნის ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლის — იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების“ ცნობილ პასაჟს, რომელშიც ნათქვამია, რომ ქართველები მუდამ ახერხებდნენ გადარჩენას, რადგან ირყეოდნენ „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. მიგაჩნიათ, რომ საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა დღესაც ლერწმის სტრატეგიაზე გადის?**

— მაშინაც კი, როცა საქართველოს, როგორც ერთიან სახელმწიფოს, გადარჩენა არ შეეძლო, ნაწილ-ნაწილ მაინც გადარჩებოდა ხოლმე სწორედ ლერწმის სტრატეგიის წყალობით. ასე რომ, საქართველომ დღესაც ლერწმის სტრატეგიით უნდა იხელმძღვანელოს, რადგან ეს არის ყველაზე ჭკვიანური სტრატეგია! სხვათაშორის, იაპონელებიც ასე მოიქცნენ მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ — ძალიან ბევრი დაითმინეს და აიტანეს, რის გამოც არამხოლოდ გადარჩნენ, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა ააშენეს ისე, რომ თავიანთ ტრადიციებზე უარი არ უთქვამთ. ეს ჩვენთვის ნიმუში უნდა იყოს — **გავარღვიოთ სილატაკის მოჯადოებული წრე და ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად მაღალი ტექნოლოგიების ქვეყანა გავხდეთ!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

# „რასაც ღარიბაშვილი აკეთებს, სრულიად გამართლებულია!“





**კახა დავითაია**
*პარტია „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე*

ომი არც **9 მაისს** დასრულდება და არც **9 ივნისს.** სამწუხაროდ, ჩვენ **შუაგულ ევროპაში მივიღეთ მეორე ავღანეთი.** უკრაინის გარკვეული ქმედებები საქართველოს მიმართ ნამდვილად არასწორი იყო. **დაზვერვის განცხადებები და მტკიცებულების გარეშე საუბარი არასწორია.** მოდით, ვთქვათ სიმართლე, დრომ ხომ აჩვენა, რომ ეს ტყუილი იყო.

„ახალი თაობა“



**ალექსეი არესტოვიჩი**
*უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი*

**2035 წლამდე რამდენიმე სამხედრო შეტაკება გარანტირებულია.** მათ, ვინც ამისთვის მზად არ არის, ვინც ახლა ყვირის იმაზე, როგორ იცხოვრონ და გაზარდონ ბავშვები, სჭირდებათ რომელიმე სხვა ქვეყანა. **აქ ახალი ისრაელია.** უბრალოდ, მასშტაბები უფრო დახვეწილი და საშიშია. ჩემები ყველა აქ არიან და დარჩებიან აქ და ვინც მზად არ არის, **არსებობს თბილი ესპანეთი და ბევრი სხვა ქვეყანა, იქ წადით, თუ მზად არ ხართ.**

„რეზონანსი“



# თამარი და მისი რაზმი

***16 აპრილს ერთ-ერთ პარტიულ ტელევიზიაში სტუმრობისას ჟურნალისტმა თამარ კინწურაშვილმა იმდენი „საინტერესო ამბავი“ მოუთხრო მაყურებელს, რომ აღფრთოვანებულმა წამყვანმა აღტაცებული შეძახილით გააცილა სტუმარი — „ძალიან საინტერესო საქმეს ემსახურებითო“.***






თამარ კინწურაშვილი

მართლაც **„საინტერესო“** იყო კინწურაშვილის მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ ის და მისი მეგობრები „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ თანამედროვე ცენზორებად.

**დიახ, სწორედ ისინი განსაზღვრავენ, რა შეიძლება წაიკითხოს ფეისბუქის მომხმარებელმა და რა — არა.**

სამწუხაროდ, ფეისბუქმა მათ მიანიჭა უფლება, შეაფასონ, გავრცელებული ინფორმაციებიდან რომელია მართალი და რომელი — ყალბი, ანუ რისი წაკითხვა შეიძლება, რისი — არა.

თურმე, რასაც ისინი ყალბად მიიჩნევენ, იმით მკითხველმა თავი არ უნდა „დაინაგვიანოს“. **ზუსტად ასე მსჯელობდნენ საბჭოთა იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები, როდესაც გამადიდებელი შუშით ჩაჰკირკიტებდნენ** ჟურნალ-გაზეთებში თუ წიგნებში დასაბეჭდ მასალას, რათა საბჭოთა მკითხველის გონებაში არ შეეღწია მტრულ, ბურჟუაზიულ ინფორმაციას.

**საბჭოთა ცენზორებიც, „თავისუფლების ინსტიტუტის“ მსგავსად, ახშობდნენ ანტისაბჭოთა რადიოსადგურებს** („ამერიკის ხმა“, „თავისუფლება“, „თავისუფალი ევროპა“ და ა. შ.), **რადგან ცხადი იყო, რომ ისინი საბჭოთა მოქალაქისათვის არასაჭირო ტყუილებს გაავრცელებდნენ.**

დღევანდელი ცენზორებიც მკაცრი ფილტრის ქვეშ ატარებენ „მტრულ მედიებს“ და მათ ყველა ინფორმაციას, მერე ფეისბუქს მისწერენ, ესა თუ ეს პოსტი თუ მასალა მკითხველამდე არ უნდა მივიდესო და **ფეისბუქიც** ბლოკავს ასეთი მედიასაშუალებების ხმას.

კინწურაშვილის თქმით, თურმე, რუსეთ-უკრაინის ომის პირველივე თვეში 100 ინფორმაცია შეუფასებიათ ყალბად და ამის შესახებ ფეისბუქისთვისაც მიუწერიათ. აკი, აღიარა კიდეც — ჩვენ არ ვშლით, მხოლოდ „დანიშნულების ადგილზე“ ვგზავნითო.

დამბეზღებლის გარდა ისინი პროპაგანდისტის ფუნქციასაც ითავსებენ და ფეისბუქის იმ მომხმარებლებს, რომლებმაც **მათთვის ყალბი** ინფორმაცია გააზიარეს, სარეკომენდაციო სტატიებს უგზავნიან აღნიშნულ თემაზე და ასწავლიან „თავისუფალი აზრის გამოთქმის წესებს“.

გასაგებია, რატომ იღებენ **თამარი და მისი რაზმი** საკუთარ თავზე ასეთ დიდ პასუხისმგებლობას (და თანხებს) და რატომ მიიჩნევენ თავს ჭეშმარიტების უმაღლეს ინსტანციად. ესენი ხომ **საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებებს პრორუსულს უწოდებენ, ხოლო პოსტულატს — „რუსეთ-უკრაინა კი არ ებრძვის ერთმანეთს, არამედ რუსეთს ებრძვის კოლექტიური დასავლეთი“, რუსული პროპაგანდის ნარატივად ნათლავენ!** მათთვის მისაღებია ერთადერთი თეზა — **„მთელი დასავლეთი ებრძვის აგრესორ რუსეთს!“** მორჩა და გათავდა!!!

თუ ვინმემ ეჭვი გამოთქვა — **ბუჩაში დახვრეტილების ცხედრები ერთი კვირის გარდაცვლილებს არ ჰგავდნენო,** ამგვარი ფიქრი უკვე მიუტევებელ ცოდვად ჩაითვლება, 100%-იანი პრორუსობაც გარანტირებულია.

**ასე იყო საბჭოთა კავშირშიც** — უბრალო კითხვის დასმაც კი საბჭოთა პროპაგანდის მიერ დამკვიდრებულ კლიშეებზე ანტისაბჭოთა გამოხტომად ითვლებოდა და თუ არ დაგაპატიმრებდნენ, საყოველთაო ბულინგის მსხვერპლი ნამდვილად გახდებოდი. **ამას მაშინაც თამარისა და მისი რაზმის მსგავსი მენტალიტეტის ადამიანები აკეთებდნენ. უბრალოდ, მათ დაბადება ერთი საუკუნით დააგვიანეს, თორემ მე-20 საუკუნის 20-30-ანი წლების რუსეთში ან გერმანიაში რომ ეცხოვრათ, საბჭოთა ან ფაშისტური იდეების პროპაგანდისთვის ისევე აქტიურად იმოღვაწებდნენ, როგორც დღეს დგანან „ლიბერალ-დემოკრატიული“ იდეების სადარაჯოზე.**



## ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ, როგორც კინწურაშვილი აცხადებს, მის რაზმს მარტო საქართველოში კი არა, რუსეთში, ბელარუსში და უკრაინაში ფეისბუქზე გამოქვეყნებული

***ნანა კაკაბაძე***

## ფეისბუქმა „თავისუფლების ინსტიტუტი“ 4 ქვეყნის ცენზორად დანიშნა!

## მასალების ცენზორობის ლიცენზიაც მიუღიათ ფეისბუქის მესვეურებისგან.

საინტერესოა, რა დამსახურების გამო გამოუცხადეს „თავისუფლების ინსტიტუტის“ ცენზორ-პროპაგანდისტების ამ ჯგუფს, ასეთი დიდი ნდობა და ერთბაშად ოთხი ქვეყნის ფეისბუქ-მომხმარებელთა გაკონტროლება დაავალეს.

**„ახალი ცენზორები“ ძველი ცენზორების** შთამომავლები არიან. უბრალოდ, ეპოქამ ისინი სხვა ფერებში გადაღება!

# რემი ვაშაკიძე:

# არ იფიქროთ, რომ რუსეთის დაშლით საქართველო იხეირებს, პირიქით – მეორე დღიდანვე ლეკიანობა აღდგება!




***წინამდებარე ინტერვიუ, რომლის პათოსიც ძალიან სკანდალური და წინააღმდეგობრივია, დარწმუნებული ვართ, დიდი განსჯისა და მითქმა-მოთქმის საგანი გახდება! მაგრამ ამის მიუხედავად, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ლეგენდარულ უფროსს, უამრავი სიკეთის გამკეთებელ და ღვაწლმოსილ რემი ვაშაკიძეს, რომელიც თავის დროზე შევარდნაძემ სრულიად უმიზეზოდ ციხეში გამოკეტა, უარი მაინც არ ვუთხარით და ჩვენი გაზეთის მაღალი ტრიბუნა დავუთმეთ. ბატონი რემი დარწმუნებულია, რომ რუსეთი, რომელიც დღეს უკრაინას ბომბავს და ხელში ბირთვული ომის საიერიშე ღილაკს ათამაშებს, ჩვენი რელიგიისა და კაცობრიობის გადამრჩენლის ფუნქციას ასრულებს:***

— ხასიათის მიხედვით თუ განვსჯით, ქართველებს, თავიანთი ამბიციურობით უკრაინელები უფრო გვგვანან, ვიდრე რუსები, მაგრამ რუსებიც, უკრაინელებიც და ბელარუსებიც ერთი ხალხია. ესენი არიან ერთი ოჯახის სამი ძმა. ამიტომ ეს ომი ძმათაშორისი ომია და, მე თუ მკითხავთ, მასში არავინ არ უნდა ჩაერიოს. აქედან გამომდინარე, **ირაკლი ღარიბაშვილი** სწორად იქცევა, რომ არც ამ ომში ერევა და არც სანქციებს აწესებს, რადგან ჩვენ ამ სანქციებით რუსეთს ვერაფერს დავაკლებთ, ხოლო საქართველოს ვავნებთ და შიმშილისთვის გავწირავთ.

**— ბატონო რემი, თუ რუსები და უკრაინელები ძმები არიან, მაშინ რუსეთი ძმას ოჯახში რატომ შეუვარდა და ყველაფერი მიუნგრ-მოუნგრია?**

— რუსეთი კუთხეში მიიმწყვდიეს და სხვა გზა აღარ დაუტოვეს! მე ჩემი აზრი მაქვს და მათქმევინეთ: **დღეს რუსეთი ჩვენი რელიგიისა და კაცობრიობის გადამრჩენლის ფუნქციას ასრულებს... ეს არ არის რუსეთ-უკრაინის ომი, ეს რუსეთ-ამერიკის ომია და ამერიკამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პუტინი უკრაინაში შეჭრილიყო!** ათი წელიწადია, ამერიკა უკრაინაში სამხედრო ბაზებს აშენებს, უკრაინის ჯარს წვრთნის, ლამის შეუვარდნენ სახლში რუსეთს...

**— უკრაინა რუსეთის სახლია?**

— დიახ, უკრაინა სწორედ რუსეთის სახლია, რადგან რუსეთის ისტორია კიევიდან იწყება! **უკრაინელებმა და რუსებმა რაც გინდა, ერთმანეთი დაჭამონ, მაინც ერთად იქნებიან და ჩვენზე უფრო მეტად ეყვარებათ ერთმანეთი...** არ არის საჭირო ამ საქმეში ამერიკისა და ევროპის ჩარევა. სწორედ მაგათ გამოიწვიეს ეს სისხლისღვრა და უბედურება, მაგრამ თვალთმაქცობენ — ვითომ არ ერევიან ამ ომში, არადა, სწორედ უკრაინას მიაყარეს ფული და ტექნიკა! ამ ომში ამერიკელები არც იომებენ, რადგან მაგათი მოგებული ომი არავის უნახავს. **სტალინის ცნობილი სიტყვებია — „ამერიკელებმა ომი არ იციან, ისინი ბანდიტები არიან!“**

რატომ მოძვრებიან ამერიკელები და ევროპელები უკრაინაში? იმიტომ, რომ რუსეთთან დასაჯახებელი ადგილი სხვაგან ვერ გამონახეს! მე რკინიგზის სპეციალისტი ვარ, ჩემ თვალწინ ძალიან ბევრი რამ მოხდა და **კარგად ვიცი, ვის ინტერესებშიც შედიოდა აფხაზეთის რკინიგზის ჩაკეტვა და მთელი ამიერკავკასიის რუსეთისთვის მოწყვეტა. ეს შევარდნაძის ხელით ამერიკელებმა გააკეთეს, შევარდნაძე კი მაგათი აგენტი იყო!**




## „ამერიკამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პუტინი უკრაინაში შეჭრილიყო!“

საბჭოთა კავშირი რომ დაანგრიეს, შევარდნაძესთან შევედი და ვუთხარი — ბატონო ედუარდ, დარგი გვეღუპება და თუ გვინდა, რომ საქართველოს რკინიგზა გადავარჩინოთ, 33-ე ხაზად რუსეთის რკინიგზას დროებით მაინც მივუერთდეთ-მეთქი! შევარდნაძემ ამხედ-დამხედა და ჩუმად მითხრა — რემი, ეს რომ გავაკეთო, ხვალ ამ კაბინეტში აღარ ვიქნებიო! **რამდენჯერაც რკინიგზის ხაზი აფხაზეთის ომის დროს აღვადგინე, იმდენჯერ შევარდნაძემ ამიფეთქა, რათა ომი რაც შეიძლება მალე წაგვეგო და მასონების წინაშე აღებული ვალდებულება შეესრულებინა!**

**— რუსეთმა 1801 წლის 12 სექტემბერს რომ ქართლ-კახეთის სამეფო გაგვიუქმა, ხოლო 1811 წელს — საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ეგეც მასონების ბრალი იყო?**

— რუსეთს მასონები არასოდეს აკლდა, მაგრამ, რაც მეოცე საუკუნის 20-ან წლებში ჩვენ თავს ხდებოდა, როცა ეკლესიებს ანგრევდნენ და მღვდლებს ხვრეტდნენ, ამას სჩადიოდნენ ნაძირალა ლენინი და ტროცკი. **ვეკითხები საზოგადოებას — 50-მილიონიან უკრაინაში, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 0,2 პროცენტია ეთნიკურად ებრაე-**

## კვირგვინოსნები

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი*



**რომან გოცირიძე,** რომელიც არც სოხუმს იცავდა, არც ცხინვალს... ახლა კი უკრაინის დამცველად გვევლინება. სინამდვილეში, უბრალოდ ლაყბობს, არაფრის დამცველია, პირველი ეგ გაიქცევა და ბევრია მისი მსგავსი.

**მოსალოდნელია, რომ ომი პოლონეთში ან ბალტიისპირეთშიც გავრცელდეს და ახლა რომ ბევრი, ვითომ დამცველი გამოუჩნდა უკრაინას, ყველა გაიქცევა და ჩვენ შევრჩებით! ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი სამშობლო საქართველოა და არა უკრაინა და ჩვენ ომს უნდა ავცდეთ, რომელიც კარს მოგვადგა.**

„ალია“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი*



ომი არ გვინდაო! **ომი არც მე მინდა, მაგრამ პუტინს რაც არ უნდა მუხლებზე ეხოხიალო,** თუ ომის დაწყება უნდა, თბილისის აღება თუ აქვს გეგმაში, მაინც აიღებს, რაც უნდა ეფერო.

„ალია“

**მაია ნიკოლეიშვილი**
*სამედიცინო ექსპერტი*



უკრაინის ხელისუფლება **მავნებელი და დამნაშავე ნაცების** ტყუპისცალია.

„ალია“

**ლევან ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**„ქართულ ოცნებას“** არც ევროკავშირი უნდა და არც — დემოკრატიული მმართველობა. **„ქართული ოცნება“** არ აპირებდა, ევროკავშირის წევრობის განაცხადი გაეკეთებინა.

„ახალი თაობა“

**ვაჟა შუბითიძე**
*პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



თუ **„ქართული ოცნება“ ნაცებს არ ჩამოგვაშორებს,** ხალხი ორივეს თავის ადგილს მიუჩენს.

„საერთო გაზეთი“

# „საკმარისია, რუსეთი დაინგრეს, რომ კავკასიონზე მაშინვე ათა-თურქის დროშა აფრიალდება და ბათუმს ერდოღანი მიიერთებს!“

ლი, რატომ არის რადას დეპუტატთა სიითი შემადგენლობის 43 პროცენტზე მეტი და მთავრობის შემადგენლობის 62 პროცენტზე მეტი ებრაელი? ეს შემთხვევითია? რაშია საქმე? განა ზელენსკი არ არის ამერიკელების მონა? მაგის გამოგზავნილია სააკაშვილი, რათა ომი გაეჩაღებინათ და რუსეთისთვის აქედანაც შეეტიათ. ეს ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ რუსეთი დაშალონ და მთელი მისი სიმდიდრე ამერიკამ ჩაიგდოს ხელში. დამიჯერეთ, საცოდავი უკრაინელი ხალხის ბედი არავის აინტერესებს, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ რუსეთი დაანგრიონ!

**— თუ რუსეთი დაიშლება, საქართველოსთვის რა პერსპექტივა არსებობს?**

— რუსეთის მსგავსად, საქართველოს უდიდეს პრობლემებს ბიზანტიის იმპერიაც უქმნიდა, მაგრამ საქართველომ მისი დაცემითა და განადგურებით რამე მოიგო? პირიქით, ზურგი მოგვეშალა და მართლმადიდებელი ბიზანტიის ადგილას თურქები გაბატონდნენ, რომლებმაც ყოველივე ქართული წაგვიშალეს! აქაც ასე მოხდება... **თქვენ არ იფიქროთ, რომ რუსეთის დაშლით საქართველო იხეირებს, პირიქით — მეორე დღიდან ლეკიანობა აღდგება და ჩვენი ქვეყანა ზუსტად იმავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, რის გამოც ცხონებული ერეკლე მეფე და სოლომონ დიდი ეწამნენ.** გრიგოლ ორბელიანს არავისზე ნაკლებად არ უყვარდა საქართველო და მისი სიტყვებია — *„ღმერთმა ნუ ქნას, რუსეთი მივიდეს იმ სასოწარკვეთამდე, რომ იძულებული გახდეს, დატოვოს საქართველო, თორემ ჩვენი სამშობლო უმალ გახდება შინაური შუღლისა და გარეშე მტრების ლუკმა!“* ჩვენ ისეთ გარემოში ვართ და ისეთი ხალხი გვახვევია გარს, არ შეიძლება ჩვენი დამოუკიდებლობა... ამას დიდი ილიაც აღიარებდა.

**— ილია ამას ამბობდა — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“**

— კი, ამბობდა, მაგრამ ის სულგანათლებული ამასაც ამბობდა — საქართველოს დამოუკიდებლობა ბავშვური სიანცეაო! ილიამ 1799 წლის 26 ნოემბერს რუსის ჯარის თბილისში შემოსვლას **„ასის წლის წინათ“** მიუძღვნა და ქართველებს გვითხრა — იმ დღიდან ჩვენმა უბედურმა ქვეყანამ მოისვენა და დაწყნარდაო! დღეს რომ ჩვენ ასეთ დღეში ვართ და თურქი ბათუმს გვეცილება, მაგრამ ბოლომდე ვერ გვართმევს, ეს ვისი დამსახურებაა? **საკმარისია, რუსეთი დაინგრეს, რომ კავკასიონზე მაშინვე ათა-თურქის დროშა აფრიალდება და ბათუმს მეორე დღესვე ერდოღანი მიიერთებს!** ერთადერთი, რის გამოც დღეს თურქეთი ამას ვერ ბედავს, სწორედ რუსეთის ფაქტორია. თურქეთმა, რომელმაც აია-სოფია მეჩეთად გადააკეთა, კარგად იცის — სანამ რუსეთი კავკასიაში იქნება, მანამდე ბათუმს რაც გინდა უჩხიკინოს, მაინც ვერაფერს გახდება!

**ძალიან მიხარია, რომ რუსები ბათუმში მასობრივად ყიდულობენ სახლებს. რაც მეტი რუსი იცხოვრებს ბათუმში, მით უფრო დაცული იქნება თურქეთისგან ბათუმი და აჭარა!**

**— ისტორიამ დაამტკიცა, რომ რუსეთმა პატარა საქართველო ბევრჯერ მწარედ დაკორტნა და სისხლი გვადინა. ერთი სიტყვით, ქართულ-რუსული ტანდემი ვერ შედგა!**

— მე კიდევ სულ სხვა ისტორია ვიცი. ფელდმარშალი **ერვინ რომელი,** რომელსაც ცბიერებისა და ჭკუის გამო „უდაბნოს მელა“ შეარქვეს, საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების წინ ჰიტლერთან შევიდა და მოახსენა — **ჩემო ფიურერო, ისტორიულად რუსებს საუკეთესო ჯარი ჰყავთ, მაგრამ მხედართმთავრები არ უვარგათ! სამაგიეროდ, ქართველებს ჰყავდათ საუკეთესო მხედართმთავრები, მაგრამ მათი ჯარი დისციპლინაში ყოველთვის მოიკოჭლებდა. დღეს ეს ორი ძალა შეერთებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ომს წავაგებთ. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ დაიწყოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი!** ჰიტლერმა ერვინ რომელს არ დაუჯერა და ვიცით, როგორც დაამთავრა.

**— მერედა, სტალინს რუსებმა რამე დაუფასეს? მავზოლეუმიდან გამოაგდეს და საფლავი ნაგვით აუვსეს!**

— რუსი ერი აქ არაფერ შუაშია. რუსმა ხალხმა იცის საქართველოსა და ქართველების ფასი. სტალინი რუს ხალხს არ მოუძულებია, მასონებმა მოიძულეს! რომელი იყო რუსი — ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი თუ ელცინი? **რუსი ერი დღეს ყველაზე უფრო დაჩაგრული და საცოდავია, რადგან ამ უზარმაზარ და უმდიდრეს ქვეყანას არარუსები, ებრაელები და მასონები მართავენ!** ლენინმა და ტროცკიმ, რომლებიც ამერიკელებისა და გერმანელების აგენტები იყვნენ, თავის დროზე ბოროდინოს ველზე **პეტრე ბაგრატიონის** საფლავი ააფეთქეს. ქვეყანა რომ დაწყნარდა, დიდი მხედართმთავრის, გენერალ პეტრე ბაგრატიონის ნეშტის ბოროდინოს ველზე დაბრუნება გადაწყდა. უბრალო რუსები, იმ სოფლის გლეხები, სადაც ის საშინელი ბრძოლა გაიმართა, ცხენების ნაცვლად თვითონ შეებნენ სამხედრო კატაფალკში და პატივისცემისა და მადლიერების ნიშნად ასე ატარეს პეტრე ბაგრატიონის ნეშტი. **დღეს უკრაინელებს დასავლეთი ზუსტად ისე აქეზებს და აგულიანებს რუსეთის წინააღმდეგ, როგორც თავის დროზე ჰიტლერს აქეზებდნენ და აიარაღებდნენ. ანგლოსაქსებმა დააწყებინეს გერმანიას მეორე მსოფლიო ომი და ანგლოსაქსები დგანან უკრაინაში დატრიალებული უბედურების უკან!**

**— აფხაზეთის ომიც ანგლოსაქსებმა დაიწყეს?**

— აფხაზეთის ომი ანგლოსაქსების აგენტმა **ედუარდ შევარდნაძემ** დაიწყო! თბილისიდან 30 კილომეტრში რომ გაჩერდა რუსი, რა მოხდა, საწვავი დააკლდათ თუ ბუშისა და სარკოზის შეეშინდათ? პუტინმა სააკაშვილისგან საქართველო იყიდა! მან უამრავი ფული გადაუხადა სააკაშვილს, რათა სტრატეგიული ობიექტები შეეძინა. ამის შემდეგ რუსეთი საქართველოს დათმობს? დაადუღებს აქაურობას და არ წავა!

**— სააკაშვილი რუსეთის აგენტია თუ ამერიკის?**

— სააკაშვილი ორმაგი აგენტია! ამერიკა ბოლომდე ვერ დარწმუნდა, რომ სააკაშვილი მთლად მაგათი არ არის და სხვისიცაა. ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ: **თუ რუსეთი კავკასიიდან გავიდა, აქ ისეთი ამბავი იქნება, ძაღლი პატრონს ვერ იცნობს!** ზელენსკი რომ პუტინის თავდაპირველ წინადადებას დასთანხმებოდა, უკრაინაში ომი არ იქნებოდა და ქვეყანა დანგრევას გადაურჩებოდა. ახლა თავად ზელენსკი ითხოვს იმ პირობებს, რასაც პუტინი სთავაზობდა, მაგრამ ომი არ ჩერდება. უკრაინა გაყიდულია. ბაიდენის შვილს რომ აქვს ნაყიდი მთელი უკრაინის შავმიწანიადაგიანი ზოლი, ეს ამბავი მსოფლიომ არ იცის? აი, ამას ეწირება დღეს უკრაინა. ამიტომაც ვამბობ — რუსეთმა თავისი ისტორიული მისია უნდა შეასრულოს და საქმე ბოლომდე მიიყვანოს!

**— რაში მდგომარეობს რუსეთის „ისტორიული მისია“ — ქვეყნიერების გადაბუგვასა და მართლმადიდებელი საქართველოსა და უკრაინის გენოციდში? კიდევ რა დარჩა შესასრულებელი?**

— არ გინდათ ეს ცინიზმი. რუსეთის ისტორიული მისია კონსტანტინოპოლის აღდგენაში მდგომარეობს! სანამ კონსტანტინოპოლი არ აღდგება და აია-სოფიაში ქრისტიანული წირვა-ლოცვა არ შესრულდება, მანამდე დიდია იმის საფრთხე, რომ, როგორც ივანე მრისხანეს დროს დაჯდა კრემლში კასიმელი თათარი, ახლაც ისე მოხდეს! **პუტინმა საბჭოთა კავშირი უნდა აღადგინოს და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი გახდეს!**

**— საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის სავარძლის ნაცვლად, პუტინს ჰააგის ტრიბუნალის წინაშე რომ მოუწიოს წარდგენა, ამაზე რას იტყვით?**

— თქვენც ხომ კარგად იცით, რომ ეს არ და ვერ მოხდება?! კაცს ატომური ბომბის ღილაკი უპყრია ხელთ და ჰააგაში უპირებენ გასამართლებას? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! ამ ყაჩაღებმა, ბაბუ, მთელი მსოფლიო გაძარცვეს და ყველაფერს მოუყარეს თავი ამერიკაში. ატომური ბომბი რომ არ ჰქონდეს პუტინს, ყაჩაღები რუსეთსაც გამოწურავდნენ, თუ არ გამოწურეს უკვე.

**— დაბოლოს, ტრაგიკომიკური კითხვა — გვეშველება რამე?**

— სანამ ქართული ამბიციის საწინააღმდეგო ვაქცინა არ შეიქმნება, ქართველები ვერც გაერთიანდებიან და ვერც სახელმწიფოს შექმნიან!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „რუსეთის ისტორიული მისია კონსტანტინოპოლის აღდგენაში მდგომარეობს!“

## კვირგვინოსნები

**მაკა ბოჭორიშვილი**
*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



დღეს არჩევანი მარტივია, **ან** ქართული სახელმწიფოს და საქართველოს ევროპული მომავლის მხარეს ხარ, ან — საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ოპოზიციაში.

„იმედინიუსი“

**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*



ევროკავშირის გადაწყვეტილება პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს საქართველოს ხელისუფლება — **ერთპიროვნული მმართველობის ქვეყანას ევროკავშირში არავინ მიიღებს.**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*ანალიტიკოსი*



წარმოდგენაც კი მიჭირს, ახლა **უკრაინაში რომელიმე ბავშვს თავისი იმპერიალისტური თუ ერთმორწმუნე „არგუმენტაციით“ დაუნდობელი მხეცი სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, დედ-მამას თუ ბაბუა-ბებიას ართმევდეს.** აქ სრულდება ჩემი „ანალიტიკაც“ და „გეოპოლიტიკაც“.

„ალია“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას“ რედაქტორი*



როგორც „ოცნებაზე“ მაქვს განცდა, რომ **უნდა მოშორდნენ,** ისევე მაქვს საპარლამენტო ოპოზიციაზეც — **უნდა ჩაირეცხონ!**

„TV პირველი“

**სიმონ ჯანგულაშვილი**
*მუსიკოსი და ბლოგერი*



ვერაფრით დაიჯერეს **სააკაშვილმა** და მისმა თანამებრძოლებმა, რომ **ხალხს ისინი არ უყვარს, ხალხს ნაციონალური მოძრაობა არ უნდა. ელენე ხოშტარიამ და გიგა ბოკერიამ** რაც არ უნდა დაირქვან, ჩვენ ვიცით, რომ ისინი ნაცები არიან. ისინი ***(ნაციონალური მოძრაობა)*** აღმერთებენ და აფანატებენ ძალაუფლებას და **ძალაუფლების სიყვარული არამარტო რყვნის, არამედ აგიჟებს ადამიანს.**

„TV იმედი“

***პროფესორი სიმონ მასხარაშვილი ომის შემდგომი გერმანიის ბედსა და იმ გეგმებზე გვესაუბრება, რომელიც სტალინს მეორე მსოფლიო ომში იავარქმნილი და მიწასთან გასწორებული ქვეყნის მიმართ ჰქონდა:***



— პირველი მსოფლიო ომი ისე დასრულდა და ისე მოეწერა ხელი კაპიტულაციას, რომ ანტანტის სახელმწიფოებს გერმანიის ოკუპაცია არ მოუხდენიათ. უფრო მეტიც, საკუთრივ გერმანიის ტერიტორიაზე არცერთ უცხოელ ჯარისკაცს ფეხი არ შეუდგამს მაშინ, როცა კაიზერული გერმანიის ჯარებით მთელი ევროპა და, მათ შორის, რუსეთიც გადაჭედილი იყო.

1945 წლის აპრილში შეიქმნა სრულიად განსხვავებული სიტუაცია — წითელი არმია და მოკავშირეები არათუ შეიჭრნენ გერმანიის ტერიტორიაზე, არამედ სტალინის მარშლები საკუთრივ ბერლინს უტევდნენ. ერთი რამ დავიმახსოვროთ — **ბერლინი აიღო არა კოალიციამ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა არმიამ!** ეს საბოლოოდ მაშინ გადაწყდა, როცა 1945 წლის 25 აპრილს საბჭოთა და ამერიკელი ჯარისკაცები ერთმანეთს მდინარე ელბაზე შეხვდნენ. არადა, სტალინს ცოტა რომ დაეგვიანა, ბერლინს უეჭველად ამერიკელები აიღებდნენ და მეორე მსოფლიო ომის ბედიც ცოტა სხვანაირად დასრულდებოდა.

ჰიტლერი თავისი ანგლოფილური ბუნებიდან გამომდინარე მზად იყო, ჩაბარებოდა ინგლისელებსა და ამერიკელებს, ვიდრე სტალინს. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ინგლისელებიც და ამერიკელებიც, ფაქტობრივად, ისვენებდნენ, როცა საბჭოთა არმია მთელი სამი წლის განმავლობაში გაუთავებლად ებრძოდა უბოროტეს და უძლიერეს მტერს. აი, ასეთ სიტუაციაში სტალინმა, სამწუხაროდ, გაურკვეველი წარმოშობის **გიორგი ჟუკოვს** მისცა შანსი, რათა ბერლინი აეღო!

**— ჟუკოვი რუსი არ იყო?**

— გავრცელებული ინფორმაციით **გიორგი ჟუკოვი** გახლდათ ეთნიკური ბერძენი და თანაც — ნაშვილები. რაიხსტაგზე **მელიტონ ქანთარიას** მიერ დროშის აღმართვის გადაწყვეტილება პირადად სტალინმა მიიღო და ამით შექმნა ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის ეპოპეა. **სხვათაშორის, ბერლინი რუსებმა 1756-1763 წლების შვიდწლიანი ომის დროსაც აიღეს, მაგრამ როგორც კი გაიგეს, ფრიდრიხ დიდი ბერლინს უახლოვდებაო, სასწრაფოდ მიატოვეს ყველაფერი და კისრისტეხით გამოიქცნენ ბერლინიდან.** მაშინ ბერლინი ავადსახსენებელმა გენერალმა ტოტლებენმა აიღო, რომელიც ეთნიკური გერმანელი იყო, მაგრამ რუსეთის სამსახურში იდგა.

ტოტლებენისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირი ბერლინიდან არ გამოქცეულა და საფუძვლიანად შეუდგა ქვეყნის ოკუპაციას.

**სტალინმა კატეგორიულად აკრძალა 9 მაისის აღნიშვნა და ზეიმი. ბელადი ფიქრობდა, რომ მტრისთვის ყოველ წელს იმის შეხსენება – წაგაქციეთ და მოგერიეთ! – არაკაცური საქციელი იყო.**

მითუმეტეს წამგებიანი იქნებოდა ეს საქციელი იმ გეგმებთან მიმართებაში, რა გეგმებიც სტალინს გერმანიასთან დაკავშირებით ჰქონდა. აქვე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **სტალინს გერმანიის გაყოფა და დანაწილება არ სურდა!** ეს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია იყო უნიტარული ქვეყნის კონსტიტუცია, ხოლო ფედერაციული გერმანიის კონსტიტუცია, რომელიც, ფაქტობრივად, პრეზიდენტმა **დუაიტ ეიზენჰაუერმა** დაწერა, გერმანიის დასაშლელად და დასანგრევად შეიქმნა.

**— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა ყოფილ სოციალისტურ ბანაკში ერთ-ერთი ყველაზე უფრო კომუნისტურად განწყობილი იყო. რა გახდა ამის მიზეზი?**

— მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიამ დაკარგა პრუსია, სილეზია, ელზასი, ლოთარინგია და, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა შუაზე გაიყო, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებნი მართლაც ყველაზე უფრო პრორუსულად იყვნენ განწყობილი. ეს არ ყოფილა გამოწვეული რეპრესიების შიშით, რადგან სტალინისა და ბერიას მიდგომა დამარცხებული გერმანიის მიმართ არ იყო ორიენტირებული სისხლსა და ძალადობაზე. ასე, მაგალითად, 1953 წლის მარტში, სტალინი რომ გარდაიცვალა, ბერლინში გამოსვლები დაიწყო და ლავრენტი ბერია უმალ ადგილზე ჩაფრინდა... სხვათაშორის, ბერიამ მაშინ დაიღუპა თავი, როცა იმავე წლის ივნისში ორი კვირით გერმანიაში გაემგზავრა და სიტუაცია ისე დაარეგულირა, რომ არავინ დაუხვრეტია. სწორედ მაშინ დაიგეგმა მის წინააღმდეგ შეთქმულება, რომელიც წარმატებით განახორციელეს და 1953 წლის 26 ივნისს ბერია საკუთარ საცხოვრებელ სახლში დახვრიტეს.

**— მაინც რით დააწყნარა მაშინ ბერიამ აჯანყებული გერმანია?**

— გერმანელებს მან შესთავაზა ქვეყნის გაერთიანება და ნეიტრალური სტატუსი. **სწორედ ერთიანობის სურვილი და მისწრაფება უბიძგებდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრებ გერმანელებს, ჰქონოდათ პრომოსკოვური განწყობა.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა რომ გადარჩა და ცალკე სახელმწიფოებად არ დაიშალა, ეს გერმანელი ერის დიდი შვილებისა და „აღორძინების მამების“ — **კონრად ადენაუერისა და ლუდვიგ ერჰარდის** უდიდესი დამსახურებაა, თორემ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იმისთვის შექმნეს, რომ ევროპის პოლიტიკური რუკიდან საერთოდ გამქრალიყო. შესაბამისად, **ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი სამი საოკუპაციო ზონის გაერთიანებას, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნასა და აღორძინებას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დათანხმდნენ, რომ აღმოსავლეთ გერმანიის შიში ჰქონდათ, რომელიც სტალინისა და ბერიას ძალისხმევით მკაცრად უნიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.**

**— შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი არც ავსტრიის შექმნას აპირებდნენ...**

— ფაქტია, რომ **ნიკიტა ხრუშჩოვმა** ვენიდან ჯარი გამოიყვანა და წინადადება წამოაყენა, ავსტრიის დამოუკიდებელი სახელმწიფო შევქმნათო, თორემ 1955 წლამდე ავსტრია მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე საერთოდ არ არსებობდა. ასე რომ, **სტალინი ძალიან ბევრი გერმანელისთვის უფრო მისაღები გეგმის შემთავაზებელი აღმოჩნდა, ვიდრე დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.** აქედან გამომდინარე, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პრორუსულად განწყობილი მოსახლეობის წილი დიდი იყო.

**— არსებობს მითები იმის შესახებ, რომ თითქოს სტალინმა ბერლინი საბჭოთა ჯარს სამი დღის განმავლობაში საძარცვავად მიუგდო...**

— ეს სიცრუეა! **ჟუკოვი** სტალინმა სწორედ იმის გამო ჩამოაქვეითა და რიგითი სამხედრო ოლქის სარდლად გაამწესა, რომ მისი ჯარი გერმანიასა და განსაკუთრებით ოკუპირებულ ბერლინში მაროდიორობდა. **ყველაზე დიდი მაროდიორი კი თავად ჟუკოვი ბრძანდებოდა, რომელიც „გამარჯვების მარშალი“ კი არა, სინამდვილეში მაროდიორების მარშალი იყო!** ჟუკოვი გერმანიიდან ეშელონებით ეზიდებოდა ნაძარცვს. ამას სჩადიოდა თითქმის ყველა საბჭოთა გენერალი, ოფიცერი და ჯარისკაცი...

**— სტალინს დღემდე არ პატიობენ იმას, რომ ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცებისა და ოფიცრების ოჯახის წევრები გადაასახლა! ბოლოს და ბოლოს, ტყვედ ჩავარდა თუ დაიღუპა ბელადის უფროსი ვაჟი იაკობ ჯუღაშვილი?**

— არსებობს დაზუსტებული მონაცემები, რომლის თანახმადაც 1941 წლის ივლისსა და აგვისტოში, ანუ დიდი სამამულო ომის დაწყებიდან ორი თვის თავზე, ფაშისტურ გერმანიას უკვე დატყვევებული ჰყავდა 3,5 მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი, ხოლო ჰიტლერს ალაფის სახით ხელში ჩაგდებული ჰქონდა იმაზე მეტი საბჭოთა ტანკი, ვიდრე სტალინს გააჩნდა. აი, ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ლაჩრობისთვის დახვრიტეს დასავლეთის ფრონტის სარდალი, გენერალი **დიმიტრი პავლოვი,** მაგრამ მასობრივად ტყვედ ჩავარდნის პროცესი მაინც ვერ აღკვეთეს. სხვათაშორის, ცნობილი საბჭოთა მარშლები — **ივანე კონევი და როდიონ მალინოვსკი** დახვრეტის კანდიდატები იყვნენ, მაგრამ სტალინი მიხვდა, რომ სარდლების დახვრეტა საქმეს არ შველოდა, ამიტომ მას დარჩა ერთადერთი გზა — ციმბირსა და შუა აზიაში გადაესახლებინა იმათი ოჯახის წევრები, ვინც ტყვედ ჩავარდებოდა! სტალინი ასე მოექცა თავის რძალსა და შვილიშვილსაც — **იაშას ცოლ-შვილს,** რომელიც ასევე გადაასახლეს. სხვაგვარად ჰიტლერის საშინელი არმადის დამარცხება ყოვლად წარმოუდგენელი იყო.

რაც შეეხება **იაკობის** ტყვედ ჩავარდნას, ეს ერთადერთი შემთხვევა გახლდათ, როცა სტალინი მოტყუვდა და მას ამ ტყუილის დაჯერება სურდა. ვიდრე ცოცხალი იყო, სტალინი ყველგან და ყველა საშუალებით ეძებდა შვილს, რომელიც მას უძვირფასესმა მეუღლემ **ეკატერინე სვანიძემ** აჩუქა. **დღეს არავითარ ეჭვს არ იწვევს და დამტკიცებულია ის ფაქტი, რომ იაკობ ჯუღაშვილი, რომლის საბუთებიც ფაშისტებს ხელში ჩაუვარდათ, სინამდვილეში 1941 წლის 17 ივლისს ბელორუსიაში გაჩაღებული სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს დაიღუპა.**

ფაშისტებმა გამონახეს ერთ-ერთი ებრაული წარმოშობის მამაკაცი, რომელიც წვერმოშვებული ძალიან ჰგავდა იაკობს და ამის შემდეგ ააგორეს პიარი, თითქოს სტალინის ვაჟი ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში იხდიდა სასჯელს, სადაც 1943 წლის 14 აპრილს გაქცევის მცდელობის დროს გარდაიცვალა.

**— გამორიცხულია, რომ ჰიტლერს სტალინის ვაჟი ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში გაეშვა და გვერდით, ახლოს არ ჰყოლოდა...**

— სხვათაშორის, სტალინს ჰიტლერის უსაყვარლესი ძმისშვილი **ჰაინც ჰიტლერი** ჰყავდა დატყვევებული, რომელიც 1942 წლის 21 თებერვალს 21 წლის ასაკში ბუტირკის ციხეში გარდაიცვალა. ერთი რამ ნამდვილად საინტერესოა, — **ბელადი ისე მოკვდა, სჯეროდა, რომ ჰიტლერს თავი არ მოუკლავს და ცოცხალი იყო!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# *სიმონ მასხარაშვილი:*

# ბელადი ისე მოკვდა, სჯეროდა, რომ ჰიტლერს თავი არ მოუკლავს და ცოცხალი იყო!





**„სტალინს ჰიტლერის უსაყვარლესი ძმისშვილი ჰაინც ჰიტლერი დატყვევებული ჰყავდა!“**



ჰაინც ჰიტლერი



***საბჭოთა და ამერიკელი ჯარისკაცების შეხვედრა მდინარე ელბაზე 1945 წლის 25 აპრილს***

## „სტალინის წითელი არმია ამერიკელებს მდინარე ელბაზე რომ არ შეხვედროდა და ცოტა დაგვიანებოდა, ბერლინს უეჭველად ამერიკელები აიღებდნენ!“

# ტრისტან წითელაშვილი:

# ძალიან მალე ევროპის გეოპოლიტიკური რუკა შეიცვლება!

***რა ხდება უკრაინის ფრონტზე? რა მოხდა სინამდვილეში ბუჩაში და რატომ არის მარიუპოლი ასეთი მნიშვნელოვანი რუსებისა და უკრაინელებისათვის? რა საერთაშორისო სკანდალი დაატყდება ძალიან მალე მსოფლიოს?** — „მესამე მსოფლიო ომი უკვე მიმდინარეობს!“ — **ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი სამხედრო ექსპერტმა ტრისტან წითელაშვილმა:***

— საერთაშორისო ექსპერტებს უკვე აღარ ეპარებათ ეჭვი, რომ უკრაინის ტერიტორიაზე ომის მთავარი გამჩაღებლები ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი იყვნენ. არსებობს კონკრეტული ფაქტები, განსაკუთრებით მარიუპოლისთვის ბრძოლების ფონზე, რომ ეს ქვეყნები ყველა საშუალებით ცდილობენ, ომი მაქსიმალურად გაჭიანურდეს. უფრო მეტიც, დღეს უკვე თამამად შეიძლება დავასკვნათ — **ეს უკვე მესამე მსოფლიო ომია!**

**— ცნობილი ხდება, რომ 2022 წლის 13 მარტს მარიუპოლს უკრაინის გმირი ქალაქის ტიტული მიენიჭა..**

— **მარიუპოლი,** რომელსაც საბჭოთა წლებში **„ჟდანოვი“** ერქვა, უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში, აზოვის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, მდინარე კალმიუსის შესართავთან მდებარეობს. 2014 წელს დონბასში მიმდინარე ომის შემდეგ, როდესაც დონეცკის რესპუბლიკა გამოაცხადეს, ეს ქალაქი დონეცკის ოლქის დროებითი ადმინისტრაციული ცენტრი გახდა. რაც მთავარია, მარიუპოლს სტრატეგიული მდებარეობა გააჩნია და რუსებს ოდესისა და დნესტრისპირეთისაკენ გაჭრის შესაძლებლობას აძლევს. ამასთან, სწორედ მარიუპოლში დააბანდა კოლექტიურმა დასავლეთმა კოლოსალური თანხები, აქ ჩამოყალიბდა აზოვის ბრიგადა, რომლის აღჭურვა ხდებოდა ნატოს უმაღლესი სტანდარტებით. **კოლექტიურ დასავლეთს მიზნად ჰქონდა, რომ სწორედ მარიუპოლიდან, როგორც სამართავი პუნქტიდან, ეწარმოებინა ომის კონტროლი, როდესაც მათ მიერ წაქეზებული უკრაინის შეიარაღებული ძალები დონეცკსა და ლუგანსკს დაარტყამდნენ.**

**— რამდენადაც ცნობილია, მარიუპოლში არსებობს სტალინის განკარგულებით აშენებული ცნობილი ქარხანა „აზოვსტალი“ ლამის მარიუპოლისხელა მიწისქვეშა ქალაქით...**

— დიახ, სწორედ ამ მიწისქვეშეთში შეიქმნა სამართავი პუნქტი, რომლის საშუალებითაც კოლექტიურ დასავლეთს რუსეთის მიმართულებით სამხედრო შეტევა უნდა გაეკონტროლებინა! უკანასკნელი 8 წლის მანძილზე სწორედ ამ ბუნკერში ხდებოდა უცხოელი სამხედრო მრჩევლების, ექსპერტებისა და მეომრების მობილიზება და ანტირუსული საზოგადოებრივი აზრის კულტივირება. რუსებს ეგონათ, რომ მარიუპოლსაც, ყირიმის მსგავსად, უბრძოლველად აიღებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მათმა დაზვერვამ სათანადოდ ვერ იმუშავა. ადგილობრივი მოსახლეობაც სულ სხვა განწყობით დახვდათ. რუსებმა ვერც ის გათვალეს, რომ უკრაინელი სამხედროები ადგილობრივ მოსახლეობას, როგორც ცოცხალ ფარს, ისე გამოიყენებდნენ... აურაცხელი მსხვერპლის მიუხედავად, ამ ქალაქისთვის სისხლისმღვრელი ბრძოლები გრძელდება, თუმცა, მარიუპოლის 90 პროცენტი უკვე რუსების ხელშია. უფრო მეტიც, „აზოვსტალის“ ბუნკერებში ნატოს ჯარების რამდენიმე გენერალი იმყოფება, რასაც ტყვედ აყვანილი უკრაინელი სამხედროები ადასტურებენ. მათი გადმოცემით, იყო უშედეგო მცდელობა, ისინი ზღვით გაეპარებინათ. **გაჩნდა საფრთხე, რომ რუსებმა უცხოელ ტყვეებთან ერთად შესაძლოა, ხელში ჩაიგდონ მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, რაც იქნება უტყუარი მტკიცებულება, თუ ვინ იყო სინამდვილეში რუსეთ-უკრაინის ომის ინიციატორი და რა როლი მიუძღვით ამ ომში ამერიკას, ევროპასა და ნატოს!** რუსეთის პრეზიდენტმა უკვე გასცა განკარგულება, რომ არცერთი უცხოელი სამხედრო არ იყოს ლიკვიდირებული და ოდენ ტყვედ იქნეს აყვანილი! არის სხვა ინფორმაციაც, რომ „აზოვსტალის“ ბუნკერში ინახება უკრაინული მხარის მიერ ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნის ამსახველი დოკუმენტაციაც.

**— ბუჩაში რაღა მოხდა?**

— სამხედრო სტრატეგიაში არსებობს ცნება „მცდარი მანევრი“, როდესაც ცდილობ, დააბნიო მოწინააღმდეგე და მისი ძალები რამდენიმე მიმართულებით დაქსაქსო. ასე მოხდა პატარა ქალაქ ბუჩაში, როდესაც ის რუსებმა დაიკავეს. შემდეგ დაიწყო მოლაპარაკებები, რუსმა სამხედროებმა ქალაქიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღეს და მათი გასვლისთანავე ბუჩა უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს. ამის კვალდაკვალ გაბრწყინებულმა ქალაქის მერმა განაცხადა, რომ მათ „ბუჩა დაიბრუნეს“. უკრაინული ძალების ქალაქში შესვლა ვიდეოზეა გადაღებული და ქუჩებში დაღუპულები არ ჩანან!



**— მაგრამ ამის შემდეგ ვრცელდება კადრები, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცხედარია! ეს როგორ გავიგოთ?**

— დიახ, ახალ კადრებში მოჩანს ადამიანის ცხედარი, რომლის გვერდითაც ველოსიპედი გდია; მოჩანს საკუთარ ძაღლთან ერთად სეირნობისას დაღუპული ადამიანი... არადა, ეს რომ უკრაინელების კონტრშეტევითი ოპერაცია ყოფილიყო, ქუჩებში სამოქალაქო პირების კი არა, მეომრების ცხედრები გამოჩნდებოდა!

უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის აპარატის უფროსმა, **ვინმე არესტოვიჩმა** თავისი პირით აღიარა, რომ შეგნებულად არ მოახდინეს მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია, რათა სამხედრო ტექნიკას გადაადგილების მიზნით პრობლემები არ შექმნოდა.

## უკრაინის მოსახლეობა ხვდება, რომ დასავლეთის მარიონეტმა

## უკრაინის ხელისუფლებამ მშვიდობიანი ადამიანები ფარად გამოიყენა.

ამიტომაც დღითი დღე მწიფდება პრეზიდენტ ზელენსკის წინააღმდეგ მოსახლეობის მძაფრი პროტესტი, თუმცა, მასზე არაფერია დამოკიდებული. **უკრაინაში მიმდინარე ყველა მოვლენას ბაიდენი გეგმავს და ბრძანებებსაც ის იძლევა!** გარწმუნებთ, როგორც კი „აზოვსტალი“ დაეცემა და რუსეთი იქ ბუნკერში მყოფ ნატოს გენერლებს ტყვედ ჩაიგდებს, საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებაც მკვეთრად შეიცვლება და აღმოსავლეთ ევროპის გეოპოლიტიკური რუკაც!

**— გაიხსნება თუ არა ოდესმე ის სამხედრო დანაშაულები, რაც ახლა უკრაინაში ხდება?**

— ათასობით უკრაინელი სამხედრო ბარდება ტყვედ რუსებს და მსოფლიოც ხედავს, რომ მათ დამკვირვებელთა თანდასწრებით, საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმების ფარგლებში ეპყრობიან. პირდაპირ გეუბნებით — **სამხედროების ტყვედ აყვანის ასეთი პრაქტიკა და მათ მიმართ მსგავსი ჰუმანური მოპყრობა მსოფლიოში არ ყოფილა!** ტყვედ აყვანის შემდეგ უკრაინელ სამხედროებს გარანტირებული აქვთ ხელშეუხებლობა, სიცოცხლის დაცვა, სამედიცინო მომსახურება, სამაგიეროდ, მსოფლიო იმასაც ხედავს, როგორ არაადამიანურად ეპყრობიან რუს ტყვეებს, როგორ ავრცელებენ მათი წამებისა და დახვრეტის ვიდეოკადრებს!

სამწუხაროდ, უკრაინაში საომრად წასულმა ქართველებმა, რომლებიც, ძირითადად, სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი ჯალათები და ზონდერები არიან — თავი ცუდად ისახელეს. ამ ადამიანებს უკვე განაჩენი აქვთ გამოტანილი, ომი რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს, მათ ყველგან მიაკვლევენ და ბოლოს მოუღებენ... ურჩევნიათ, საერთაშორისო ტრიბუნალმა გაასამართლოს, ვინძლო, სიცოცხლე შეინარჩუნონ!

**— ამდენი ქართველი სამხედრო საიდან მოხვდა უკრაინაში?**

— საქმე იმაშია, რომ ნაცებმა პოლონეთში გახსნეს ოფისები, საიდანაც კონტაქტზე გავიდნენ ლუკმაპურის საშოვნელად ჩასულ ქართველებზე და შეჰპირდნენ, რომ არ მიაღებინებდნენ მონაწილეობას სამხედრო ოპერაციებში, თანაც, თვეში 5 ათას დოლარს გადაუხდიდნენ უკვე დაკავებულ ქალაქებში პატრულირებისათვის. დამატებით დაჰპირდნენ, რომ, როდესაც უკრაინაში ომი დასრულდებოდა, დანგრეული ქალაქების აღდგენაზე დაასაქმებდნენ მაღალი ანაზღაურებით. ახლა ირკვევა, რომ ეს ადამიანები საზარბაზნე ხორცად აქციეს — არც შეპირებული 5 ათასი გადაუხადეს, ვეღარც პოლონეთში დაბრუნდებიან სამუშაოდ, არც საქართველოში ჩამოესვლებათ... და ეს ხდება იმ ფონზე, როცა რუსეთი უკრაინაში გენერალურ შეტევას გეგმავს. სწორედ ამ მიზნით დაინიშნა გამოცდილი სარდალი, არმიის გენერალი **დვორნიკოვი.** ეს ფაქტი მრავალი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა — რუსეთი აღარ გაჩერდება, ვიდრე თავის პოზიციებს ბოლომდე არ გაიმყარებს.

## უკვე დაწყებულია ძალთა გადაჯგუფება და ახალი შეტევისთვის მზადება. ამ პროცესს ქართველები არ უნდა ენირებოდნენ!

დიდ იმედებს იძლევა საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** პოზიცია, რომელიც მთელი ძალისხმევით ცდილობს, საქართველო აარიდოს ომის ქარცეცხლს.

**— ამასობაში ნაცები საქართველოში ახალი რევოლუციის მოწყობაზე ალაპარაკდნენ.**

— საქართველოში ჩამოვიდა ამერიკის მოქალაქე, **ვინმე აკერმანი,** რომლის კისერზეც არის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, იუგოსლავიაში ხელისუფლების დამხობა. მან ბაკურიანში ნაცებსა და მათ სატელიტ არასამთავრობოებს რამდენიმე ტრენინგიც კი ჩაუტარა ხელისუფლების დამხობის თემაზე. უკვე გადაწყდა, რომ შეიქმნება „კმარას“ მსგავსი აგრესიულად განწყობილი ახალგაზრდული დაჯგუფებები, რომლებიც აქტიურ გამოსვლებს მოაწყობენ ხელისუფლების წინააღმდეგ. მოკლედ, მზადდება ახალი რევოლუცია, რომლის დაფინანსებაზეც უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები **დავით კეზერაშვილთან.** საქმეში ჩართული არიან საქართველოში ევროკავშირის ელჩი **კარლ ჰარცელი** და აშშ-ის ელჩი **კელი დეგნანი.** აპირებენ საპროტესტო და პროვოკაციული ხასიათის მასობრივი აქციების მოწყობას, რაშიც საზოგადოების ფენების ჩათრევა სურთ, ხოლო რევოლუციის ლიდერად კვლავ **სააკაშვილი** წარმოუდგენიათ.

საქართველოს ხელისუფლებამ დროულად უნდა აღკვეთოს ეს ანტისახელმწიფოებრივი განუკითხაობა, ხოლო სააკაშვილს იმის საშუალება აღარ უნდა მისცეს, რომ სასამართლო დარბაზიდან ან ციხის საკნიდან რევოლუციური განცხადებები აკეთოს! იმავდროულად, უნდა დაყადაღდეს კეზერაშვილის ანგარიშები და დაიდოს მტკიცებულებები, როგორ იპარავდა ბიუჯეტის ფულს... მხოლოდ ასე გადაეკეტებათ დაფინანსების წყარო ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებს, რომლებიც ქვეყანაში რევოლუციის მოწყობას და რუსეთთან სისხლისმღვრელ ომში საქართველოს ჩათრევას ლამობენ!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



„უკრაინაში მიმდინარე ყველა მოვლენას ბაიდენი გეგმავს და ბრძანებებსაც ის იძლევა!“

**„გაჩნდა საფრთხე, რომ რუსებმა უცხოელ ტყვეებთან ერთად შესაძლოა, ხელში ჩაიგდონ მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, რაც იქნება უტყუარი მტკიცებულება, თუ ვინ იყო სინამდვილეში რუსეთ-უკრაინის ომის ინიციატორი და რა როლი მიუძღვით ამ ომში ამერიკას, ევროპასა და ნატოს!“**



„მოხარშული კვერცხი ქოლესტერინის რაოდენობას არ ზრდის!“

# კვერცხის

## კახა საბახტარიშვილი:

### როგორც წესი, სააღდგომო წითელი კვერცხი ბევრად უფრო გემრიელია, ვიდრე ჩვეულებრივი, მოხარშული კვერცხი!

*სააღდგომო სუფრას, რომელიც ათასგვარი დელიკატესით, შემწვარ-მოხრაკულითა და ნუგბარით გახლავთ დატვირთული, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ისინი, რომლებმაც მძიმე მარხვა დაიცვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ჯანმრთელობას შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს. ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი* ***კახა საბახტარიშვილი*** *სწორედ ამ საშიშროებაზე გვაფრთხილებს და კვერცხის, როგორც უნიკალური პროდუქტის შესახებ გვიამბობს, რომელსაც არაერთი საიდუმლო და მითი უკავშირდება:*

— ახლოვდება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, როდესაც მთავრდება მძიმე მარხვა და ორგანიზმი კვების ჩვეულებრივ რეჟიმს უბრუნდება. ამისათვის აუცილებელია სერიოზული მომზადება, რადგან მყისიერად ცხოველურ პროდუქტებზე გადასვლამ და დიდი რაოდენობით ხორცეულისა და ალკოჰოლის მიღებამ შესაძლოა, ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად საშიშ კონდიციამდე მიიყვანოს, ზოგ შემთხვევაში კი სიკვდილიც დადგეს! ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დიდი რუსი მეცნიერი **მიხეილ ლომონოსოვი** იმპერატრიცა **ეკატერინე მეორესთან** საუბარში წუხდა — აღდგომის დადგომიდან პირველი ორი კვირის განმავლობაში, იმპერიის მასშტაბით ძალიან ბევრი ხალხი გვეხოცებაო!

**— ბატონო კახა, საინტერესოა, ლომონოსოვმა თუ იცოდა ამ მასობრივი სიკვდილიანობის მიზეზი?**

— თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ **ლომონოსოვი** უკიდურესად განათლებული მეცნიერი გახლდათ, არ გამოვრიცხავ, მედიცინის სფეროშიც ღრმად ყოფილიყო ჩახედული და ამ სიკვდილიანობის მიზეზიც დადგენილი ჰქონოდა. ფაქტია, მარხვის დროს ადამიანის ორგანიზმი განსაკუთრებულ ფიზიოლოგიურ რეჟიმზე გადადის, ხოლო ცილებისა და ცხიმების გადამუშავებას აუცილებლად ესაჭიროება გარკვეული რაოდენობით კუჭისა და პანკრეასის წვენის გამომუშავება. პარალელურად აქტიურდება ის ფერმენტები, რომელთა გარეშე ცილებისა და ცხიმების დაშლა წარმოუდგენელია. მარხვის დროს, როდესაც ორგანიზმი ცხოველური წარმოშობის ცილებსა და ცხიმებს არ ღებულობს, ცხადია, ზემოხსენებული ფერმენტების გამოყოფა წყდება და კუჭისა და პანკრეასის წვენის სეკრეციაც ჩერდება. **მძიმე მარხვის შემდეგ, როცა ადამიანი ერთბაშად დააცხრება ხორცეულს, მიიღებს ალკოჰოლს და ამ ყველაფერს დააყოლებს ტკბილეულს, ორგანიზმი განიცდის უძლიერეს სტრესს, რადგან კუჭისა და პანკრეასის წვენის სეკრეცია ჯერ კიდევ დაბალია, ხოლო საჭირო ფერმენტების რაოდენობა — მცირე.** ეს იმას ნიშნავს, რომ კუჭში მოხვედრილი ხორცეული, ფაქტობრივად, ვერ გადამუშავდება და შესაძლოა, განვითარდეს **მწვავე პანკრეატიტი,** რომლის ტკივილსაც თვით მორფინიც კი ვერ აყუჩებს. ასეთ სიტუაციაში თუ უმოკლეს დროში ექიმთა მთელი ბრიგადა არ იქნა მობილიზებული, შესაძლოა, ადამიანმა მტანჯველ ტკივილებს ვერ გაუძლოს და გარდაიცვალოს. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ქრონიკულად მოავადე პაციენტებში მძიმე მარხვის შემდეგ ერთბაშად გადაძღომამ შესაძლოა, მწვავე ქოლეცისტიტი, **მწვავე გასტრიტი და კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის უკიდურესი გამწვავება გამოიწვიოს.**

**— რა უნდა გავაკეთოთ, ეს რომ არ მოხდეს?**

— პირველ რიგში, მარხვიდან გამოსვლა ადვილად ასათვისებელი ცილოვანი პროდუქტების მიღებით დავიწყოთ. ეს პროდუქტებია: **მაწონი, კეფირი, ყველი, მოხარშული თევზი...** დასაწყისში არანაი-



„რაც უფრო დიდხანს მოვხარშავთ კვერცხს, ორგანიზმი მით უფრო ძნელად მოინელებს!“





მიხეილ ლომონოსოვი



ეკატერინე მეორე

„ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დიდი რუსი მეცნიერი მიხეილ ლომონოსოვი იმპერატრიცა ეკატერინე მეორესთან საუბარში წუხდა – აღდგომის დადგომიდან პირველი ორი კვირის განმავლობაში იმპერიის მასშტაბით ძალიან ბევრი ხალხი გვეხოცებაო!“

# როგორ უნდა ვიკვებოთ

## კვირგვინოსნები

**ბაია პატარაია**
*არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ ხელმძღვანელი*



**არაფრით არ მეგონა, მეგრულის სკოლაში სწავლებაზე ამდენი ფობია თუ აღმოცენდებოდა ერში.** საკუთარი ენისა და საკუთარი კულტურის კი არა, საკუთარი ჩრდილისაც გვეშინია, თურმე. არაფერი ჩვენ არ გამოგვივა, ეს ფანტომური შიშები თუ არ დავძლიეთ. განსხვავებულების გვეშინიაო, განსხვავებულის კი არა, **მეგრელების და სვანებისაც გვეშინია, თურმე, მთელ ერს.** ეს შიშები გადააშენებს ჩვენ კულტურულ მემკვიდრეობას და ჩვენ იდენტობას ბოლოს და ის იქნება. **რა გვჭირს ამისთანა? რა დაფეთებულები და ჩასვრილები ვართ, რა უბედურებაა ეს?!**

„აიპრესი“

**ჯანო იზორია**
*მახიობი*



**ქართველებს ბევრი სისხლი გვაქვს დაღვრილი, ბავშვები და ქალები აქაც იღუპებოდნენ,** უბრალოდ, მაშინ ინტერნეტი არ იყო და ტამიშის ბრძოლის დროს მეომარი ვიდეოს ვერ გადაიღებდა. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ასპარეზზე ყველამ კარგად იცოდა, აქ რაც ხდებოდა.

„კვირის პალიტრა“

**მიული ჩოხელი**
*კომპოზიტორი*



ბოლო ორი წელია, უმეტესად, შეკვეთილში ვარ. მარტო ვცხოვრობ — **აღარც შვილი მყავს, აღარც ქმარი, დედა, ნათესავებიც გარდაიცვალნენ...** მხოლოდ ერთი ბიძაშვილი მყავს, ჩემი ასაკის. მართალია, ასაკოვანი ვარ, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ. **მუსიკოსი ვარ, სხვანაირი მოხუცი ვარ, სხვანაირი კონსტრაქცია მაქვს. სიყვარულით ვარ სავსე.**

„კვირის პალიტრა“

**ნიკა შენგელია**
*ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში*



**საწვავის გაიაფება 15-20 თეთრით შესაძლებელია.** ხელისუფალი რომ ხარ, შესაბამისი რეგულაცია უნდა დააწესო. **რას ნიშნავს თხოვნა? თხოვნით რომელი ბიზნესმენი შეიმცირებს მოგებას?** არც არავინ.

„ახალი თაობა“

# საიდუმლო




რი სხვა ხორცეული არ მივიღოთ. ხორცზე გადავიდეთ თანდათანობით და მივიღოთ **კატლეტი, ქათმის ბულიონი ან მოხარშული წიწილა.** წითელ ხორცს, განსაკუთრებით მწვადს, მოვერიდოთ და მისი მიღება ხუთი-ექვსი დღის შემდეგ დავიწყოთ.

მძიმედ მარხულმა ადამიანმა მარხვის დასრულებიდან პირველი ორი კვირის განმავლობაში საკვები მცირე პორციებით და ხშირად — დღეში ხუთ-ექვსჯერ უნდა მიიღოს! ადაპტაციისთვის ძალიან კარგია ისეთი სუბპროდუქტები, როგორიცაა **საქონლის მოხარშული ენა და საქონლის ან ფრინველის მოხარშული ბულღვიძლი.**

## მძიმედ მარხული ადამიანი ალკოჰოლს უნდა მოერიდოს, მაგრამ, თუ მაინცდამაინც მოუნდა დალევა, უპირატესობა უნდა მიანიჭოს ღვინოს და ისიც ძალიან მოკრძალებულად.

**— ამბობენ, რომ სააღდგომო კვერცხი არ ფუჭდება!**

— სააღდგომო წითელი კვერცხი დიდხანს ინახება. თუ რა არის ამის მიზეზი, მეცნიერება ვერ ხსნის ისევე, როგორც მეცნიერულად ვერ იშიფრება ნათლისღებაზე ნაკურთხი წყლის საიდუმლო. საქართველოში სააღდგომო კვერცხს უხსოვარი დროიდან ენდროთი და ხახვის ფურცლებით ღებავდნენ. ცნობილია, რომ ენდროც და ხახვიც გამორჩეულად ანტიბაქტერიული და ანტივირუსული თვისებების მატარებელი პროდუქტებია, თუმცა, მაინც ვერ ვიტყვი, რომ დიდი ხნის განმავლობაში აღდგომის კვერცხის საკვებად ვარგისიანობის საიდუმლო მხოლოდ ხახვსა და ენდროში მდგომარეობს. ისიც ნიშანდობლივია, რომ, როგორც წესი, სააღდგომო წითელი კვერცხი ბევრად უფრო გემრიელია, ვიდრე ჩვეულებრივი მოხარშული კვერცხი!

**— ამბობენ, რომ ქათმის კვერცხი, რომლის გულიც ქოლესტერინის საბადოა, ორგანიზმისთვის მავნეა! ამის გამო ბევრი ადამიანი კვერცხის ჭამასაც კი ერიდება... რას იტყვით?**

— ეს მითია, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ერთ სულ მოსახლეზე ქათმის კვერცხის მოხმარებით ისრაელი მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ებრაელმა მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი და მოხალისეებს, რომლებიც ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ, ერთი წლის განმავლობაში ყოველდღე აჭმევდნენ ორ ცალ მოხარშულ კვერცხს. წლის ბოლოს ყველას შეუმოწმეს ქოლესტერინის დონე და ვერავითარი ცვლილება ვერ იპოვეს, ანუ მოხარშული კვერცხი ქოლესტერინის რაოდენობას არ ზრდის. ამ კვლევას ერთადერთი მეცნიერული ახსნა აქვს — **მართალია, კვერცხის გული დიდი რაოდენობით ქოლესტერინს შეიცავს, მაგრამ ამავდროულად კვერცხი წარმოადგენს ნივთიერება ლეციტინის ნამდვილ საბადოს, რომელიც ქოლესტერინის ხვედრით წილს ექვსჯერ აჭარბებს.**

## კვერცხში შემავალი ლეციტინი იმ ათეროსკლეროზულ ფოლაქებს ანადგურებს, რომლებსაც ქოლესტერინი წარმოშობს.

გარდა ამისა, ლეციტინი არის სრულყოფილი ცილა, რომელიც კუნთებისა და ნერვული უჯრედებისთვის საშენ მასალას წარმოადგენს. ლეციტინის დაშლის შედეგად წარმოშობილი ამინომჟავები საჭმლის მომნელებელი ფერმენტების წარმოქმნაში მონაწილეობენ.

**— მიიჩნევენ, რომ კვერცხი მავნეა ღვიძლისთვის...**

— ესეც მითია! ვიტამინების გარდა კვერცხი შეიცავს **ქოლინს და მეთიონინს** — ღვიძლისთვის მეტად საჭირო და აუცილებელ ამინომჟავებს! გარდა ამისა, **კვერცხის გულს აქვს უნიკალური თვისება — იწვევს ნაღვლის ბუშტის შეკუმშვას, რაც იმას ნიშნავს, რომ სტიმულირდება ნაღვლის გამოყოფა და, შესაბამისად, უმჯობესდება პერისტალტიკა.**

**— რომელია ორგანიზმისთვის უფრო სასარგებლო — მოხარშული თუ შემწვარი კვერცხი?**

— მოხარშული კვერცხი, რა თქმა უნდა, ბევრად სასარგებლოა, ვიდრე შემწვარი! **ერთი რამ ვიცოდეთ — რაც უფრო დიდხანს მოვხარშავთ კვერცხს, ორგანიზმი მით უფრო ცუდად მოინელებს! იდეალური იქნება, თუ კვერცხს არაუმეტეს 5-6 წუთის განმავლობაში მოვხარშავთ...**

**— იმასაც ამბობენ, თითქოს მოხარშული კვერცხი ასუქებს!**

— **მოხარშული კვერცხი დანაყრების შეგრძნებას ადვილად იწვევს, მაგრამ სინამდვილეში არ ასუქებს. იგი უამრავი სამკურნალო და გასახდომი დიეტის განუყოფელი ატრიბუტია.** რაც მთავარია, კვერცხი 13 პროცენტ აუცილებელ პროტეინებს შეიცავს, სულ 80 კილოკალორია ენერგია აქვს და მდიდარია E, B2, B6, B12 ვიტამინებით! მასში დიდი რაოდენობით არის მინერალები, მათ შორის, კალციუმი და რკინა. ამიტომაც, **თუ ბავშვს კვერცხის მიმართ ალერგია არა აქვს, მაშინ მოხარშული კვერცხი მისი კვების რაციონის აუცილებელი პროდუქტი უნდა იყოს!**

კვერცხი აფროდიზიაკია... საფრანგეთის დიდი და სახელოვანი მეფე ანრი მეოთხე ბურბონი, რომელიც ცნობილი მუსუსი იყო, კონიაკში კვერცხის გულს ურევდა და ისე სვამდა, რათა პოტენცია აემაღლებინა. კვერცხის ნედლი გული შემწვარ ხახვთან, თაფლთან და ბრინჯთან ერთად ინდურ „კამასუტრაშიც“ აღიარებულია, როგორც სექსუალურად აღმგზნები იდეალური საშუალება... ეს იმით აიხსნება, რომ კვერცხში შემავალი ნივთიერებები ტესტოსტერონის, ანუ მამაკაცის სასქესო ჰორმონების დონეს ზრდის.

## მოხარშული კვერცხი ასევე ძალიან სასარგებლოა ორსული და მეძუძური ქალბატონებისთვის. კვერცხი გამორჩეული პროდუქტია, რომელიც 3 ვიტამინს შეიცავს. ამ მხრივ სხვა პროდუქტებთან შედარებით მას ბადალი არ გააჩნია.

**— დღის განმავლობაში რამდენი ცალი მოხარშული კვერცხის ჭამაა რეკომენდებული?**

— გაბატონებულია შეხედულება, თითქოს კვირაში 2-3 ცალ კვერცხზე მეტი არ უნდა შევჭამოთ, რაც მითია და იმ ცრუ ქოლესტერინულ თეორიას ეფუძნება. **მიმაჩნია, რომ დღეში ხუთი-ექვსი ცალი მოხარშული კვერცხის ჭამა ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლოა!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***


ანრი მეოთხე ბურბონი




**„კვერცხი აფროდიზიაკია... საფრანგეთის დიდი და სახელოვანი მეფე ანრი მეოთხე ბურბონი, რომელიც ცნობილი მუსუსი იყო, კონიაკში კვერცხის გულს ურევდა და ისე სვამდა, რათა პოტენცია აემაღლებინა. კვერცხის ნედლი გული შემწვარ ხახვთან, თაფლთან და ბრინჯთან ერთად ინდურ „კამასუტრაშიც“ აღიარებულია, როგორც სექსუალურად აღმგზნები იდეალური საშუალება!“**

# მძიმე მარხვის შემდეგ?

## კვირგვინოსნები

**ივანე ჩხაიძე**
*იმუნიზაციის ტექნიკურ მრჩეველთა ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელი*



**პანდემიის დასრულებამდე შორს არის,** მითუმეტეს, **არ შეიძლება პანდემიის დასრულებაზე საუბარი,** ვიდრე დარწმუნებულები არ ვიქნებით იმაში, რომ კორონავირუსის ახალი მუტაციის გამოჩენის ალბათობა არ არსებობს.

„ინტერპრესნიუსი“

**ტედროს ადჰანომ გებრეიესუსი**
*ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი*



**პანდემია ჯერ კიდევ შორსაა დასრულებისგან.**

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან რატიანი**
*პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი*



მე მინდა გავხსნა **მაია დგებუაძის** სახელობის მუზეუმი, სადაც ყველა მისი ნივთი იქნება დაცული.

„ალია“

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



**მე და სააკაშვილმა ერთობლივად გადავწყვიტეთ, რომ უკრაინაში წამოვსულიყავით.**

„პირველი არხი“

**მაკა ჩიჩუა**
*მხატვარი, მსახიობი, მუსიკოსი*



**სკოლა ჩემთვის მიუღებელი ინსტიტუტი იყო,** რომელსაც დღემდე ისე ვიხსენებ, როგორც **არასასურველ დაწესებულებას.**

„თბილისელები“

**ნანუკა ბუღუა**
*მსახიობი*



**ჩემს ქმარს ვერ გავიმეტებ იმისთვის, რომ მშობიარობას დაესწროს.**

„სარკე“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

## სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

სააკაშვილი თავის მემუარებში დეტალურად აღწერს „ვარდების რევოლუციის“ პერიპეტიებს და 2003 წლის 22 ნოემბერს, როდესაც ასეულობით თანამზრახველთან ერთად პარლამენტში შეიჭრა:

***„დარბაზის შესასვლელთან გზა ოთხ ავტომატიანთან ერთად გადამიკეტა უზენაესი სასამართლოს პირველმა მოადგილემ ჯიმი ყიფიანმა — ძალიან კორუმპირებულმა ადამიანმა, მაფიის ნამდვილმა ნათლიმამამ.** ის მეუბნება: **„მიშა, შენი საქმე წასულია“.** მე კი ვპასუხობ: **„საიდან იცი?“** შემდეგ ჩემ გვერდით მდგომებს მოვუბრუნდი და ვუთხარი: **ესენი განაიარაღეთ, ეს კი ეზოში გაიყვანეთ და დახვრიტეთ.** მოადგილე გაფითრდა და ყვირილი მორთო: **„არაფრის ცუდის თქმა არ მინდოდა“.** ჩემმა ბლეფმა გაჭრა. ავტომატიანები გაიქცნენ და ჩვენ დარბაზში შევიჭერით“ (მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 70).*

მემუარისტს სურს, დაგვაჯეროს, რომ **ჯიმი ყიფიანი** მეავტომატეებთან ერთად გადაუდგა პარლამენტის სხდომათა დარბაზის შესასვლელთან, თითქოს ის იყო ერთადერთი „რემბო“, ვისაც შევარდნაძის რეჟიმი უნდა დაეცვა. სინამდვილეში სააკაშვილს არავითარი მეავტომატეები არ გადაღობებიან, უბრალოდ, პარლამენტის სხდომათა დარბაზის კარს არ უღებდნენ და იქითა მხრიდან აწვებოდნენ.

შემდეგ მემუარისტი ყვება:

***„შევარდნაძე ის-ის იყო პარლამენტის სხდომის გახსნას და არჩევნების ლეგიტიმაციის განცხადებას აპირებდა. ჩვენ რომ დაგვინახა, ენა ჩაუვარდა. დავიწყე ყვირილი, რომ ის უნდა გადამდგარიყო, მაგრამ ცუდად გამომდიოდა — ხმა თითქმის აღარ მქონდა“** (იქვე, გვ. 70).*

აქაც ცრუობს სააკაშვილი: მთელმა საქართველომ პირდაპირ სატელევიზიო ეთერში იხილა, რომ შევარდნაძეს არათუ ენა არ ჩავარდნია სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების დარბაზში შეჭრის გამო, არამედ ყურადღებაც არ მიუქცევია კივილისთვის — **გადადექი-გადადექიო!**

მემუარისტი კი აგრძელებს თავისი გმირული შტურმის აღწერას:

***„ზოგიერთი დეპუტატი შეიარაღებული იყო, ზემოთ კი ავტომატიანი დაცვა იყო განლაგებული. მაგრამ ჩვენ იმდენად აგრესიულები და აღფრთოვანებულები ვიყავით, წინ რომ წავიწიეთ, დაცვამ შევარდნაძეს ხელი სტაცა და გაიყვანა. ეს სტანდარტული რეაქციაა საშიშროების დროს, მაგრამ ტელევიზიით ეს, როგორც გაქცევა, ისე გამოჩნდა. ის უბრალოდ დაიბნა“** (იქვე, გვ. 71).*

ამ შემთხვევაში სააკაშვილი მართალს ამბობს — შევარდნაძე კი არ გაიქცა, ის უსაფრთხოების წესების თანახმად, დაცვამ გაარიდა იქაურობას.

სააკაშვილმა და მისმა მომხრეებმა პარლამენტი დაიკავეს, სხდომათა დარბაზში მაგიდებზეც იხტუნავეს და დეპუტატების ოთახებში მთელი ღამე ნარკოტიკებიც „იჩხირეს“ — ამის შესახებ არაერთმა დეპუტატმა განაცხადა, როცა მეორე დღეს სამუშაო კაბინეტებში მისულებს იქაურობა გამოყენებული შპრიცებით სავსე დახვდათ!

ისიც ფაქტია, რომ პარლამენტში შეჭრილი ჯავშანჟილეტიანი სააკაშვილის ბანდა შეიარაღებული იყო და იქ სისხლისღვრაც იყო დაგეგმილი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, არავინ გაისროლა, რასაც ავტომატურად, საპასუხო ცეცხლი მოჰყვებოდა და ხალხი დაიღუპებოდა! სწორედ ამაზე იყო გათვლილი სააკაშვილის ავანტიურა, როდესაც შეიარაღებული ხალხით შეიჭრა პარლამენტში, რათა შემდეგ მთელი მსოფლიოს გასაგონად ეყვირა — აი, თქვენი დემოკრატი შევარდნაძე სისხლიანი დიქტატორიაო!

რევოლუციონერებმა პარლამენტის დაკავების შემდეგ აღარ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ — ამას თავად სააკაშვილიც აღიარებს:

***„ჩვენ არ ვიცოდით, შემდეგ რა უნდა გვექნა. თავისი რეზიდენციიდან შევარდნაძემ განაცხადა, რომ ეს სახელმწიფო გადატრიალებაა. მან სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა და ბრძანება გასცა, ჯარს პარლამენტი გაეწმინდა. თავდაცვის მინისტრი თევზაძე გაუჩერებლად სვამდა თავის კაბინეტში და უკონტაქტო იყო. თბილისის ცენტრთან ახლოს განლაგებული სამხედრო ნაწილიდან რამდენიმე ჯავშანმანქანა გამოემართა. ისე მოხდა, რომ პირველი ჯავშანმანქანა შეეჯახა მანქანას, რომელშიც ახალდაქორწინებული წყვილი იჯდა. დანარჩენები გაჩერდნენ და წინ აღარ წამოვიდნენ...“** (იქვე, გვ. 71).*

მოკლედ, შევარდნაძის ბრძანება თავდაცვის სამინისტროსადმი — აღეკვეთათ სახელმწიფო გადატრიალება — ჰაერში გამოკიდებული ქაღალდი იყო! და ეს გასაგებიც არის: არც შევარდნაძეს სურდა, რომ სისხლი დაღვრილიყო და არც ჯარს სურდა ეს! აი, სწორედ ამან განაპირობა სააკაშვილის ბანდის წარმატება, თორემ პირადად მას ერთი სული ჰქონდა, სისხლი დაღვრილიყო და ეს მთელი მსოფლიოსათვის „ეხარებინა“!

მემუარისტი იხსენებს, როგორ დაარწმუნა **ნინო ბურჯანაძე,** შევარდნაძეობა ეკისრებინა:

***„ბურჯანაძე დავარწმუნე, თავი გამოეცხადებინა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად, რადგან პრეზიდენტი ქმედითუუნარო იყო. რაღაც მომენტში, ჟვანიამ მე და ბურჯანაძე გვერდით გაგვიყვანა და გვითხრა: „მეგობრებო, ჩვენ დავმარცხდით, ჩვენი საქმე წასულია! მე მას ვუყვირე და ვკითხე, რეებს მიედ-მოედებოდა?“ ის კი მპასუხობს: „ჩვენ ცოტანი ვართ, ახლა მოვლენ და ყველას დაგვაპატიმრებენ“** (იქვე, გვ. 72).*

რამდენად მართალია ეს, ძნელი სათქმელია: ჟვანია ამ მემუარების გამოსვლას, მოგეხსენებათ, ვერ მოესწრო, ნინო ბურჯანაძეს კი ამის შესახებ დღემდე არაფერი უთქვამს! თუმცა, იმას კი წყალი არ გაუვა, რომ სააკაშვილი თავის მემუარებში შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, ზურაბ ჟვანია არ გააშავოს და არ შეურაცხყოს! და ამასაც აქვს ახსნა: **ეს არის მკვლელის გამუდმებული შურისძიება თავის მსხვერპლზე — სააკაშვილი დღემდე კლავს თავის „პოლიტიკურ ნათლიმამასა“ და მეგობარს!**

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს „ვარდების რევოლუციის“, ალბათ, უმთავრეს მომენტს — მოსკოვიდან თბილისში **იგორ ივანოვის** ჩამოსვლას:

***„დილის 5 საათზე გამაღვიძეს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი ჩამოვიდაო. ის წინა დღით ჩამოსულა, მაგრამ აეროპორტიდან პირდაპირ თავის მეგობარ ბადრი პატარკაციშვილთან მისულა.** როგორც მერე მიყვებოდნენ, ივანოვს იქ მინიმუმ ერთი ბოთლი ვისკი დაულევია. ამის შემდეგ დაურეკავს შევარდნაძისთვის, რომელსაც უკვე ეძინა და გადაუწყვეტია პირდაპირ მომიტინგეებთან მისვლა მოედანზე, პარლამენტის წინ. **ის ტრიბუნაზე ასულა და სუფთა ქართულით წარმოუთქვამს სიტყვა, აშკარად არა მოსკოვის მიერ სანქცირებული: „გაუმარჯოს თავისუფლებას და გაუმარჯოს რევოლუციას!“** (იქვე, გვ. 72).*

მემუარისტი აქ აშკარად თაღლითობს! ჯერ ერთი, ივანოვს მიტინგზე არ უთქვამს, **გაუმარჯოს რევოლუციასო!** ეს იგივე იქნებოდა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, გამოცდილ დიპლომატს, პირდაპირ, მთელი მსოფლიოს გასაგონად დაეყვირა — **ძირს შევარდნაძის რეჟიმიო! ივანოვმა კი, რომლის დედაც ახმეტელი ქართველი იყო და თვითონაც 16 წლამდე საქართველოში იზრდებოდა, მომიტინგეებს მართლაც სუფთა ქართულით, უაქცენტოდ შესძახა — გაუმარჯოს საქართველოსო!**

მეორეც, სააკაშვილს სურს, დაგვარწმუნოს, რომ ივანოვის მომიტინგეებთან მისვლა მან მხოლოდ მეორე დილით გაიგო! თითქოს მან არც კი იცოდა და მას არც არავინ გააგებინა, რომ რუსთაველის გამზირზე, რევოლუციურ თავყრილობაზე, რასაც მთელი მსოფლიო პირდაპირ ეთერში აშუქებდა, თვით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მივიდა!

მაგრამ საქმეც ის არის, რომ სააკაშვილს პოსტ ფაქტუმ, მეორე დილის 5 საათზე არ გაუგია **იგორ ივანოვის** თბილისში ჩამოსვლა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ ღამით რუსთაველის გამზირზე მისულ იგორ ივანოვს თან სააკაშვილიც ახლდა და ჟვანია-ბურჯანაძეც!

აბა, რატომ ვირეშმაკობს სააკაშვილი, თითქოს მხოლოდ მეორე დილის 5 საათზე გაიგო თბილისში პუტინის პირადი ემისრის ჩამოსვლა?! **იმიტომ, რომ სააკაშვილს არ სურს, მისი პოლიტიკური კარიერის პიკი — ეს ლეგენდად ქცეული „ვარდების რევოლუცია“ რუსეთთან, კრემლთან და პირადად პუტინის პირად ემისართან ასოცირდებოდეს!** ჰოდა, ამიტომაც ახდენს ასე უშნოდ დისტანცირებას ივანოვის თბილისური ვოიაჟისაგან — აქაოდა, მე, საერთოდ, მეძინა, როდესაც იგორ ივანოვი თბილისში ჩამოვიდა და ეს მხოლოდ მეორე დილით გამაგებინესო!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

## 9 სააკაშვილს არ სურს, მისი პოლიტიკური კარიერის პიკი – „ვარდების რევოლუცია“ კრემლთან და პირადად პუტინის ემისართან ასოცირდებოდეს!



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი თბილისში, რუსთაველის გამზირზე, „ვარდების რევოლუციის“ ლიდერებთან ერთად. 2003 წლის 22 ნოემბერი

## *მიხეილ სააკაშვილი:*

## ჩემ გვერდით მდგომებს მოვუბრუნდი და ვუთხარი:

## „ესენი განაიარაღეთ, ეს კი ეზოში გაიყვანეთ და დახვრიტეთ“!

*ხელოვნების მოღვაწეთა 1937 წლის დაკითხვის ოქმებზე დაყრდნობით, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი **გუბაზ მეგრელიძე** ამჯერად გვთავაზობს რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორის, მსახიობ **თამარ წულუკიძის** ყოფილი მეუღლის, **სანდრო ახმეტელის** მოწინააღმდეგე კრიტიკოსისა და დრამატურგის **სერგო ამაღლობელის** დაკითხვის ოქმებს:*



## გუბაზ მეგრელიძე:

# სერგო ამაღლობელი სანდრო ახმეტელთან დაპირისპირებული იყო, მაგრამ ისინი ერთი და იგივე ბრალდებით დახვრიტეს!

— გასულ კვირას, 14 აპრილს, **სანდრო ახმეტელის** დაბადებიდან 136 წელი შესრულდა. რუსთაველის თეატრის კედლებში მან და მისმა მეუღლემ **თამარ წულუკიძემ** ბოლო დაბადების დღე 1935 წლის 14 აპრილს აღნიშნეს, მაშინ ახმეტელი 49 წლის გახდა. იმ საღამოს დასმა **„რღვევა“** ითამაშა და ბედის ირონიით, სპექტაკლის ეს სათაურიც **ახმეტელს** ბედისწერად ექცა, რადგან სწორედ იმ დროიდან დაიწყო მისი ცხოვრების **რღვევაც** — 1935 წლის 13 სექტემბერს, როცა ის თეატრიდან გაუშვეს. ახმეტელმა „რღვევა“ 1928 წელს დადგა, მაშინ, როცა უკვე თავის ბედს **თამარ წულუკიძეს** უკავშირებდა და ამ არჩევანით, ნებსით თუ უნებლიეთ, ე. წ. „ცხოვრების სამკუთხედში“ მოხვდა. მართალია, ახმეტელის მეუღლე **თამარ წულუკიძე** იმ პერიოდისათვის თავის პირველ ქმარს — კრიტიკოსსა და დრამატურგ სერგო ამაღლობელს უკვე გაშორებული იყო, მაგრამ ამაღლობელი მოსკოვის თეატრალურ წრეში ტრიალებდა და დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა. იგი მოსკოვში გადასვლამდე ჯერ რუსთაველის თეატრს ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი — „სახკინმრეწვს“.

**— რომელ წლებში იყო სერგო ამაღლობელი რუსთაველის თეატრის დირექტორი?**

— იგი რუსთაველის თეატრს 1925 წელს ხელმძღვანელობდა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დასს სათავეში **კოტე მარჯანიშვილი** ედგა და მსახიობებიც არ იყვნენ გაყოფილი. ამაღლობელს შემოქმედებით საკითხებზე **სანდრო ახმეტელთან** ყოველთვის მწვავე კამათი ჰქონდა, რაც მოსკოვში მისი გადასვლის მერეც გაგრძელდა. მოსკოვის ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიაში ამაღლობელი **„დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“** თეატრალური განყოფილების გამგედ მუშაობდა, პარტიასაც ემსახურებოდა, იყო სრულიად რუსეთის დრამატურგთა ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი და 1933-1936 წლებში მცირე თეატრსაც ხელმძღვანელობდა. **მიუხედავად იმისა, რომ სერგო ამაღლობელი ახმეტელთან დაპირისპირებული იყო და მის მოსაზრებებს არ იზიარებდა, შინსახკომმა მას ახმეტელის მსგავსი ბრალდებები წაუყენა და დააპატიმრა.**

**— ახმეტელს ამაღლობელი თანამოაზრედ ჰყავდა დასახელებული?**

— არა, **სერგო ამაღლობელის საქმე** სულ სხვა პირთა დასმენით დაიწყო. პირველი იყო **ისრაილ კლეინერი,** რომელმაც 1936 წლის 28 მარტს განცხადება შეიტანა, სადაც ჩაწერა — მეცნიერებათა აკადემიაში, რომლის ერთ-ერთი წევრი **სერგო ამაღლობელია,** ანტიპარტიული ჯგუფი ფუნქციონირებსო. შემდეგ ცნობილი გახდა, რომ კლეინერს პირადი უკმაყოფილება ჰქონდა ამაღლობელთან და შური იძია. ამაღლობელის საწინააღმდეგო მეორე განცხადება დაწერა ვინმე **პავლოვმა,** რომელმაც 1937 წლის 19 აპრილს საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კონტროლის კომისიას აცნობა — მცირე თეატრის ისტორიის დასაწერად ამაღლობელმა თეატრმცოდნე **ალპერსთან** ხელშეკრულება გააფორმა, ავანსი გასცა, მაგრამ წიგნი არ ჩანსო. ამავე პავლოვმა მოითხოვა **ამაღლობელის** გათავისუფლება ხელოვნების კომიტეტთან არსებული უმაღლესი კომისიის წევრობიდან — თეატრალურ საზოგადოებასა და მწერალთა კავშირს ის თავისი პირადი კეთილდღეობისათვის იყენებსო. ამ განცხადებებზე დაყრდნობით, სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს თანამშრომელმა, უფროსმა ლეიტენანტმა **ოსიპოვმა** დახასიათება შექმნა — **ამაღლობელი** ფედერალისტურ-კონტრრევოლუციური შეხედულებების გამავრცელებელიაო.

**— როდის დააპატიმრეს სერგო ამაღლობელი?**

— 1937 წლის 25 ივნისს, ოთხ დღეში კი, 1937 წლის 29 ივნისს, **სანდრო ახმეტელი დახვრიტეს.** იგივე განაჩენი ელოდა **სერგო ამაღლობელსაც,** რომლის დაპატიმრების ორდერიც გამოიწერა დაკავების მერე — 1937 წლის 26 ივნისს, ხოლო დადგენილება იზოლაციის შესახებ — 4 აგვისტოს. პირველი დაკითხვა 13 ნოემბერს მოუწყვეს, **წარმოუდგენელი ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ ჰყავდათ,** მისი საქმის გამოძიებაც და დაკითხვაც ყველა ნორმატიული აქტის დარღვევით ჩატარდა.

**— ფაქტობრივად, სერგო ამაღლობელს ახმეტელის წინააღმდეგ ჩვენება არ მიუცია?**

— არა, რადგან **ახმეტელის** ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და **ამაღლობელი** ვერაფერს შეცვლიდა. საქმე იმაშია, რომ ამაღლობელის დაპატიმრებით ნადირობა დაიწყეს მოსკოვის მცირე თეატრში მომუშავე ქართველებზე: **პეტრე ოცხელზე, ვახტანგ აბაშიძესა და გიორგი ჟორდანიაზე.**



სერგო ამალლობელი



თამარ წულუკიძე



სანდრო ახმეტელი

**— სერგო ამაღლობელი ანტისაბჭოთა მუშაობას ეწეოდა?**

— მან კატეგორიული უარი განაცხადა კონტრრევოლუციურ მუშაობაზე. გამომძიებელი ამაღლობელისაგან დაჟინებით მოითხოვდა აღიარებას კამერული თეატრის დირექტორთან **რიჩარდ პიკელთან** თანამშრომლობის შესახებ. პიკელი უკვე ხალხის მტრად ითვლებოდა, თუმცა, თავის დროზე პარტიულ თანამდებობებზე მუშაობდა და მცირე თეატრშიც დრამატურგთა სექციის საორგანიზაციო მდივნად პარტიული ხაზით იყო დანიშნული. ამაღლობელი არ ადასტურებდა მასთან ერთად პოლიტიკურ საქმიანობას. გამომძიებელი ამაზეც ჩაეძია, 1933 წელს, პარტიული წმენდის დროს, პიკელმა კარგად რატომ დაგახასიათაო. **როცა სამხილები არ ჰქონდათ და გამომძიებლებს გამოგონილი დანაშაულის მტკიცება სჭირდებოდათ, ისეთ აბსურდამდეც მიდიოდნენ, რომ პატიმარს ეკითხებოდნენ — რით გამოირჩევი, კარგი რატომ ხარო?!** აქვე გეტყვით, ამაღლობელის დაკითხვის დროს რიჩარდ პიკელი უკვე დახვრეტილი იყო, განაჩენი გამოტანილი ჰქონდა ე. წ. მოსკოვის პირველ პროცესზე, რომლის შემდეგაც სსრ კავშირში ტროცკისტების ანტისაბჭოთა მუშაობის მხილება დაიწყო. სხვათაშორის, **რიჩარდ პიკელი** 1896 წელს თბილისში იყო დაბადებული, მისი რეაბილიტაცია 1988 წლის 13 ივნისს მოხდა.

> **„იმ საღამოს დასმა „რღვევა“ ითამაშა და ბედის ირონიით, სპექტაკლის ეს სათაურიც ახმეტელს ბედისწერად ექცა, რადგან სწორედ იმ დროიდან დაიწყო მისი ცხოვრების რღვევაც!“**

**— რაში ადანაშაულებდნენ სერგო ამაღლობელს?**

— დაკითხვებზე მას იმათ სახელებსა და გვარებს უსახელებდნენ, ვისი დადანაშაულებაც უნდოდათ და საქმეს ისე წარმართავდნენ, თითქოს ამათ ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათ და კონტრრევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ. გამომძიებელი **ამაღლობელისაგან** ინფორმაციებს ითხოვდა „ვეჩერნაია მოსკვას“ თეატრის განყოფილების გამგე **ორუჯეინიკოვზე,** კრიტიკოს **ბორის ალპერსზე,** ასევე მსახიობ **ხათუნა ჭიჭინაძის** ქმარზე **გიორგი ყურულაშვილზე,** რომელიც სხვადასხვა დროს პარტიულ თანამდებობებზე მუშაობდა. ამაღლობელის დაკითხვის დროს **ყურულაშვილი** უკვე დახვრეტილი (1937 წლის 10 ივლისს) იყო, ის უარყოფდა **ყურულაშვილთან** ერთად პოლიტიკურ საქმიანობას, მარტო იმას ამბობდა — თბილისში ცხოვრების დროს **ყურულაშვილი** ჩემს ბინაში ცოლთან ერთად მოდიოდა და ხანდახან მათთან მეც ვსტუმრობდიო. ამაღლობელმა ისიც დაადასტურა, რომ ეს ცოლ-ქმარი მოსკოვში ხშირად ჩადიოდა თეატრში სპექტაკლებზე დასასწრებად და შემდეგ მათ ჩაითაც უმასპინძლდებოდა. ამაღლობელმა უარყო **ყურულაშვილთან** რაიმე სახის მიმოწერა, გარდა ერთისა — **1932 წელს ფოსტით გაუგზავნა ბარათი, სადაც ავადმყოფი ქალიშვილისათვის დახმარებას სთხოვდა თეთრი პურის მიღებაში, მაგრამ ყურულაშვილმა მას თხოვნა არ შეუსრულა.**

**— გამომძიებლის მიერ ამაღლობელის დაკითხვაზე დასახელებულ პირთაგან ვის შეუნარჩუნეს სიცოცხლე?**

— კრიტიკოს **ბორის ალპერსს,** რომელზეც ამაღლობელს ედავებოდნენ — ავანსი მისცა, მაგრამ წიგნი არ დაუწერიაო. 1937 წელს ალპერსი ტროცკიზმში კი დაადანაშაულეს და სსრ კავშირის მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, მაგრამ დახვრეტას გადაურჩა, გარდაიცვალა 80 წლის ასაკში 1974 წელს. **ამაღლობელისაგან** განმარტებას ითხოვდნენ კრიტიკოს **ლეოპოლდ ავერბახზეც,** რომელიც ხალხის მტრად იყო მიჩნეული. ამაღლობელი ამბობდა — ავერბახს ერთადერთ წერილში ვიმოწმებ, სადაც **ერიკ ბედიას** წინააღმდეგ ნაციონალური ხელოვნების არსის შესახებ არის ლაპარაკიო. შეგახსენებთ, ეს ის **ერიკ ბედიაა,** რომელიც **ლავრენტი ბერიამ** დახვრიტა და მისი ნაშრომი **„ამიერკავკასიის ბოლშევიკების ისტორია“** მიითვისა. **ლეოპოლდ ავერბახი** 1937 წლის 14 აგვისტოს დახვრიტეს. არსებობს სხვა ინფორმაციაც, რომ ავერბახმა თავი მოიკლა — დაკითხვაზე გაყვანის დროს ძალით დაგორდა და ცემენტის იატაკზე თავი გაიტეხა.

**სერგო ამაღლობელის** შემდგომი დაკითხვები შეეხება უშუალოდ ქართველთა მუშაობას მოსკოვის მცირე თეატრში და შინსახკომის მიერ მათ დადანაშაულებას კონტრრევოლუციურ მუშაობაში. ქართველებს დანაშაული არ უღიარებიათ.



ბორის ალპერსი



რიჩარდ პიკელი



ლეოპოლდ ავერბახი



ისრაილ კლეინერი

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

**– ინდივიდი, საზოგადოება და პოლიტიკა – როგორ დავაკავშიროთ ეს ცნებები? როგორ მოვეკიდოთ პოლიტიკოსს, რომელიც არ მოგვწონს, ანდა ასეთ პოლიტიკოსთა ჯგუფს (პარტიას)?**




# სერგეი ლაზარევი

# კარმის

— ერთხელ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საგულისხმო შედარებას მოვკარი ყური. **არსებობს ცხვრის ფარა და არსებობს მგლების ხროვა. პოლიტიკოსი კი ის არის, ვინც კეთილდღეობას უნდა დაჰპირდეს როგორც ერთს, ისე მეორეს, ორივე დაარწმუნოს, რომ ყველაფერს იღონებს მათი ინტერესების დასაცავად. პოლიტიკოსისათვის ყველაზე სწორი საქციელია, ერთიც მოატყუოს და მეორეც.** გარეგნულად ის ცხვრებს უნდა იცავდეს, თუმცა, იმავე დროს მგლებს მათი ნება-ნება ჩახრამუნების საშუალება მისცეს. ამასთან ერთად, მგლებსაც უნდა დაჰპირდეს უზრუნველ ცხოვრებას, მაგრამ ჩუმ-ჩუმად მათაც მოუსწრაფოს სიცოცხლე, რათა ამ მტაცებელთა რაოდენობამ კრიტიკულ ნიშნულს არ გადააჭარბოს.

დღეს არ არსებობს ფილოსოფია, რომელიც პლანეტის ყველა მკვიდრს გააერთიანებდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ნებისმიერი ქვეყნის ზნეობრივი, სტრატეგიული მიზანდასახულობა მის ინტერესებზეა დამოკიდებული,** ანუ მეორე ქვეყნის მიმართ შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც მოესურვება. რა თქმა უნდა, არსებობს საერთაშორისო კონვენციები და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს აშკარა განუკითხაობას.

ნებისმიერი პოლიტიკოსი ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ინტერესებს გამოხატავს. ეს ინტერესები მსოფლმხედველობით, ხასიათით, ემოციებით არის განპირობებული. ადამიანთა ჯგუფის არასრულყოფილი მსოფლმხედველობა ისეთ პოლიტიკოსებს წარმოშობს, როგორებიც იყვნენ **ჰიტლერი, მუსოლინი, ლენინი** და **სტალინი. მათი ზნეობრივი კრიტერიუმებით შეფასება, არამზადებად ან წმინდანებად შერაცხვა ამაოა.**

რელიგიურ სახელმწიფოს, რომელშიც რელიგია სახელმწიფო ორგანიზაციად არ გადაქცეულა, შეუძლია, თავის ცხოვრებაში პოლიტიკისა და ზნეობრიობის შეთავსება სცადოს. მაგრამ სხვა რელიგიის მქონე სახელმწიფოსთან დაპირისპირების შემთხვევაში ეს ზნეობრიობა ქრება. საერო სახელმწიფო ზოგადსაკაცობრიო ნორმების დაცვას ცდილობს, მაგრამ ისინი მხოლოდ მანამდე მოქმედებენ, სანამ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს არ შეუშლიან ხელს.

პრინციპში, **სახელმწიფო ისევე ფუნქციონირებს, როგორც ნებისმიერი ორგანიზმი.** თუ ადამიანისთვის მატერიალური კეთილდღეობა პირველ ადგილზეა, ხოლო სული, სიყვარული, ზნეობრიობა — მეორეზე, ასეთი ადამიანი პოტენციური დამნაშავეა. თავისი მატერიალური ინტერესების მისაღწევად ის მზად იქნება უღალატოს, მოკლას, იქურდოს, მოატყუოს. ყველა თანამედროვე სახელმწიფო უპირველესად ეკონომიკურ მიზნებს ისახავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მსგავსი სქემით მოქმედებისთვის არიან განწირული.

არ გამიგია, რომ რომელიმე სახელმწიფოს კონსტიტუციაში სიტყვები — **„სიყვარული“, „სული“** — ფიგურირებდეს, მატერიალურ კეთილდღეობასთან შედარებით მათი პრიორიტეტულობა იყოს ნახსენები. ამიტომ ნებისმიერი პოლიტიკოსი, ნებსით თუ უნებლიეთ, მოქმედებს სქემით **„მიზანი ამართლებს საშუალებას“.** და **რაც უფრო მიწიერია მიზანი, მით უფრო სასტიკი და უზნეო იქნება მისი მიღწევის საშუალებები.**

**იმას, რაც ქვეყანაში ხდება, განსაზღვრავენ არა პოლიტიკოსები, არამედ ქვეყნის ენერგეტიკა, მისი ხალხი.** როგორი მშვენიერი იდეებიც არ უნდა წამოაყენოს პოლიტიკოსმა, რეალობა სახელმწიფოს ენერგეტიკის შესაბამისი იქნება. ყველას სჯეროდა, რომ დემოკრატიას ქვეყანა უნდა გადაერჩინა. მაგრამ მანეკენი, რა ოსტატურადაც არ უნდა მიჰბაძოს ცოცხალ ადამიანს, ასეთად ვერ იქცევა. დემოკრატიის არსი ის როდია, რომ ხალხი მართავს სახელმწიფოს — ეს, უბრალოდ, შეუძლებელია. ხელისუფლება სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს. **უნდა არსებობდეს უკუკავშირის მექანიზმი — საინფორმაციო, პოლიტიკური, ეკონომიკური — რომელიც ხელისუფლებაზე კონტროლს უზრუნველყოფს.** დემოკრატია საზოგადოების ყველა წევრის შინაგან ერთიანობას გულისხმობს. ეს მაღალი ზნეობრივი დონის გარეშე შეუძლებელია. **თუკი სახელმწიფოში ქურდობა საპატიო და დაუსჯელი საქმიანობაა, იქ დემოკრატიაზე ლაპარაკი უაზრობაა.** ასეთ საზოგადოებაში სწორი მსოფლმხედველობა, ზნეობრიობა, ერთიანობა მხოლოდ კრიტიკულ სიტუაციაში ჩნდება, როდესაც სახელმწიფო დაღუპვის პირას იმყოფება. მხოლოდ მაშინ გადაინაცვლებს მატერიალური მეორე პლანზე და სიყვარულით წარმოშობილი ერთიანობის შეგრძნება გაჩნდება. მაშინ გარკვეული ხნის განმავლობაში სახელმწიფოში სწორი მსოფლმხედველობა ყალიბდება. ასეთ შემთხვევაში **ქურდბაცაცებად ქცეული ჩინოვნიკებისა და პოლიტიკოსების ადგილი შეიძლება სწორი აზროვნების მქონე ხელმძღვანელებმა დაიკავონ.** ვფიქრობ, ეს მთელ თანამედროვე მსოფლიოს ეხება.

ამასწინათ ნაცნობმა ერთი გასაოცარი შემთხვევა მიამბო. მისმა მეგობარმა უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატს მისცა ხმა. მოგვიანებით კი შეიტყო, რა მეთოდებს იყენებდა ეს ადამიანი.

— ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, — ყვებოდა ამომრჩეველი, — ხმა ერთ ადამიანს მივეცი, მაგრამ გაირკვა, რომ სინამდვილეში ის სულ სხვანაირია. არ დავმალავ, რამდენიმე დღის განმავლობაში ვგმობდი. მოულოდნელად კბილები ამტკივდა, ტკივილი თანდათან გაძლიერდა, მერე კი საერთოდ მომერყა. ექიმთან რომ მივსულიყავი, კბილების ნახევარს დამაძრობდა. ისე მტკიოდა, ჭამა კი არა, ლაპარაკიც აღარ შემეძლო. მაშინ ლოცვა დავიწყე, ორივე პრეტენდენტს მივუტევე და სიტუაციის ჩემეული ხედვის გადასინჯვა ვცადე. **თუ ნებისმიერ სიტუაციას ღმერთთან მივყავართ, ესე იგი, ყველაზე უგვან საქციელშიც უფლის ნება, უზენაესი ლოგიკა და ფარული კანონზომიერება დევს.** როდესაც ღმერთისადმი სიყვარული ქრება, გადაგვარება იწყება. წარმოიდგინეთ, რომ სულიდან სიყვარული წავიდა, ადამიანმა კი რკინის ჯანმრთელობა და საუცხოო განწყობა შეინარჩუნა — ის ხომ უკვე ფრანკენშტეინია. მოკლედ, ყველაფერი მივიღე და მივუტევე. რამდენიმე დღეში ტკივილი დაცხრა, ერთი კვირის შემდეგ უკვე ორცხობილას ვახრამუნებდი და აღარაფერს ვუჩიოდი.




**არსებობს ცხვრის ფარა და არსებობს მგლების ხროვა. პოლიტიკოსი კი ის არის, ვინც კეთილდღეობას უნდა დაჰპირდეს როგორც ერთს, ისე მეორეს, ორივე დაარწმუნოს, რომ ყველაფერს იღონებს მათი ინტერესების დასაცავად. პოლიტიკოსისათვის ყველაზე სწორი საქციელია, ერთიც მოატყუოს და მეორეც!**

ასე რომ, **პოლიტიკა ჩვენი შინაგანი მსოფლმხედველობის სარკეა.** რატომ გამოიყურება რუსი პოლიტიკოსების ყველა პროექტი ასე ულაზათოდ? საქმე მათ მენტალიტეტშია. ორპოლუსიანი აზროვნება უკუკავშირის მქონე აზროვნებაა. დავუშვათ, რაიმე კარგი მსურს. ეს ერთი პოლუსია, მაგრამ ჩემი სურვილის განხორციელებისას შესაძლო უსიამოვნებები და უარყოფითი შედეგებიც უნდა გავითვალისწინო — ეს მეორე პოლუსია, ანუ ტკივილს, უსიამოვნებას ჩვენი ოცნება სამყაროსთან შესაბამისობაში მოჰყავს. დადებითი ემოცია უარყოფით ემოციებსაც უნდა გულისხმობდეს, რომლებიც შეიძლება ამ დროს წარმოიშვას.

დასავლეთში არის დემოკრატია, რომელიც უკუკავშირის არსებობას გულისხმობს. იქ მოხელეს, რომელსაც თავისი ქმედებით ზიანი მოაქვს, ქვემოდან შეაჩერებენ — პრესა, საზოგადოებრივი აზრი. აღმოსავლეთში დემოკრატია არ არსებობს, მაგრამ უკუკავშირი მაინც არის. იქ უსულგულო მოხელეს, რომლის პირადი ინტერესები სახელმწიფოს ზიანს მიაყენებს, ზემოდან სასტიკად დასჯიან. დასავლეთში მოხელეს ეფექტიანად მუშაობას მთელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სისტემა აიძულებს, რომელიც პიროვნების უფლებებს, ქვემოდან კონტროლს, ინფორმაციულ გახსნილობას ახორციელებს. აღმოსავლეთში დაუდევარ მოხელეს ყოველთვის უმაღლესი ხელისუფლება სჯის — სწრაფად და ეფექტიანად, ხოლო რუსეთში, თუ ხალხი ჩინოსნის გაკონტროლებას და მასზე რაიმე გავლენის მოხდენას ცდილობს, ის ნამდვილი აღმოსავლელი დესპოტივით იქცევა. მაგრამ როდესაც განუკითხაობა იწყება და საქმეს ციხის სუნი ასდის, მყისვე თავგამოდებულ დემოკრატად გადაიქცევა და თავისი უფლებების დაცვასა და გულმოწყალე დამოკიდებულებას მოითხოვს. რუსეთში ჯერჯერობით არც დასავლური, არც აღმოსავლური შესრულებით უკუკავშირი არ არსებობს. მოხელე რუსეთში ხელშეუხებელია. რა სისულელე ან დანაშაულიც უნდა ჩაიდინოს, სასჯელი მინიმალური იქნება. საჭიროა თუ არა უარყოფით შედეგებზე დაფიქრება, თუ ისინი არასოდეს დადგება? რა თქმა უნდა, არა. დღეს რუსეთში საყოველთაოდ მიღებული აზროვნება განსაზღვრავს ქვეყნის მართვაში პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების უცოდინარობას. დეპუტატები გადაწყვეტილებებს ისე იღებენ, რომ მათ შედეგებზე არც კი ფიქრობენ. სამყაროს სურათი მახინჯდება. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენი ცნობიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის ეტაპებია.

ოციოდე წლის წინ ხელში შემთხვევით ერთი გაზეთი ჩამივარდა. მასში თითქოსდა უცხოპლანეტელებისაგან მიღებული ტექსტი იყო დაბეჭდილი. ასეთ რამეებს ყოველთვის კრიტიკულად ვეკიდებოდი, მაგრამ ერთმა ფრაზამ გამაოცა: **„დედამიწელთა ცნობიერება, თუ ის არასწორად განვითარდება, შეიძლება სამყაროსთვის საშიში გახდეს. და თუ კაცობრიობა სახიფათო ზღვარს გადააბიჯებს, ჩვენ იძულებული გავხდებით, გაგანადგუროთ“.**

ვის გაუგია, ცნობიერება სამყაროსთვის საშიში იყოს? ნუთუ ეს შესაძლებელია? ცნობიერება ხომ არამატერიალურია, ვფიქრობდი მე. მხოლოდ მრა-

## კვირგვინოსნები

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც ყველაზე დიდ პატივს ვცემ „ოცნებაში“, მინდა, ვურჩიო, **რაც მეტად გამოვა ხალხში,** არავითარი საფრთხე მის მთავრობას ნაციონალებისგან არ დაემუქრება.

„რეზონანსი“

**პაატა ბურჭულაძე**
*მსოფლიო ბანი*



**წინააღმდეგი ვარ ჩვენი მთავრობის დელეგაციის უკრაინაში ჩამოსვლის,** „ქართულ ოცნებას“ **ძალიან ცუდი ფეხი აქვს.**

„პირველი არხი“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



მიხეილ სააკაშვილი არის დესტაბილიზაციის მუდმივი წყარო და უკრაინაში დესტაბილიზაციისთვის **ის იყო პუტინის ძალიან ფასიანი კადრი.**

„TV იმედი“

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**რისი რევოლუციის თავი აქვს ოპოზიციას? ოპოზიცია განულებულია.**

„რეზონანსი“

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი*



სასწრაფოდ შეჩერდეს **რუსეთის მოქალაქეებისთვის ბინადრობის უფლების გადაცემა** და უძრავი ქონების მიყიდვა.

„რეზონანსი“

**ელისო ბოლქვაძე**
*კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე*



არ მესმის **ეს ისტერიკული შეძახილები,** რომ მომხსნიან „იუნესკოს“ ელჩობიდან, **ეს ზეწოლაა ჩემზე** — ვინ მისცა მაგათ უფლება, მე ვარ უკვე ელჩი და ვერ ჩამომართმევენ.

„ინტერპრესნიუსი“

ვალი წლის შემდეგ დავრწმუნდი ამ უცნაური ფრაზის სისწორეში. და ახლა, როდესაც უბედური დედა მომმართავს, რომელსაც შვილი მოუკვდა, შემიძლია ავუხსნა, რატომ ვერ უშველეს მას ექიმებმა. ბავშვის ქვეცნობიერება, ზესიღრმისეული ემოციები გარემომცველი სამყაროსთვის საშიში იყო. ეს გახლდათ მარცვლები, რომლებსაც შეიძლებოდა ძალზე სახიფათო ნაყოფი მოესხა. **ნებისმიერი დანაშაული არასწორი აზროვნებიდან და მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს.** სხეულის ტკივილი და სიკვდილი სულს იხსნის. უბრალოდ, ვერც წარმოგვიდგენია, რა კატასტროფული შეიძლება იყოს დამახინჯებული მსოფლმხედველობის შედეგები.

ადრე დაავადებები ადამიანთა უზარმაზარ ჯგუფებს სპობდა. პლანეტაზე გამუდმებით ჩაღდებოდა ომები, რომლებიც მთელ სახელმწიფოებს ანადგურებდა. ბოლო მსოფლიო ომი მთელი კაცობრიობის შესაძლო დაღუპვის შესახებ გაფრთხილება იყო. დღეს ბევრი დაავადება დამარცხებულია. ადამიანები ორჯერ უფრო დიდხანს ცოცხლობენ. დიდი ომები აღარ მიმდინარეობს. თითქოს ყველაფერი კარგად არის. მაგრამ სინამდვილეში უკუკავშირის მექანიზმი დამუხრუჭებულია. **დაავადებები და ომები ადამიანთა არასწორ მსოფლმხედველობას წმენდდა.** ისინი ამგვარად თითქოს ცოდვებისგან თავისუფლდებოდნენ. ეს იძულებითი წმენდა იყო.

კიდევ ერთხელ ვახსენებ მეცნიერებისა და რელიგიის გაერთიანებას. სულის ხსნას და გაწმენდას სწორედ რელიგია ეწეოდა. მაგრამ დღეს სამყარო ისე სწრაფად იცვლება და ადამიანთა ცნობიერება იმდენად განვითარებულია, რომ რელიგია სულების ხსნას ვეღარ ასწრებს. სხეულისა და ცნობიერების ინტენსიური განვითარება ბევრად ასწრებს სულის განვითარებას. ბოლო ორი ათასი წლის განმავლობაში ტექნიკურმა პროგრესმა წარმოუდგენელი ნახტომი გააკეთა, პროგრესის ზნეობრიობა კი, პრაქტიკულად, არ არსებობდა. თუ რელიგია და მეცნიერება არ გაერთიანდებიან, ტექნიკური პროგრესი საბოლოოდ დაგვიმახინჯებს აზროვნებას და დაგვიღუპავს სულებს.

ლექციებზე ვამბობდი, რომ 2000 წლიდან კაცობრიობის ენერგეტიკა დედამიწის ენერგეტიკას აღარ შეესაბამება. ენერგეტიკაა ემოციები, ცნობიერება, მსოფლმხედველობა. ცოტა ხნის წინ ვცადე, მენახა, რა ხდება ამჟამად: კაცობრიობის ენერგეტიკა არა მარტო აღარ შეესაბამება ჩვენი პლანეტის ენერგეტიკას — ის გაცილებით უფრო აგრესიული გახდა. მოცემულ მომენტში ეს აგრესია ორჯერ აღემატება სახიფათო დონეს. მოხარული ვიქნები, თუ ვცდები, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ მართალიც რომ ვიყო, უახლოეს ხანებში ჩვენი პლანეტისაგან ბევრი უსიამოვნო სიურპრიზი მოგველის. ვფიქრობ, ეს ყველას გვასწავლის სწორ აზროვნებას.



# დიაგნოსტიკა

**— თქვენს წიგნებში გვხვდება ხოლმე სიტყვები „უცხოპლანეტელები“, „არამიწიერი არსებანი“. მაგრამ ხომ არ შეიძლება, მათზე სერიოზულად ისაუბრო, მათი არსებობა გჯეროდეს და ამავე დროს ღმერთი გწამდეს? ან ერთი უნდა იწამო, ან მეორე, ორივე ერთად კი — შეუძლებელია. ამაში შეუსაბამობას ვერ ხედავთ?**

**– საინტერესოა, როდის შედგება პირველი ოფიციალური კონტაქტი უცხოპლანეტელებთან? მაინტერესებს, როგორი ცივილიზაცია აქვთ.**

**— უნდა გწამდეს მარტოოდენ ღმერთი.** უცხოპლანეტელების რწმენა არ შეიძლება. შეიძლება მხოლოდ გჯეროდეს, რომ ისინი არსებობენ. კაცმა რომ თქვას, ჭიანჭველებისთვის ჩვენც უცხოპლანეტელები ვართ, მაგრამ ამის გამო სამყარო არ იქცევა. **უცხო ცივილიზაციების არსებობა სულაც არ ეწინააღმდეგება არცერთ მსოფლიო რელიგიას, ისევე, როგორც იმისი შეგნება, რომ დედამიწა მრგვალია და რომ სხვა პლანეტებიც არსებობენ.** თუმცა, შუა საუკუნეებში ეკლესია ასეთ აზრებს მტრულად ეკიდებოდა.

ძველი აღთქმიდან ციტატას მოვიტან: **„როდესაც კაცთა მოდგმამ დედამიწაზე გამრავლება დაიწყო და შვილები ეყოლათ, ღვთის შვილებმა დაინახეს, რომ ადამიანთა ქალიშვილები ლამაზები არიან და ცოლად მოჰყავდათ, ვინც რომელს აირჩევდა... იმხანად დედამიწაზე გოლიათები ცხოვრობდნენ, განსაკუთრებით იმ დროიდან, როდესაც ღვთის ვაჟები ადამიანთა ქალიშვილებთან შეწყვილდნენ და მათ შვილების გაჩენა დაიწყეს: ისინი ღონიერი, ოდითგანვე კარგი ადამიანები არიან“.** ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ აქ უცხოპლანეტელებთან კონტაქტია აღწერილი. **ჩვენი ცნობიერება ჩვეული სახეებით მუშაობს და მხოლოდ სამყაროს ჩვეულ სურათს გვიხატავს, რომელიც ჩვენს სტერეოტიპებზეა აგებული და შესაძლოა რეალობას არ შეესაბამებოდეს.** იცით, რატომ უკუაგდებს ჩვენი აზროვნება ყველაფერ გაუგებარს? იმიტომ, რომ გაუგებარზე, ჩვენს ცნობიერებასთან მის ადაპტაციასა და გაშიფვრაზე ბევრი ენერგია იხარჯება. თუ გარკვეული ხნის განმავლობაში გაშიფვრა არ მოხდება, ენერგიის დანაკარგი შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ ადამიანი შეიშალოს ან გამოთაყვანდეს. ამიტომ **საკუთარი თავის გადასარჩენად აზროვნება წაშლის და ივიწყებს ყველაფერს, რაც გაუგებარია.** სწორედ ამით აიხსნება ის ფენომენი, რომ თანამედროვე მეცნიერება საუკუნეობით უარყოფს აშკარა ფაქტებს, რომლებიც სწავლულთა ცნობიერებაში ვერ თავსდება.

ცნობიერებისაგან განსხვავებით, ქვეცნობიერება განუზომლად უფრო პლასტიკურია. **ჩვენი ქვეცნობიერების სიღრმეებში მთელი სამყაროს, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ არის ინფორმაცია, იქ ჩვენ ღმერთთან ერთიანნი ვართ.** მაგრამ ქვეცნობიერების ზედა ფენებშიც კი გაცილებით მეტი ინფორმაციაა, ვიდრე ჩვენს ცნობიერებაში, რომელიც სხეულის ფიზიოლოგიით არის შეზღუდული.

**ახლა მეორე შეკითხვასთან დაკავშირებით:** როდის შედგება ოფიციალური კონტაქტი. ცალკე ადამიანის ხელთან, ფეხთან ან ყურთან ურთიერთობა შეუძლებელია. რა ურთიერთობა შეიძლება უგონოდ მწოლიარე ადამიანთან? ურთიერთობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როდესაც ის გონს მოვა და თავს ერთიან ორგანიზმად შეიგრძნობს, რომელიც ხელების, ფეხების, ყურების და ყველაფერი დანარჩენისგან შედგება. ამჟამად მთელი კაცობრიობა უგონო მდგომარეობაშია. ის ერთმანეთის კონკურენტ და მოქიშპე ქვეყნებად და სახელმწიფოებად არის დაყოფილი. მაგრამ ფაქიზ დონეზე მან ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინ დაიწყო გაერთიანება. **როდესაც ერთიანობის დონე კაცობრიობის შეგნების გამოღვიძების დონეს მიაღწევს, მაშინ ფრთხილად დოზირებულმა კონტაქტმა შეიძლება დაღუპვა კი არა, განვითარება გამოიწვიოს.**

პირადად მე უცხოპლანეტელებთან კონტაქტი არასოდეს მაინტერესებდა. რამდენადაც ბუნებით მემუქთია გახლავართ, ვგრძნობდი, რომ, თუ გაცილებით მაღალ დონეს დავინახავდი, მაშინვე ყველაფრის კეთებას შევწყვეტდი. იმ ინფორმაციაში, რომელსაც ვიღებდი, ყველაზე ხშირად შემდეგი მეორდებოდა: ჩვენი პლანეტის გარდა ადამიანთა სულები ჩვენი გალაქტიკის კიდევ ორ პლანეტაზე იბადებიან. მივხვდი, რომ **ადამიანი სხვა პლანეტებზე იმისთვის უნდა დაიბადოს, რათა მთელ სამყაროსთან და ღმერთთან ერთიანობა შეიგრძნოს.** იმისათვის, რომ სული არ გახევდეს, საჭიროა მისი არსებობის პირობების პერიოდულად შეცვლა ამპლიტუდის გაზრდით. ეს შემეცნებისა და განვითარების ნორმალური პროცესია.

არ ვიცი, აქვთ თუ არა უცხოპლანეტელებს რელიგია, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ მათ შემოქმედისა სწამთ და იციან, რომ **ის** არსებობს. სიყვარულისა და უზენაესი ზნეობრიობის კანონების დარღვევა მათთვისაც ისევე სახიფათოა, როგორც ჩვენთვის. ვფიქრობ, სიცოცხლე სამყაროს შექმნის მომენტიდანვე არსებობს, ხოლო სიცოცხლის შეგნებული ფორმები დაახლოებით ერთსა და იმავე დროს აღმოცენდა, უმნიშვნელო განსხვავებით — ვთქვათ, რამდენიმე ათეული მილიონი წლის წინ. **იმისათვის, რომ სხვა ცივილიზაციებთან კონტაქტზე ვილაპარაკოთ, ჯერ თვითონ უნდა გადავრჩეთ და ჩამოვყალიბდეთ, როგორც ნორმალური საზოგადოება. მეოცე საფეხურზე ასასვლელად პირველ საფეხურზე ასვლაა საჭირო.** ჩვენ კი ჯერჯერობით ამასთან დაკავშირებითაც დიდი პრობლემები გვაქვს.

გაგრძელება იქნება

**– სახარებაში ნათქვამია, რომ არ შეიძლება ქალმა მამაკაცის სამოსი ჩაიცვას. როგორ უნდა გავიგოთ ეს – სიტყვასიტყვით?**

— ამასწინათ გადაცემა „ცხოველთა სამყაროში“ ვნახე. ტროპიკულ თევზებზე მოგვითხრობდნენ. ჩვეულებრივ, ლიფსიტების გვერდით ყოველთვის მათი მამა და რამდენიმე მდედრი იმყოფებიან. მამრი უფრო მოზრდილია, აგრესიული, მზად არის, თავისი ჰარამხანის დასაცავად სიცოცხლე გაწიროს. მაგრამ, თუ ის იღუპება, მამრის როლს ერთ-ერთი მდედრი კისრულობს, მას გარეგნობა და ქცევა ეცვლება. მახსოვს, როგორ გამიკვირდა, როდესაც ჩემმა დიაგნოსტიკამ პირველად აჩვენა, რომ ქალშიც და მამაკაცშიც ორივე საწყისი არსებობს და მათ შორის განსხვავება მხოლოდ რამდენიმე პროცენტია. მამაკაცურ და ქალურ საწყისებად დაყოფა განვითარებისთვის აუცილებელია, რამეთუ ეს დროის ორ ნაკადზე ორინტაცია გახლავთ. **მამაკაცური საწყისი სულიერზე, ცნობიერზეა ორიენტირებული, ქალური — მატერიალურზე, გრძნობადზე.** ადამიანთა საზოგადოებაში მამაკაცი ფიზიკურად, მატერიალურად, ფსიქოლოგიურად ყოველთვის უფრო მეტად იყო დაცული, ვიდრე ქალი. ამავე დროს ის ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყო ოჯახისა და შთამომავლობის დასაცავად თავგანწირვისთვის. ქალი სუსტი, დამცირებული იყო და თავისას არა აგრესიით, ძალითა და ზეწოლით, არამედ მორჩილებით, სიკეთით, სიყვარულით აღწევდა. და რაც უფრო მკაფიოდ ვლინდებოდა ეს თვისებები მამაკაცში და ქალში, **რაც უფრო გულადი, ჭკვიანი, სულიერი იყო მამაკაცი და რაც უფრო მგრძნობიარე, ნაზი და გულჩვილი — ქალი, მით უფრო ჰარმონიული შვილები უჩნდებოდათ მათ.**

დღეს დაპირისპირებულთა შეერთების დროა. მაგრამ, თუ სიყვარული და ენერგია საკმარისი არ არის, ისინი თავისი ინდივიდუალობის შენარჩუნებით კი არ შეერთდებიან, არამედ აღირევიან. ქალი ბიზნესსა და პოლიტიკაში მოღვაწეობს და სულ უფრო მეტ მამაკაცურ თვისებას იძენს. დასავლეთის ქვეყნებში ქალი ახლა მამაკაცზე გაცილებით უკეთ არის დაცული. ის თავდაჯერებულია. ის სიტუაციას მართავს. მამაკაცში კი ქალური თვისებები მძლავრობს, ერთადერთი განსხვავებით — მას შვილების გაჩენა არ ძალუძს.

კაბა, რომელიც ქალს აცვია, დაუცველობის შეგრძნებას ბადებს. შარვალი კი, პირიქით, სიმტკიცესა და დაცულობის გრძნობას. თუ ქალის სულში სიყვარულის ნაკლებობაა, თუ ის გარეშე ფაქტორებზეა დამოკიდებული, შარვალი შეუმჩნევლად დაამსგავსებს მამაკაცს. და პირიქით, ზედმეტად სექსუალური, მოტკეცილი სამოსი, რომელიც ქალურ ღირსებებს უსვამს ხაზს და სექსუალურად აღაგზნებს, ქვეცნობიერად მიაბამს ქალს ცხოველურ საწყისს და ამას უნაყოფობა ან ავადმყოფი შვილები მოსდევს.

უეჭველია, რომ **ტანსაცმელი მოსახერხებელი უნდა იყოს, მაგრამ ფიზიკურმა მოხერხებულობამ სული არ უნდა დააზიანოს.**

ხშირად მეკითხებიან — ნუდიზმი კარგია თუ ცუდი? სიშიშვლე ხომ ბუნებრივია, ცხოველებს არაფერი აცვიათ. დიაგნოსტირება ვცადე. აღმოჩნდა, რომ პროცესი არც ისე კარგია. დიახ, ცხოველებს ტრუსები და პერანგები არ აცვიათ, მაგრამ მათ დაცვის სხვა სისტემა აქვთ. სექსუალური გრძნობა მხოლოდ წელიწადში ერთხელ უჩნდებათ შეწყვილებისა და შთამომავლობის გაგრძელებისთვის. ადამიანს შეწყვილება გამუდმებით შეუძლია, ესე იგი, დროის უმეტეს ნაწილში სექსუალური ლტოლვა უნდა შეიკავოს, თორემ სულიერი ენერგია ამოეწურება და თანდათან ცხოველად გადაიქცევა. რა მშვიდადაც უნდა იქცეოდეს ნუდისტი, მის ქვეცნობიერებაში შიშველი სხეულის დანახვაზე სექსუალურობის აფეთქება ხდება და ამაზე შინაგანი სტრატეგიული ენერგია იხარჯება. აქედან გამომდინარე, **ნუდიზმით გატაცებამ პერსპექტივაში შეიძლება იმპოტენცია, ჰომოსექსუალიზმი და უნაყოფობა გამოიწვიოს.**

ქალისთვის ნებისმიერი სამოსი ლამაზი იქნება, თუ ის მის ქალურ საწყისს გაუსვამს ხაზს და სექსუალურობის სიყვარულად გადაქცევაში დაეხმარება. უბრალოდ, ეს არ უნდა დაივიწყოთ.

## კვირგვინოსნები

**გიორგი ამილახვარი**
*პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე*



**პირველკლასელთა სკოლაში შესვლის ყველაზე ლოგიკური და სამართლიანი წყალგამყოფი 31 დეკემბერია,** თუმცა, სკოლების ინფრასტრუქტურა გაზრდილი ნაკადის მისაღებად მზად არაა. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გადავწიოთ დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი. **განვსაზღვრეთ 6 წელი, რომელიც პირს შეუსრულდება 1 ოქტომბრამდე.**

„ინტერპრესნიუსი“

**მანანა ბუკია**
*პროფესორი*



ჩვენ 90-იანი წლებიდან მოყოლებული **გაულიმარი თაობები გვყავს.** ჩვენ რომ თუნდაც **იმის მესედი მხარდაჭერა გვქონოდა, რასაც მსოფლიო დღეს უკრაინას უკეთებს,** იქნებ დამარცხებულის სინდრომს ასე არ გავეტეხეთ.

„კვირის პალიტრა“

**რუსუდან მელქაძე**
*მომღერალი*



შეიძლება, **10 წელი** იცხოვრო და უბედნიერესად და სავსედ გრძნობდე თავს და იცხოვრო **50 წელი** და ნახევრად ბედნიერი იყო. **ჩვენს სახლში მუსიკა უფრო ხშირად ჟღერდა, ვიდრე სადილი.**

„ტბილისელები“

**მარიტა როხვაძე**
*მომღერალი*



როცა პირველად გავიგე, რას ნიშნავს **მეგობრის ღალატი,** იმის მერე ძალიან შევიცვალე.

„ტბილისელები“



## მიხეილ ცაგარელი:

# ასტროლოგია და შინაგანი სიმშვიდისა და დაცულობის შეგრძნება

*— შინაგანი სიმშვიდისა და დაცულობის შეგრძნების მოსაპოვებლად ადამიანის პირად ჰოროსკოპში მთვარის რომელ ზოდიაქოს ნიშანში ან ასტროლოგიურ სახლში განლაგებისას არის რეკომენდებული ხელშეუხებელი ფინანსური დანაზოგის დაბევება, სურსათის მარაგის დაგროვება, ხოლო დაძაბულობის მოსახსნელად მასაჟი, აბაზანა და ინტიმური სიახლოვე? ვის დაეხმარება ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის ფლობა, კონტაქტები? ვისთვის არის დასვენების ტოლფასი დამღლელი სამუშაოს შემდეგ მანქანით ქალაქგარეთ გასეირნება ან ახალი საგნის, უცხო ენის შესწავლა თუ ახალი ტექნოლოგიის ათვისება? ვის მოჰგვრის შინაგან სიმშვიდეს საკუთარი სახლის კედლები, მაძღარი ბავშვების ხილვა ან საცხოვრებელი, სადაც შეძლებს, სამყაროს დაემალოს, იფიქროს ან აკეთოს ის, რაც უნდა? ვის დაუბრუნებს უსაფრთხოების, დაცულობის შეგრძნებას გვერდით საყვარელი ადამიანის ყოფნა, ანდა საკუთარი თავისთვის დღესასწაულის მოწყობა, გარეგნობის მოწესრიგება, ქათინაურების მოსმენა თუ ახალი სასიყვარულო ურთიერთობა ან ფლირტი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* **მიხეილ ცაგარელი** *გვესაუბრება.*

**— უკრაინაში ომი გრძელდება... ქალაქები ინგრევა, მშვიდობიანი მოსახლეობა, ბავშვები იღუპებიან. ათი მილიონი უკრაინელი ქვეყნიდან გაქცეულია, თუმცა, ამ ომს დასასრული არ უჩანს. ომი ყველაზე დიდი სიბრიყვე და ბოროტებაა, რაც კი კაცობრიობას მოუგონია. ყველა მისი ნებისმიერი მიზნით ხელის შემწყობი დიდი ცოდვილია, ბოროტ ძალას ემსახურება და ადრე თუ გვიან აუცილებლად დაისჯება. ამ რთულ ვითარებაში, ძნელია, ადამიანმა შინაგანი სიმშვიდე შეინარჩუნოს. უპრიანია, განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ ჩვენს ჰოროსკოპში პირად ნათალურ რუკაზე მთვარის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით რამ შეიძლება მოგვგვაროს და დაგვიბრუნოს შინაგანი სიმშვიდე და დაცულობის შეგრძნება?**

— 2. **ადამიანს, რომლის პირად ჰოროსკოპშიც მთვარე განლაგებულია კუროს ზოდიაქოში ან მეორე ასტროლოგიურ სახლში, შინაგანი სიმშვიდისთვის რაიმე სახის სტაბილურობა ესაჭიროება, ანუ რაიმე ან ვინმე, რომელშიც ეჭვი არასოდეს შეეპარება.** მოგეხსენებათ, **კუროს ნიშნისთვის** დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსურ თუ მატერიალურ კეთილდღეობას, ამიტომ ხელშეუხებელი ფინანსური დანაზოგი ამგვარი სტაბილურობის კარგი გარანტი იქნება. იგი ასევე თავს დაცულად იგრძნობს, თუ დამატებით უძრავ ქონებას შეიძენს, რომლის გაქირავებასაც შეძლებს. გარდა ამისა, მისთვის მნიშვნელოვანია სურსათის გარკვეული მარაგის დაგროვება, რაც გაუძლიერებს შინაგან სიმშვიდეს. მაგრამ, გარდა დაცულობის შეგრძნებისა, ადამიანისთვის აუცილებელია დაძაბულობისაგან გათავისუფლება, მოდუნება, დასვენება. ამისთვის რეკომენდებულია სხეულის მოსადუნებელი პროცედურის ჩატარება, აბაზანა, მასაჟი, ინტიმური სიახლოვე.

**3. ის ადამიანი კი, რომლის პირად ჰოროსკოპშიც მთვარე განლაგებულია ტყუპის ზოდიაქოში, ანდა მესამე ასტროლოგიურ სახლში, თავს მშვიდად და დაცულად გრძნობს, თუ ფლობს მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.** სწორედ ამიტომ იგი სხვებზე ხშირად უსმენს ახალ ამბებს, უზის კომპიუტერს და ეძებს მნიშვნელოვან ინფორმაციას, ანდა საუბრობს ტელეფონით. მისთვის აუცილებელია, მუდამ ფორმაში იყოს, ხალხის გარემოცვაში იმყოფებოდეს, სხვადასხვა წყაროდან მრავალფეროვან ინფორმაციას იღებდეს. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ადამიანს რაიმე მიზეზით უჭირს გადაადგილება ან კომუნიკაცია შეზღუდული აქვს, მან უნდა მოიძიოს საშუალებები, რათა გარემოს მუდმივად ეკონტაქტოს. ნიშანდობლივია, რომ მას ყველაზე რთულ და დაძაბულ ვითარებაშიც კი ტელეფონი, ინტერნეტი და ახლო გარემოცვასთან საუბარი დაუბრუნებს შინაგან სიმშვიდეს და ჩვეულ მდგომარეობას. გარდა ამისა, ამგვარი მაჩვენებლების მქონე ადამიანისთვის დასვენებისა და მოდუნების კარგ საშუალებას წარმოადგენს ავტომობილით ქალაქში გასეირნება, განსაკუთრებით, რთული, დამღლელი დღისა და რუტინული სამუშაოს შემდეგ. ასევე პერიოდულად ახალი საგნის, საკითხის, ენების ან რაიმე ტექნოლოგიის შესწავლის პროცესიც ერთგვარი დასვენების საშუალება შესაძლოა, გახდეს.

**4. ადამიანის პირად ნათალურ რუკაზე მთვარის კირჩხიბის ზოდიაქოში ან მეოთხე ასტროლოგიურ სახლში განლაგებისას სიმშვიდის მოპოვებაში დაგვეხმარება საკუთარი სახლის კედლები, ზოგიერთისათვის, ვინც უცხოეთშია, დაცულობისა და სიმშვიდის შეგრძნების მისაღწევად საკმარისი იქნება სამშობლოში, საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნება. ზოგიერთისათვის ასეთ ადგილს მშობლების ან წინაპართა სახლი წარმოადგენს.** თუმცა, უმეტესწილად, ეს საკუთარი საცხოვრებელია, რომელშიც შეგიძლია, სამყაროს დაემალო, იფიქრო და აკეთო ის, რაც გინდა. ასეთმა ადამიანმა მეტი შინაგანი დაცულობისა და სიმშვიდისთვის უნდა იზრუნოს საცხოვრებელი ადგილის კეთილმოწყობაზე, თბილი და მშვიდი ატმოსფეროს შექმნაზე, კომფორტზე. გარდა ამისა, მას ძალიან დაამშვიდებს ოჯახის წევრებისთვის სადილის მომზადება და მათთან ერთად მოლხენა. მისთვის მაძღარი და ბედნიერი ბავშვების ხილვა შინაგანი სიმშვიდისა და დაცულობის შეგრძნების კიდევ ერთი კარგი საშუალებაა.

**5. იმ ადამიანს კი, რომლის პირად ჰოროსკოპშიც მთვარე ლომის ზოდიაქოში ან მეხუთე ასტროლოგიურ სახლშია განლაგებული, შინაგანი სიმშვიდისთვის ესაჭიროება გვერდით საყვარელი ადამიანის ყოფნა. მისთვის მეტად მნიშვნელოვანია მუდმივად სიყვარულის, სიხარულის, ოპტიმიზმის, ბედნიერების ცეცხლი გიზგიზებდეს.** უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ადამიანი იშვიათად განიცდის სასოწარკვეთას, თუმცა, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ამიტომ, თუ შინაგან დისკომფორტსა და დაძაბულობას იგრძნობს, უნდა შეეცადოს და დღესასწაული მოიწყოს, ლამაზად გამოეწყოს, თავი მოიწესრიგოს და საზოგადოების წინაშე ბრწყინვალებით წარდგეს, გარშემო მყოფნი თავისი მედიდურობით მოხიბლოს და ბევრი ქათინაურიც დაიმსახუროს. მათ შორის, დაუქორწინებელი ადამიანისთვის შინაგანი სიმშვიდისა და სრულფასოვნების შეგრძნების სწრაფად აღდგენის მიზნით რეკომენდებულია ფლირტი და ახალი სასიყვარულო ურთიერთობა. ასევე დადებითად იმოქმედებს შინაგან მდგომარეობასა და დაცულობის შეგრძნებაზე რაიმე ახალი გასართობი, ჰობი ანდა ის საქმე, რომლის კეთებაც სიამოვნებას მოჰგვრის.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 18 – 24 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ფუჭ საუბრებზე დროს ნუ დახარჯავთ, რადგან დიდია ჭორებისა და დეზინფორმაციის ალბათობა. ფინანსური საბუთების შევსებისას ყურადღებით იყავით, ახლო ნათესავს დახმარებაზე უარს ნუ ეტყვით. ემოციები გააკონტროლეთ. ენერგიის ნაკლებობამ შესაძლოა, განწყობა გაგიუარესოთ. ახლო მანძილზე მოგზაურობა დასვენების თვალსაზრისით სასიკეთო იქნება, შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც შემდგომ სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდებათ.

**კურო** (21.04-20.05)
პასუხისმგებლობის გრძნობა და ერთგულება ახალი პარტნიორული ურთიერთობის საფუძველი გახდება. კარიერული აღმასვლა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება ეფექტური მეთოდებით იქნება შესაძლებელი. უტაქტობას მოერიდეთ. ახალი კავშირი დაგეხმარებათ სამსახურის მოძიებაში. ოჯახს მეტი დრო ესაჭიროება. თავგადასავლების სურვილი გაგიჩნდებათ, რის გამოც უფრო ემოციური და მგრძნობიარე გახდებით.

**ტყუპი** (21.05-22.06)
საქმიან პარტნიორებთან ძალზე მეგობრული ურთიერთობები ჩამოგიყალიბდებათ, რის გამოც, შესაძლოა, თქვენი მოვალეობების ნაწილი სახლშიც შეასრულოთ. სიტუაცია მშვიდად გააანალიზეთ და ყველა სირთულეს ადვილად დაძლევთ. მატერიალური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის სიფრთხილე იქნება საჭირო. სასიყვარულო ურთიერთობაში კი აუცილებელია გარკვეული ცვლილებების შეტანა. მოგზაურობა ჯობს, გადადოთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
სასიცოცხლო ძალები იმატებს. უფრო შრომისუნარიანი, მზრუნველი და ყურადღებიანი გახდებით. ცოდნისა და უნარის გაუმჯობესებას შეძლებთ. კარგი პერიოდია შორეული მოგზაურობებისა და მივლინებებისთვის. უცხოეთში თავს დაცულად და თავისუფლად იგრძნობთ. ნუ გარისკავთ, უცნობებს ნუ მიენდობით და ნებისმიერი ინფორმაცია კარგად შეამოწმეთ. ვნებები სასიყვარულო სფეროსა და პირად ცხოვრებას გაგილამაზებთ, თუმცა, შეყვარებულს გულს ნურაფერზე ნუ დაწყვეტთ.

**ლომი** (23.07-23.08)
პროფესიული და კარიერის საკითხებით დაკავდებით. სამსახურში ცვლილებებია მოსალოდნელი, რის გამოც ძველი საქმეების სწრაფად დასრულება მოგიწევთ. შესაძლოა, ხელმძღვანელობაც შეიცვალოს. ოჯახური პრობლემა თქვენს ჩარევას და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს. ეცადეთ, ახლობლებს და შეყვარებულს თქვენი ქმედებით გული არ ატკინოთ. მოგზაურობისა და ხალხთან ურთიერთობისთვის არახელსაყრელი პერიოდია.

**ქალწული** (24.08-23.09)
როგორც სამუშაოს რაოდენობა, ისე ხარჯიც იმატებს. წვრილმანზე ნურავის ჩაეძიებით, რათა გარშემო მყოფებთან ურთიერთდამოკიდებულება არ გაიფუჭოთ. დამოუკიდებლად მოქმედებას მოერიდეთ. ახალი ფარული სასიყვარულო კავშირი, შესაძლოა, სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდოს, ბევრი სიამოვნება გაჩუქოთ და ცხოვრებისეული ცვლილებებისაკენ გიბიძგოთ. მოგზაურობა კი დასვენებისა და განმუხტვისთვის კარგი საშუალება იქნება.



## 18 – 24 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
პრიორიტეტებს შეიცვლით და საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მოგიწევთ, რომლის დროსაც სასურველია არა ინტუიციით ან ლოგიკით, არამედ სხვადასხვა წყაროდან მიღებული უტყუარი ინფორმაციით იხელმძღვანელოთ. ნურავის ენდობით და სვლის სათანადო გზები დაიბევეთ. მოტყუების ალბათობაც არსებობს. საყვარელი ადამიანებისაგან დიდ მხარდაჭერას იგრძნობთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ახალი გეგმებით შთაგონებული პროფესიულ საქმიანობას ბევრ დროსა და ენერგიას დაუთმობთ. ფარული მოლაპარაკებები მომავალ საქმეებს დაუკავშირდება. ხარჯიც გაიზრდება, ამიტომ მატერიალური საკითხი თქვენთვის მნიშვნელოვანი გახდება. იმიჯზე იზრუნეთ და ეცადეთ, ფორმაში იყოთ, რათა გარშემო მყოფებზე დადებითი შთაბეჭდილება დატოვოთ. საიდუმლო ინფორმაციის ფლობა და ფარული სასიყვარულო შეხვედრები თქვენს ცხოვრებას უფრო რომანტიკულს გახდის.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ყველაფერს მეთოდურად, ფრთხილად უნდა მიუდგეთ. თუ გარშემო მყოფთა მხარდაჭერას ვერ იგრძნობთ, შეეცადეთ, ძალისმიერად მაინც არ იმოქმედოთ. საოჯახო პრობლემებს ჩაუღრმავდით და ეცადეთ, პირადი ცხოვრებაც მოიწესრიგოთ. სასიყვარულო ურთიერთობის კუთხით რთულ შეკითხვებს ნუ დასვამთ, რათა გულახდილი პასუხები მიიღოთ და შეძლოთ სწორი დასკვნების გაკეთება. მოგზაურობა კი ბევრ სიამოვნებას გიქადით.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ენერგიულობა და აქტიურობა მოგემატებათ, თუმცა, პირადი ურთიერთობებისას, შესაძლოა, დაბნეულობამ იჩინოს თავი. შემოსავალი გაიზრდება, მაგრამ უჩვეულო და ორიგინალური გართობა გაგიტაცებთ, რასაც დიდი რაოდენობით ხარჯი დასჭირდება. ეს კი ოჯახის წევრებთან კონფლიქტის საბაბი გახდება. თუ არ იცით, როგორ მოიქცეთ, თქვენი ბავშვობა გაიხსენეთ და წარმოიდგინეთ, მაშინ რას გააკეთებდით. მოგზაურობამ რომ არ დაგღალოთ, ხშირად დაისვენეთ და ეცადეთ, არ გადაიტვირთოთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
მიზნისა და სურვილების ცვლილება გარემოებაზე იქნება დამოკიდებული. გადაუმოწმებელ ინფორმაციას ნუ გამოიყენებთ და ემოციებიც აკონტროლეთ. ფინანსების მართვისას მეტი წინდახედულობა გამოიჩინეთ. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში დროულად მიიღეთ კვალიფიციური დახმარება. მოგზაურობა ჯობს, გადადოთ, რადგან გზაში მოსალოდნელია არაერთი წინააღმდეგობა, სასურველი შედეგის მიღწევა კი გართულდება.

**თევზები** (19.02-20.03)
ფინანსური სტაბილურობა და ახლობელთა მხარდაჭერა თავდაჯერებას შეგმატებთ. შემოსავლები გაიზრდება და ძირითადად დაუკავშირდება საზოგადოებრივ საქმიანობას. საქმიან პარტნიორებთან შეუთანხმებელი მუშაობა ან ინფორმაციული შეფერხებანი სირთულეებს შეგიქმნით. ახალ ნაცნობობას კი შესაძლოა, ახალი სასიყვარულო ურთიერთობაც მოჰყვეს. ხელსაყრელი პერიოდია როგორც მოგზაურობისთვის, ისე ქალაქგარეთ გამგზავრებისა და დასვენებისთვის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 18,20,23 და 24 აპრილი

**16 აპრილი – სავსემთვარეობა,**
**30 აპრილი – ახალმთვარეობა და მზის დაბნელება (23.42).**



რუბრიკას უძღვება

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 18 აპრილი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.17 საათზე, ჩადის 18.45 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 20.58 საათზე, ჩადის 19 აპრილს 06.11 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 23.31 საათზე, მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** განსწავლულობის, დაგროვილი ცოდნის გამოვლენის დღეა. ეფექტურია ასევე ყელ-ყურ-ცხვირის მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურები. მეტი იმოძრავეთ. კარგი დღეა გეგმების დასახვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, რეცხვისა და რემონტისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ანტიკვარიატის შესაძენად, მასაჟისთვის. არ არის სასურველი ნოტარიუსთან საბუთის გაფორმება, რენტგენი და სხივური თერაპია, ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ცხარე საკვების მიღება, ინტიმური კონტაქტები. მაღალია განაწყენების, სარკაზმის, ზედმეტი პირდაპირობის ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ობსიდიანი, ტოპაზი, იასპი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 19 აპრილი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.15 საათზე, ჩადის 18.46 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (06.18) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 22.16 საათზე, ჩადის 20 აპრილს 06.45 საათზე (მთვარის მე-18 დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.55 საათიდან 06.18 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს დაუკვირდით სხვათა საქციელს და ეცადეთ, მათი შეცდომები არ გაიმეოროთ. ამავდროულად ნუ ეცდებით, ნებისმიერი გზით აისრულოთ სურვილი და ყურად იღეთ ალტერნატიული აზრი. მომატებულია შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის უნარი. დღეს ზოგიერთი ადამიანი ნიღაბს მოიხსნის და თავის ჭეშმარიტ სახეს გამოაჩენს. სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიშები, წყლის პროცედურები. ეფექტურია სასუნთქი გზების მკურნალობა, მასაჟი. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, სპორტული ვარჯიშისა და ღონისძიებებისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, ხელშეკრულების დასადებად, პრეზენტაციებისთვის, კომპანიის დაარსებისთვის. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა, ბავშვებს ქუჩაში მეტი ყურადღება მიაქციეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, იაგუნდი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 20 აპრილი, ოთხშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (06.25) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.14 საათზე, ჩადის 18.47 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 23.31 საათზე, ჩადის 21 აპრილს 07.28 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 01.09 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.56 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მზე გადაინაცვლებს რა ვერძის ზოდიაქოდან კუროს ზოდიაქოს ნიშანში, გააძლიერებს ორგანიზებულობას, დისციპლინას, ნებისყოფას, პრაგმატულობას, ერთგულებას, შეუპოვრობას, სტაბილურობისკენ მიდრეკილებას და ასევე სიჯიუტეს, ეჭვიანობას, მოქმედებას პრინციპით „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი". კარგი დღეა ყოველმხრივ ნააზრევი პროექტების განსახორციელებლად, სულიერი განვითარებისთვის, ფილტვებისა და მეტყველების პრობლემების მკურნალობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ხელშეკრულების დასადებად. შესაძლებელია მატერიალური საკითხის გადაწყვეტა. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა, სულსწრაფობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სერდოლიკი, საფირონი, ლაზურიტი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 21 აპრილი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.14 საათზე, ჩადის 18.47 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.53) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 23.51 საათზე, ჩადის 22 აპრილს 07.28 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 02.38 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 07.53 საათამდე. **ტენდენციები:** პარტნიორული ურთიერთობისას გულგრილი და ჯიუტი ნუ იქნებით. ეცადეთ, კომპრომისი მოიძიოთ. კარგი დღეა კარგად ნაფიქრი საქმეებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, რემონტისთვის, ავეჯის შესაძენად, რესტავრაციისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, კოლექციის შესაგროვებლად. არ არის სასურველი მკვეთრი მოძრაობები, სიმძიმის აწევა, სტომატოლოგიური პროცედურები, ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ეფექტურია მკერდის, კუჭ-ნაწლავის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, ოპალი, აქატი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 22 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.11 საათზე, ჩადის 18.49 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 00.38 საათზე, ჩადის 09.24 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 03.48 საათზე, მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს სასიკეთოა ლოცვა, მოგზაურობის დაწყება, მზრუნველობის გამოვლენა, სპორტული ღონისძიებები. კარგი დღეა კარგად ნაფიქრი საქმეებისთვის, მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, კოლექციის შევსებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. არ არის სასურველი მკვეთრი მოძრაობები, სიმძიმის აწევა, ფინანსური ოპერაციები, ქორწინება, ხელმძღვანელთან ურთიერთობა, სტომატოლოგიური პროცედურები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კანი, კბილები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 23 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.09 საათზე, ჩადის 18.50 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.18) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 01.33 საათზე, ჩადის 10.34 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 04.33 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 15.58 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.53 საათიდან 10.18 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთო დღეა ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისთვის, ნოვატორობისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის. კარგი დღეა სველი წესით დასუფთავებისთვის, აქტიური დასვენებისთვის, სულიერი პრაქტიკისთვის, ელექტრო, აირ ხელსაწყოებისა და კომპიუტერის შესაძენად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ბინის შეცვლისთვის, სესხის ასაღებად, სახლის მშენებლობისა და სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის. არ არის სასურველი თვალების გადაღლა, ზედმეტი ლაპარაკი, ხელმძღვანელთან ურთიერთობა, ფეხზე დიდხანს დგომა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხედველობა, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 24 აპრილი, კვირა

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.08 საათზე, ჩადის 18.51 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 02.17 საათზე, ჩადის 11.48 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 05.00 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები: გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!** სასიკეთო დღეა სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის, მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, ინტუიციური მოქმედებებისთვის, რეფორმისტული საქმეებისთვის, ბინის შესაცვლელად, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ყურად იღეთ უფროსი თაობის ქალბატონთა რჩევები. სერიოზულ საქმეებს ნუ დაგეგმავთ. გზებზე მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. მოერიდეთ მკვეთრ მოძრაობებს, ზედმეტ ლაპარაკს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხედველობა, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ლაბრადორიტი, ციტრინი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



24 აპრილი – ბრწყინვალე აღდგომა იესუ ქრისტესი. პასექი.

✝ **18 აპრილი. ორშაბათი. დიდი ორშაბათი.** მოწამეთა: აღათოპოდი დიაკონისა, თეოდულე წიგნის მკითხველისა და მათთანათა; ღირსისა პუპლი ეგვიპტელისა; ღირსთა: თეონასი, სვიმეონისა და ფორბინესი; ღირსისა პლატონისა, სტუდიელი აღმსარებელისა; ღირსისა თეოდორა თესალონიკელისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა იობისა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისა.

✝ **19 აპრილი. სამშაბათი. დიდი სამშაბათი.** ევტიქი კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა; მეთოდისა, მორავიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა პლატონიდა ასურისა; ასოცთა სპარსელ მოწამეთა; მოწამეთა: იერემიასი და არქილე ხუცისა; ღირსისა გრიგოლ სინელისა.

✝ **20 აპრილი. ოთხშაბათი. დიდი ოთხშაბათი.** ღირსისა გიორგი აღმსარებელისა, მიტილენელი მიტროპოლიტისა; მოწამისა კალიოპესი; მოწამეთა: რუფინე დიაკონისა, აკვილინასი და მათთანა ორასთა მხედართა; ღირსისა სერაპიონ მონაზონისა.

✝ **21 აპრილი. ხუთშაბათი. დიდი ხუთშაბათი.** ხსენება საიდუმლო სერობისა, მოციქულთა: იროდიონისა, აგაბოსი, ასინკრიტესი, რუფოსი, ფლეგონტისა, ერმისა და სხვათა მათთანათა; მოწამისა პავსილიპესი; კელესტინესი, რომის პაპისა.

✝ **22 აპრილი. პარასკევი. დიდი პარასკევი. ხსენება წმიდათა მაცხოვნებელთა ვნებათა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.** მოწამისა ევფსიქისა; მოწამეთა: დისან ეპისკოპოსისა, მარიავე ხუცისა, აბდიესისა და სხვათა ორასსამოცდაათთა; ღირსმოწამისა ვადიმ არქიმანდრიტისა.

✝ **23 აპრილი. შაბათი. დიდი შაბათი. ქვაბთახევის მონასტერში წამებულთა მამათა და დედათა ჟამსა თემურ-ლენგისასა;** მოწამეთა: ტერენტისა, პომპიოსი, აფრიკანესი, მაქსიმესი, ზენონისა, ალექსანდრესი, თეოდორესი და სხვათა ოცდაცამეტთა; მოწამეთა: იაკობ ხუცისა, აზადან და ავდიკი დიაკონთა, სპარსელთა; მღვდელმოწამისა გრიგოლ მეხუთისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ **24 აპრილი. კვირა. ბრწყინვალე აღდგომა იესუ ქრისტესი. პასექი.** მღვდელმოწამისა ანტიპასი, ასიის პერგამის ეპისკოპოსისა; მოწამეთა: პროკესისა და მარტინიანესი; ღირსისა ფარმუთისი; ღირსისა იოანესი, ღირსისა გრიგოლ დეკაპოლელის მოწაფისა.












## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. მაჟალო; 7. ყანჩა; 12. ზმანება; 13. მამიდა; 14. პიკოლო; 15. მაკრო; 16. ნეიმარი; 17. ციკანი; 18. ნაპოლი; 21. რბოლა; 22. ჯალაბი; 25. ნეო; 26. მარენგო; 27. ლიმა; 29. ნაია; 31. გორენიე; 32. პიცა; 33. ოწინარი; 37. დასტა; 39. ლიტონი; 42. ლიეჟი; 43. აგიტაცია; 44. ბაზა; 45. ღამურა; 46. ტყავი; 47. ბალატონი; 48. ჩაკა; 50. ძმობილი; 51. კაკა; 53. მერიქიფე; 57. ნერპა; 58. ღიმილი; 61. მასკარადი; 62. ბალანსი; 63. პალერმო; 64. ოსტინი; 65. ისტერია.

**შვეულად:** 2. ადიდა; 3. აპოლო; 4. ოზონი; 5. რაპირა; 6. ბეგარა; 7. ყამირი; 8. ნეკროზი; 9. ამოცანა; 10. ომიკრონი; 11. ადინამია; 18. ნამყო; 19. პორტი; 20. ლანკა; 22. ჯოგი; 23. ლარდი; 24. ბანჯო; 27. ლედი; 28. მასხარა; 30. აცტეკა; 32. პალატა; 34. წიგნაძე; 35. ნიტრატი; 36. რაციონი; 38. სიბილა; 39. ლაღიძე; 40. ტამპონი; 41. ნარგიზი; 48. ჩინი; 49. კარმა; 51. კაბარე; 52. კარსტი; 53. მიმი; 54. რუსოს; 55. ქნარი; 56. ფიატი; 58. ღიპი; 59. მელა; 60. ლირი; 62. ბოი.

**სერიალიკანტელემურილიოტაბაკარადარიალიბიურო**
**ბორიალიკანტელეგრანიტირადამესიდორიანტიტანი**

| მრავალსერიიანი ფილმი | კარელიურ-ფინური ხალხური საკრავი | ესპანელი ფერმწერი | ბრტყლად შემწვარი ვარია | ლოკატორი | უდანაშაულობის საბუთი | დიდი ჩაქუჩი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოგრძო გორა | ქალაქი ესპანეთში | ნახევრად-მაიმუნი | ამერიკელი მსახიობი მამაკაცი | მაღალი ხარისხის ბროლი | თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რაიონში | ცნობათა ... |



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ტყის ვაშლი; 7. წყლის დიდი, მაღალი ფეხების მქონე ფრინველი; 12. სიზმარი; 13. მამის და; 14. პატარა ფლეიტა; 15. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს დიდს; 16. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 17. თხის ნაშიერი; 18. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 21. სპორტული შეჯიბრება სისწრაფეში; 22. ოჯახი, სახლეული; 25. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ახალს; 26. ერთგვარი შავი ფერის ქსოვილი; 27. მოდელი ადრიანა...; 29. ინდური კობრა; 31. სლოვენიური ტექნიკის ფირმა; 32. იტალიური ღვეზელი; 33. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა; 37. მედუდუკეთა ანსამბლი; 39. დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო; 42. ქალაქი ბელგიაში; 43. აგიტატორის საქმიანობა; 44. მთავარი საწყობი; 45. მფრინავი თაგვი; 46. ცხოველის ბეწვიანი საფარველი; 47. ტბა უნგრეთში; 48. ზულუსების მმართველი; 50. ძმის მაგიერი; 51. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 53. ღვინის დამსხმელი და მიმწოდებელი სუფრაზე; 57. სელაპის სახეობა; 58. კ. გამსახურდია — „დიონისეს ...“; 61. მეჯლისი ნიღბებით; 62. შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი; 63. ქალაქი იტალიაში; 64. ინგლისელი მწერალი ქალი; 65. ნერვულ-ფსიქიკური დაავადება.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო; 3. აშშ-ის კოსმოსური ხომალდი; 4. ფრანგი კინორეჟისორი; 5. საფარიკაო იარაღი; 6. ყმების გადასახადი (ძვ.); 7. ნასვენი, დაუმუშავებელი მიწა; 8. უჯრედთა კვდომა ცოცხალ ორგანიზმში; 9. გაანგარიშებით ამოსახსნელი საკითხი; 10. კორონავირუსის ერთ-ერთი შტამი; 11. სისუსტე, ძალ-ღონის გამოცლა; 18. წარსული დრო; 19. ნავსადგური; 20. აზიის სახელმწიფო შრი-...; 22. ცხოველთა ხროვა; 23. გადამდნარი ღორის ქონი; 24. ამერიკელი ზანგების სიმებიანი საკრავი; 27. დიდ ბრიტანეთში ლორდის ან ბარონეტის მეუღლე; 28. კლოუნი; 30. სტადიონი მეხიკოში; 32. საავადმყოფოს ოთახი; 34. ქართველი ბალერინა; 35. აზოტმჟავას მარილი; 36. საკვების ულუფა გარკვეული ვადისთვის; 38. წინასწარმეტყველი ქალი ძველ საბერძნეთსა და რომში; 39. ქართველი კომპოზიტორი; 40. სტერილური მარლა ჭრილობაში ჩასადებად და სისხლდენის შესაჩერებლად; 41. ყვავილი; 48. ზეთისხილის ფოთლის ფერი; 49. ინდუიზმის ცენტრალური მცნება; 51. ფილმი ლ. მინელის მონაწილეობით; 52. რელიეფის თავისებური ფორმები; 53. პანტომიმის მსახიობი; 54. კ. ჩაპეკი — „... უნივერსალური რობოტები“ (RUR); 55. სიმებიანი საკრავი; 56. იტალიური ავტომობილი; 58. დიდი, გამობერილი მუცელი; 59. გარეული ცხოველი; 60. უ. შექსპირი — „მეფე ...“; 62. სასტუმროს მსახური ბიჭი.

კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე

| უთავბოლოდ, უმიზნოდ სიარული | კარელიურ-ფინური ხალხური სიმებიანი საკრავი | ძვირფასი საშენი მასალა | აიდას სატრფო (ვერდი) | ო. უაილდი – „... გრეის პორტრეტი“ | ქიმიური ელემენტი – მაგარი ლითონი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კბილის ფოლადის ბურღი | ქალაქი ესპანეთში | ფრანგი კომპოზიტორი | პათოსით წარმოთქმული სიტყვა | ფრანგული რევოლუციის კალენდრის მიხედვით მეათე თვე | საწინააღმდეგო წინსართი | ადამიანის სხეული |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

☺ სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

👎 პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

😐 მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

❓ ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

⚥ მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

⇩ მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

🔔 მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

🧑‍💼 მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

👫 რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

☝ ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

🎁 შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18 ორშ. | 📖 | 🍷 | 😐 | 🧑‍💼 | 📖 | 👎 | ☝ | 👫 | 🌴 | 👫 | 👍 | 🌴 |
| 19 სამშ. | 🤝 | 🂡 | 💣 | 📖 | ☝ | 🍷 | 📖 | 📖 | 🔔 | 🤝 | 😐 | ☺ |
| 20 ოთხშ. | 📖 | 📖 | 🍷 | 💣 | ☺ | 📖 | 🎁 | 🔔 | 👍 | ❗ | ❗ | 👫 |
| 21 ხუთშ. | ☺ | 📖 | 🔔 | ⚥ | 🎁 | ☝ | 🌴 | ✈ | 📖 | 🎁 | 👫 | 🔔 |
| 22 პარ. | 📖 | ☺ | ❗ | 👫 | 🍷 | ☯ | 👍 | 🔔 | ⇩ | 📖 | ✈ | ⇩ |
| 23 შაბათი | 👫 | 🍷 | ❓ | 🔔 | 🎁 | 🤝 | ☺ | ☝ | 🎁 | ☝ | 💣 | 🎁 |
| 24 კვირა | ⇩ | ❗ | 🂡 | 👫 | 🤝 | ⚥ | ❗ | 🎁 | ⚥ | 👍 | 📖 | ❗ |

🤺 რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

📖 შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

👍 კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

💣 მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

✈ წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

🤝 სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

🂡 ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

☯ შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

🍷 შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

❗ გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

🌴 იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზვავარზიული
ასავალ დასავალი
2022 წლის 18 – 24 აპრილი №17 (1429)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
სარედაქციო კოლეგია

აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.
ტელეფონები: 215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com
ელ-ფოსტა: mail@asavali.com ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
www.facebook.com/Asavali.com გაზეთი დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA Acting Architect of the Capitol

**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**